ლეიბორისტები "პროლეტარიატს" "აბოლებენ" A2

ლარის მახე A8

ავტომობილი B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 11 მარტი, 2004 წელი. №59 (608) — ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### კრისტიან სტროჰალი: საქართველოს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგი უნდა შედგეს

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანთა უფლებების ოფისის (ODIHR) დირექტორი კრისტიან სტროჰალი ოფიციალურ პირებს შეახსენებს, რომ საჭიროა კანონის დაცვა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.

A3

## ეკონომიკა

### ხელისუფლება საბიუჯეტო წესრიგის დამყარებას იწყებს

2004 წლის 1 აპრილიდან საბიუჯეტო შემოსავლები ეროვნულ ბანკში გახსნილ ხაზინის ერთიან ანგარიშზე მოიყრის თავს, ანუ მთელი საქართველოს მასშტაბით მოგროვებული შემოსავალი ჯერ ამ ანგარიშს გაივლის და შემდეგ მოხვდება ადგილობრივი ბიუჯეტების ანგარიშებზე.

A4

## უცხოეთი

### ამერიკელები ჰაიტიზე მშვიდობას ამყარებენ

კარიბის აუზის კუნძულ ჰაიტიზე განთავსებული საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, ამერიკული საზღვაო ქვეითთა ხელმძღვანელობით, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან ბრძოლას იწყებენ.

A5

## საზოგადოება

### კონცეფციები აფხაზეთის საკითხში

"აფხაზური კლუბის" გუშინდელ შეხვედრაზე დაიწყო დისკუსია თემაზე - სახელმწიფო პოლიტიკა აფხაზეთის საკითხში. მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთის საკითხში, ჯერჯერობით, არ არსებობს სახელმწიფო კონცეფცია და კონკრეტული პროგრამა, მაგრამ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ასეთი კონცეფციები, თურმე, არაერთი მოიძებნება.

A6

## სამართალი

### მოსამართლე არ აპროტესტებს, უბრალოდ, შვებულებაში გადის

მამუკა სონღულაშვილმა, რომელიც დღის განმავლობაში აშკარად თავს არიდებდა ჟურნალისტებთან ურთიერთობას და, შესაბამისად, ფართო საზოგადოების წინაშე გამოჩენას, უკვე საღამოს, საკუთარ კაბინეტში მჯდომმა, ტელეკამერების წინ უარყო ინფორმაცია თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | |
| ქუთაისი | 15 | |
| ბათუმი | 15 | |
| სოხუმი | 12 | |
| ფოთი | 16 | |
| თელავი | 12 | |
| ზუგდიდი | 17 | |
| გორი | 9 | |
| ახმეტა | 12 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9500 |
| ევრო | 2.3942 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5439 |
| რუბლი | 0.0682 |

# საარჩევნო ადმინისტრაციების რეფორმის პროექტი

თამარ ასათიანი

*მალე, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თაობაზე დისკუსიების გამართვა კვლავ მოუწევს. თუმცა, თუკი აქამდე პოლიტიკოსები კომისიის დაკომპლექტების წესზე ბჭობდნენ (უფრო ზუსტად კი, იმაზე, ვის რამდენი ადგილი უნდა რგებოდა საარჩევნო ადმინისტრაციებში), დღეიდან კამათის საგანი ის კონცეფცია გახდება, რომელიც ცესკო-ს თავმჯდომარემ და იუსტიციის სამინისტრომ ერთად შეიმუშავეს და რომლის პრეზენტაციაც გუშინ გაიმართა.*

გაგრძელება A3 გვერდზე




*ზურაბ ჭიაბერაშვილი ახალი კონცეფციის პრეზენტაციაზე.*

# საკადრო ცვლილებების მეორე ეტაპი შინაგან საქმეთა სამინისტროში

თამარ კაციტაძე

*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებული საკადრო ცვლილება თუ წმენდა, ფაქტობრივად, სისტემატურად მიმდინარეობდა; მაგრამ, როგორც ჩანს, თავად გიორგი ბარამიძეს სასურველი გუნდის დასაკომპლექტებლად და პატიოსანი, პროფესიონალი, სანდო კადრების შესარჩევად თითქმის ოთხთვიანი მინისტრობის პერიოდი არ ეყო.*

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა საკადრო ცვლილებების მეორე ეტაპი ახსენა და საზოგადოებას საკუთარი გუნდის ახალი წევრები წარუდგინა. თუმცა, ახალ დანიშვნებზე გიორგი ბარამიძემ მინიშნება ჯერ კიდევ ათი დღის წინ გააკეთა და თავი უხერხულად რომ არ ეგრძნო, გადადგომის შესახებ განცხადებების დაწერა ყველა მაღალჩინოსან პოლიციელს სთხოვა. იმთავითვე ნათელი იყო და ამას მინისტრიც არ მალავდა, რომ საკადრო წმენდა, ძირითადად, ძველ კადრებს შეეხებოდა.

გაგრძელება A7 გვერდზე



*გიორგი ბარამიძე ახალი გუნდით.*

# აბსოლუტიზმის ოთხი წელი რუსეთში

*რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებამდე სამი დღე რჩება. უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა: ვლადიმირ პუტინის ხელახალი ვადით არჩევამდე სამი დღეა დარჩენილი. დასავლეთის ლიბერალურ დემოკრატიებში, ასეთ დროს, განვლილი საპრეზიდენტო ვადის შეფასება სჩვევიათ ხოლმე. მოდით, გამონაკლისი არც რუსეთთან მიმართებაში დავუშვათ.*

დავით აფრასიძე

ერთი შეხედვით, რუსული დემოკრატია სრულ წესრიგშია: პრეზიდენტსა და პარლამენტს საყოველთაო და თავისუფალი არჩევნების გზით ირჩევენ, ერთი პირი მხოლოდ ორჯერ შეიძლება იყოს ქვეყნის უმაღლეს თანამდებობაზე, კანონი მკაცრად არეგულირებს სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირებისა და მოქმედების წესებს, მასზე საზოგადოებრივ კონტროლსა და ბევრ სხვა საკითხს. თუმცა, როგორც ეს ავტოკრატიიდან დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე, სადღაც შუაში გაჩხერილ ქვეყნებს სჩვევიათ, ერთია დემოკრატიის გარეგნული ნიშნები და მეორეა მისი შინაარსი. დემოკრატიულობის ფასადს მიღმა ხშირად ძალაუფლების სრულიად სხვაგვარი ლოგიკა იმალება. მაგალითად, როგორც ერთ-ერთი გერმანული გაზეთი წერს, **"პუტინის მმართველობის ოთხ წელიწადში მისი თანამდებობა და მისი პიროვნება ისე შეერწყა ერთმანეთს, რომ რუსეთის სახელმწიფო რეგალიები – სახელმწიფო დროშა და ორთავიანი არწივი პუტინის პიროვნულ სიმბოლოებად გადაიქცა."** სხვაგვარად რომ ვთქვათ, პუტინს თამამად შეუძლია მეფე-მზედ წოდებული ლუი მე-14-ს სიტყვები გაიმეოროს: **"სახელმწიფო - ეს მე ვარ."**

თანამედროვე "რუსულ აბსოლუტიზმს" სათავე ჯერ კიდევ ბორის ელცინმა ჩაუყარა, როცა სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობა პიროვნებებსა და მის მიმართ პიროვნულ ლოიალობას მოარგო. ელცინისეული წამოწყება კი პუტინმა ლოგიკურად გააგრძელა. მან ელცინის დროს გამოცხადებული "რესპუბლიკების სუვერენიტეტის აღლუმი" დაასრულა. პუტინმა ინსტიტუციური და, უფრო მეტად, საკადრო ცვლილებებით კრემლის ძალაუფლება მთელი რუსეთის მასშტაბით აღადგინა. გასული წლის დუმის არჩევნებით ლოგიკურად დასრულდა აქამდე "ურჩი" პარლამენტის მოთვინიერების პროცესიც: რუსეთის დუმის მაკონტროლებელი "ერთიანი რუსეთის" ერთადერთი შემკვრელი ძალა კი არა იდეოლოგია ან საპროგრამო დებულებაა,

გაგრძელება A5 გვერდზე




# ფრანგებმა სააკაშვილს სიმამაცე დაუფასეს

ლელა მჭედლიძე

მიხეილ სააკაშვილისთვის საფრანგეთი უკვე ერთგვარ გამონაკლისთა შორის აღმოჩნდა. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ, თავისივე თქმით, **"საქართველოს პოპულარიზაციისთვის საჭირო ტურნეებიდან"** ფრანგული ყველაზე დატვირთული ვიზიტი იყო. მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან, ბიზნესმენებთან თუ საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრებით იმდენად გაჯერებული, რომ სააკაშვილმა, ისევე როგორც მისმა თანმხლებმა პირებმა, უბრალოდ, შეხვედრებს შორის "ფანჯარაში" მცირე ხნით გასეირნებაც კი ვერ მოახერხეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დანაშაულები, რომლებმაც გაკოტრებამდე მიიყვანა თბილისის უძველესი ღვინის ქარხანა

სოფიკო ჩხაიძე

*თავის დროზე თბილისის N1 ღვინის ქარხანაში არსებული სერიოზული დარღვევების გამო ატეხილი აჟიოტაჟი დროთა განმავლობაში ჩაცხრა. "სავანე - N1 ღვინის ქარხნის" ყოფილი ხელმძღვანელები კი, რომელთაც თბილისის პროკურატურის გამომძიებლებმა ბრალი კარგა ხნის წინ წაუყენეს, აქამდე მოსამართლის მიერ გაცემული გაუსვლელობის ხელწერილით სარგებლობდნენ; თუმცა გუშინწინ დედაქალაქის პროკურატურაში საკუთარი ფეხით მისული ქარხნის ყოფილი დირექტორის ყოფილი შემცვლელი თეიმურაზ კორტავა დააკავეს.*

გაგრძელება A7 გვერდზე

# რუსეთის ახალი მთავრობა და საქართველო

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

*"რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრად სერგეი ლავროვის დანიშვნა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში კარგის საწინდარია," - აცხადებს "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის საგარეო პოლიტიკური დაგეგმარების კომიტეტის თავმჯდომარე, სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის პროფესორი სერგეი კორტუნოვი.*

- სერგეი ლავროვს რუსეთის ექსპერტსაზოგადოება იცნობს, როგორც უაღრესად წესიერ, მაღალი კლასის პროფესიონალს. მიმაჩნია, რომ რუსეთის თითქმის მუდმივი წარმომადგენელი გაერო-ში სერგეი ლავროვი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე - პრეზიდენტ პუტინის ბოლო პერიოდის ყველაზე წარმატებული სვლაა. მას კარგად იცნობს საქართველოს დიპლომატიური კორპუსიც, რადგანაც გაერო-ში ერთად უხდებოდათ მუშაობა. რუსულ დიპლომატიას ასეთი მაღალი რანგის პროფესიონალი დღეს ნამდვილად არ ჰყავს.

**- უნდა ვიფიქროთ თუ არა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა საქართველოსადმი მომავალში უფრო პროგნოზირებადი იქნება?**

გაგრძელება A3 გვერდზე


A2 ამბები — A3 პოლიტიკა — A4 ეკონომიკა — A5 უცხოეთი — A6 საზოგადოება — A7 სამართალი — A8 ექსპერტი

B2 რევიუ — B3 რევიუ — B4 სპორტი — B5 სპორტი — B6 ავტომობილი — B7 სხვადასხვა — B8 სხვადასხვა

# ლეიბორისტები "პროლეტარიატს" "აბოლებენ"



*გელა დანელია.*

*"ეჰ, კისა, ჩვენ ზედმეტნი ვართ სიცოცხლის ამ ზეიმზე," - სინანულით ეუბნება ოსტაპ ბენდერი ვორობიანინოვს, როდესაც კონცენსიონერები ნარზანის შადრევანთან ათევენ ღამეს. ზედმეტობის განცდა, ამ ბოლო დროს, ალბათ, ბევრ ქართველ პოლიტიკოსსაც გაუჩნდა, მაგრამ ისინი დროს მაინც არ ეპუებიან და, ილფისა და პეტროვის გმირებივით, ჯიუტად განაგრძობენ "ბრილიანტების" ძიებას. "სიცოცხლის ზეიმზე" დასწრების უფლების მოსაპოვებლად შეუპოვრად იბრძვიან ლეიბორისტებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი ჩამოწერა ნაადრევია: პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გელა დანელიას თქმით, მშრომელთა პარტია 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში ხმების 20-25 პროცენტის აღებას გეგმავს.*

გუშინ, სასტუმრო "მარიოტში", კონრად ადენაუერის ფონდის ინიციატივით, "ლეიბორისტული პარტიის" საარჩევნო პლატფორმის პრეზენტაცია გაიმართა. გელა დანელიას განცხადებით, ვინაიდან ლეიბორისტები მემარცხენე ორიენტაციისანი არიან, სრულიად ბუნებრივია, რომ მათ პროგრამაში პრიორიტეტი სოციალურ საკითხებს ენიჭება. თუმცა, "ნორმალური" მემარცხენეებისგან განსხვავებით, ლეიბორისტებს, როგორც ჩანს, ზომიერება ღალატობთ და ამომრჩეველს ისეთ რამეებს ჰპირდებიან, რომლის შესრულება განვითარებული ქვეყნების ხელისუფალთაც კი გაუჭირდებათ.

ლეიბორისტების დაპირებებში წინა პლანზე მეანაბრეთა საკითხია წამოწეული. შალვა ნათელაშვილის "კონცესია" გამოდის ინიციატივით, რომ მოტყუებულ მეანაბრეებზე გაიცეს ახალი წიგნაკები (?!) და დაზარალებულ მოქალაქეთა ვალი საკანონმდებლო დონეზე იქნას აღიარებული. რა იქნება შემდეგ? ამის შესახებ ლეიბორისტები დუმან. "ანაბრების ინდექსაცია და მათი თანმიმდევრული დაფარვა", - მხოლოდ ამ ზოგად ჩანაწერს თუ იპოვით მათ საარჩევნო პლატფორმაში. ამ შემთხვევაში, ლეიბორისტების ერთადერთ მიზანს, ეტყობა, მეანაბრეთა მრავალათასიანი არმიის კეთილგანწყობისა და მათი საარჩევნო ხმების მოპოვება უნდა წარმოადგენდეს, თორემ ანალოგიური პრობლემა ეკონომიკურად ჩვენზე განვითარებულმა, ბალტიისპირეთის ქვეყნებმაც რომ ვერ გადაჭრეს, შალვა ნათელაშვილსა და მის იდეოლოგებს კარგად უნდა მოეხსენებოდეთ.

ამომრჩეველთა გონებას, ალბათ, ისიც მოესალბუნება, რომ ლეიბორისტები ჰპირდებიან: "დღემდე დაგროვილი საპენსიო და სახელფასო დავალიანების სრულ დაფარვას აგრეთვე მინიმალური ხელფასისა და პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებას - ერთი წლის განმავლობაში; უფასო განათლებისა და უფასო გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას; ყველა სახის დავალიანების (ელექტროენერგიის, გაზის, კომუნალური, მიწის და ა.შ.) ჩამოწერას..."

ასეთი შეღავათების წინააღმდეგი რომელი ჭკუათმყოფელი შეიძლება იყოს, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა - საიდან, როგორ, რა გზით, რომელი სახსრებით?

ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს ლეიბორისტების საარჩევნო პლატფორმა არ იძლევა, მაგრამ ვინც პროგრამას ყურადღებით წაიკითხავს, მას აუცილებლად იპოვის. ოღონდ, ვაი, ამ პოვნას - ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს შიშისგან თმა ყალყზე დაუდგება: ლეიბორისტები საუბრობენ "პრივატიზაციის შედეგების რეალურ და არა მოჩვენებით გადასინჯვაზე", "უკანონოდ მითვისებული ეროვნული ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნებასა და ქონების ხელახალ, კანონიერ და სამართლიან გადანაწილებაზე"... ანუ, შალვა ნათელაშვილი საზოგადოებას "პროლეტარიატის დიქტატურის" დამყარებას ჰპირდება - ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, უკანონოდ გამდიდრებულთა (?!) ქონების ექსპროპრიაციას მოახდენს და "გამოთავისუფლებული" სახსრებით სახელფასო და საპენსიო დავალიანებებს გაისტუმრებს, მოტყუებულ მეანაბრეებს დააკმაყოფილებს...

ყოველივე ამის შემდეგ უკვე ძნელი დასაჯერებელია, რომ ლეიბორისტებს გულწრფელად სურთ "ევროპაზე ორიენტაციის აღება და პირობების შექმნა ევროკავშირში შესასვლელად."

მათ გულწრფელობაში ეჭვის შეტანის საფუძველს ისიც იძლევა, რომ ზუსტად ერთი კვირის წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე შალვა ნათელაშვილი ამაყად აცხადებდა, რომ "საქართველო უნდა იყოს ან ნეიტრალური ქვეყანა, ან - ერთი ზემძლავრი სახელმწიფოს მოკავშირე". გუშინ პრეზენტირებულ პლატფორმაში კი წერია: "ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს გეოპოლიტიკური პლურალიზმი და ყველა სახელმწიფოსთან მაქსიმალურად მჭიდრო თანამშრომლობა". ამის შემდეგ, მიდი და გაიგე, როგორია ლეიბორისტების საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია!..

"სიცოცხლის ზეიმში" მონაწილეობას ფული სჭირდება - გელა დანელიას თქმით (გუშინდელ პრეზენტაციაში, მასთან ერთად, ლეიბორისტების სიაში მეოთხე ნომრად შეყვანილი კახაბერ ლორია მონაწილეობდა), მისი პარტია საარჩევნო კამპანიაში 50-100 ათასი ლარის გაღებას აპირებს. იქნება ათდღიანი სატელევიზიო რეკლამა, დაიბეჭდება 10 ათასამდე პლაკატი... სახსრების აკუმულირებას ლეიბორისტები სპეციალურ ფონდში მოახდენენ, რომელიც, ძირითადად, შემოწირულობებით შეივსება.

*გიორგი ასანიშვილი*

# სოხუმი საქართველოს ხელისუფლების ინიციატივას მიესალმება

სოხუმის ხელისუფლების უშიშროების მინისტრი გივი აგრბა მიესალმება საქართველოს ახალი ხელისუფლების ინიციატივას აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროების გაუქმების თაობაზე.

"თბილისში მოქმედი ე.წ. აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურები საქართველოს ხელისუფლებას დიდი ხნის წინ უნდა გაეუქმებინა," - - განაცხადა აგრბამ. ამავდროულად, მისი თქმით, ის, რაც საქართველოში ხდება, აფხაზურ მხარეს არ ეხება და სააკაშვილის ხელისუფლება უფლებამოსილია, თავის ტერიტორიაზე იმგვარი ცვლილებები განახორციელოს, როგორიც მოესურვება. აგრბას განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ "აფხაზეთის სტატუსი დიდი ხნის წინ განისაზღვრა და სოხუმის ხელისუფლება არ აპირებს ქართული მხარის წინადადების მიღებას აფხაზეთისთვის ფართო ავტონომიის მინიჭების თაობაზე, აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკაში გადასაწყვეტ კონსტიტუციურ საკითხებს, მათ შორის - უშიშროების სამინისტროს არსებობის საკითხს, სოხუმის ხელისუფლება ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად გადაწყვეტს".

*ინტერ-პრესი*

# პოლიციელებს 25 წლის ახალგაზრდა შემოაკვდათ

გუშინ, გამთენიისას, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლები, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტები: ზურაბ წერეთელი, გიორგი კაშია, აკაკი ჭარბაძე, პაატა კვიტკოვსკი და საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ოცეულის პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის ზემდეგი ნოდარ ზიზიაშვილი პ. კვიტკოვსკის კუთვნილი ავტომანქანით „ოპელ-კალიბრა" ახორციელებდნენ ოპერატიულ შემოვლას.

დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს ცნობით, მათ მარჯანიშვილისა და ჩიტაიას ქუჩების გადაკვეთაზე შენიშნეს სამი ახალგაზრდა, რომლებიც ერთმანეთთან კამათობდნენ. პოლიციელები გადავიდნენ ავტომანქანიდან და ახალგაზრდებს თავი წარუდგინეს. ამ დროს ერთ-ერთი მათგანი ჩიტაიას ქუჩის მიმართულებით გაიქცა. პოლიციელების მოთხოვნაზე, რომ გაჩერებულიყო, იგი მოტრიალდა და პოლიციელების მიმართულებით ორჯერ გაისროლა. გასროლამ ზემოაღნიშნული ავტომანქანა დააზიანა. პოლიციელებმა ჰაერში მოახდინეს რამდენიმე გამაფრთხილებელი გასროლა, რაზეც გაქცეულმა კვლავ სროლით უპასუხა. როგორც შემდეგ გაირკვა, საპასუხო სროლის შედეგად გულ-მკერდის არეში დაიჭრა ჩანჩიბაძის ქუჩის N 4-ში მცხოვრები, 25 წლის ანტონ კუკულავა, რომელიც თსუ კლინიკურ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილზე დააკავეს ახალციხის ქუჩის N17-ში მცხოვრები, 22 წლის კარლო ბარამიძე.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია საფანტის სისტემის „ვოლტრანის" ფირმის ცეცხლსასროლი იარაღი (გადაკეთებული თვითნაკეთი ვაზნის გასროლისთვის) მჭიდითა და ერთი ვაზნით, აგრეთვე ოთხი ცალი „ლუგერის" სისტემის ვაზნა. საქმეს იძიებს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა.

*მედია-ნიუსი*

# საქართველოს პურისა და ფქვილის მწარმოებლები სახელმწიფო მონოპოლიის წინააღმდეგ

## ვის წისქვილზე ასხამს წყალს ნათელაშვილი?



*პურის მწარმოებლები ნათელაშვილს ამხელენ.*

საქართველოს პურისა და ფქვილის მწარმოებლები მკვეთრი განცხადებებით გამოეხმაურნენ 8 მარტს შალვა ნათელაშვილის მიერ გამოთქმულ ინიციატივას პურისა და ფქვილის ბიზნესზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადების შესახებ და მის განცხადებას პოპულისტური და მაპროვოცირებელი უწოდეს. როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გილდიის ერთ-ერთმა ლიდერმა მალხაზ ცისკარიშვილმა განაცხადა, "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერის ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში, პურზე ფასი მაინც არ შემცირდება; პირიქით, ეს ათასობით მცირე და საშუალო მეწარმის ბიზნესის გაუქმებას გამოიწვევს:

**"ისეთი სამეწარმეო გარემო შეიქმნება, რომელშიც მცირე მეწარმეებისთვის ადგილი აღარ დარჩება. ვერ გაგვიგია, ბატონი შალვა თავისი განცხადებით ვის წისქვილზე ასხამს წყალს? იმის მაგივრად რომ მხარში დაგვიდგეს, რათა მცირე მეწარმეებმა როგორმე სახელმწიფო ბიუროკრატიისა და მონოპოლისტი საწარმოების ზეწოლას გაუძლონ, თავისი განცხადებით ფეხქვეშ ნიადაგს გვაცლის."**

ამასთან, ცისკარიშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია, სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ბერკეტები აამოქმედოს, რათა მსგავს სიტუაციაში ფქვილისა და პურის ფასების მინიმალურ ნიშნულზე შენარჩუნება შეძლოს, თან ისე, რომ დაცული იქნას როგორც საზოგადოების, ისე მეწარმის ინტერესები. ეს ბერკეტებია : მოხდეს იმპორტირებულ ხორბალზე ნულოვანი საბაჟო გადასახდელების დაწესება; ხორბალზე დამატებული ღირებულების გადასახადის მოხსნა; შეღავათიანი გადასახადის დაწესება, ან გარკვეული ვადით (ვთქვათ, ექვსი თვით) გადავადება; ფქვილისა და ხორბლის კონტრაბანდის უპირობო აკრძალვა; ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დამკვიდრება; მცირე და საშუალო მეწარმის შეღავათიანი და ხელმისაწვდომი კრედიტებით უზრუნველყოფა; პურპროდუქტების მინიმალური დაბეგვრის დაწესება და საგადასახადო კოდექსის გამარტივება-ლიბერალიზაცია. **"თუ სახელმწიფო ამ ღონისძიებებს გაატარებს, არც პური გაძვირდება და არც მეწარმეები გაუბედურდებიან,"** - განაცხადა ცისკარიშვილმა.

პურისა და ფქვილის მწარემოებელთა გილდია საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ინიციატივით მიმართავს და დეკრეტის გამოცემას სთხოვს. **"ვიდრე პარლამენტი შეიკრიბება, პრეზიდენტს ისეთი დეკრეტის გამოცემა შეუძლია, რომლითაც ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ხოლო როცა პარლამენტი შეიკრიბება, მას უფლება აქვს, დეკრეტი დაამტკიცოს. ხალხსაც ეშველება, მცირე მეწარმეებსაც და ხაზინაც ამ ბიზნესიდან ათჯერ მეტად შეივსება,"** - მიაჩნიათ პურისა და ფქვილის მწარმოებლებს.

*დიანა ჩაჩუა*

# ქობულეთის აკვატორიას სეინერები აკონტროლებენ

აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ქობულეთის გამგეობის შენობის უსაფრთხოებას ზღვიდან 6 სეინერზე განთავსებული 500-მდე შეიარაღებული პირი იცავს. იმავე წყაროს ცნობით, შეიარაღებული პირებით სავსე 6 სეინერი, რომელიც ქობულეთის სანაპიროზე 9 მარტს საღამოს გამოჩნდა, დღესაც აგრძელებს ქობულეთის აკვატორიის კონტროლს. დაზუსტებული მონაცემებით, სეინერები, ძირითადად, ასლან აბაშიძის მხარდასაჭერად შექმნილი რაზმების წევრებითაა დაკომპლექტებული და, მათ გარდა, სეინერებზე ადგილობრივთათვის უცნობი, რუსულ ენაზე მოსაუბრე სამხედრო ინსტრუქტორები იმყოფებიან. ასლან აბაშიძისადმი ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების ნაწილი ქობულეთის გამგეობის მახლობლად შეიარაღებულ პირთა გამოჩენას პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ აჭარის ლიდერისთვის ქობულეთის გამგებლის ტარიელ ხალვაშის დასაკავებლად მიცემული 10-დღიანი ვადის ამოწურვის მოახლოებას უკავშირებს. ხალვაშს 20 თებერვალს ბათუმში ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ვალტერ შვიმერის ვიზიტის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევაში ედება ბრალი.

*ინტერ-პრესი*

# საგზაო გადასახადის რიგში



*რიგი გაერთიანებული ქართული ბანკის უკანა შესასვლელთან*

საგზაო გადასახადი სულ 5 ლარია, მაგრამ თბილისელ მძღოლებს მისი გადახდა ძალიან ძვირი უჯდებათ – უშველებელ რიგში უწევთ დგომა. როგორც მძღოლებმა განაცხადეს, ეს იმიტომ ხდება, რომ 5-ლარიან ქვითარს გაერთიანებული ქართული ბანკის მხოლოდ ერთი, საბურთალოს ფილიალი იძლევა.

"ადრე საგზაო გადასახადის ქვითრის აღება ყველა ფილიალში შეგვეძლო და პრობლემაც არ იყო. ახლა მხოლოდ აქ არის. სხვაგან გვითხრეს, - ქვითრები არ გვაქვსო. მეორე დღეა, აქ ვდგავარ და კარებამდე ვერ მოვედი. არადა, ქვითარი დიაგნოსტიკის გავლიდან ხუთ დღეში უნდა აიღო, რომ "გაიში" მიიტანო და ტექდათვალიერების "ბირკაც" მიიღო. თუ დაგაგვიანდება, დიაგნოსტიკის გავლა, ამდენი ფულის გადახდა თავიდან მოგიწევს," – გვითხრა ერთმა შეწუხებულმა მძღოლმა.

ამის თაობაზე გაერთიანებული ქართული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი გიორგაძემ შემდეგი განმარტება გააკეთა: " ქვითრის აღება შეიძლება ჩვენი ბანკის ოცივე ფილიალში და სერვის-ცენტრში. უფრო მეტიც, ეროვნულმა ბანკმა თხოვნით მიმართა სხვა ბანკებსაც, რათა ეს ქვითარი მათაც გასცენ. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩვენი ბანკი ქვითრებითაც უზრუნველყოფილია და გაცემასაც ჩვეულებრივად აწარმოებს."

ასეთი განცხადების შემდეგ მძღოლებს ვურჩევთ, სხვა ფილიალებსაც მიმართონ. პრობლემების შემთხვევაში კი, დაგვიკავშირდნენ და გვითხრან, სად უთხრეს უარი.

*ზაზა ფაჩუაშვილი*

# ზუგდიდის მიტინგის დამრბევი პოლიციას ჩაბარდა

გუშინ, ღამით, ზუგდიდის პოლიციის სამხარეო სამმართველოში გამოცხადდა 4 თებერვლის სპეცოპერაციის შემდეგ მიმალული შეიარაღებული დაჯგუფების წევრი გოჩა სარია. პროკურატურა და შს სამინისტრო მას იარაღის უკანონო ტარებას, გასული წლის 7 ნოემბერს ზუგდიდში "ნაციონალური მოძრაობის" მიტინგის დარბევის ორგანიზებასა და მომავალ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე თავდასხმის მცდელობას ედავებიან. პროკურატურამ საკუთარი ნებით გამოცხადებული სარიას დაკავების გადაწყვეტილება მიიღო. სარიამ განაცხადა, რომ თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა, რადგან ზუგდიდის პოლიციის უფროსი კახა რაფავა მას ლიკვიდაციით ემუქრებოდა და ამიტომ საჭიროდ მიიჩნია, პროკურატურაში ადვოკატთან ერთად გამოცხადებულიყო.

დაკავებულმა დუმილის უფლება არ გამოიყენა და უკვე მისცა ჩვენება; თუმცა, როგორც მისი ადვოკატი ჯიტა გულუა აცხადებს, ამ ჩვენებებში სარიას ბრალეულობა არ იკვეთება, დაკავებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდება შეთითხნილია.

ამჟამად სარია წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.

*ინტერ-პრესი*

# იმერეთში კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება

შს წყალტუბოს სამმართველოსა და იმერეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა ქუთაისელები - ნიკოლოზ ქუთათელაძე და გოჩა ჯანელიძე დააკავეს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში – ყაჩაღობასა და მკვლელობაში არიან ეჭვმიტანილები.

როგორც წყალტუბოს პოლიციაში განაცხადეს, ჯანელიძე და ქუთათელაძე გასული წლის 23 დეკემბერს ყაჩაღურად დაესხნენ თავს წყალტუბოს რაიონის სოფელ ჟონეთში მცხოვრებ მურმან ქორიძის ოჯახს და ოჯახის უფროსი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. ეჭვმიტანილები იმერეთის სამხარეო პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

გუშინვე შს იმერეთის მთავარი სამხარეო სამმართველოსა და სამტრედიის პოლიციის თანამშრომლებმა 28 წლის რამაზ ჯანელიძე დააკავეს, რომელსაც ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა" აღმოაჩნდა. სამართალდამცველებმა ჯანელიძის საცხოვრებელი სახლი გაჩხრიკეს, საიდანაც "გოლდსთარ-2002" ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ხრახნილლულიანი რევოლვერი და ვაზნები ამოიღეს. დაკავებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 236-ე და 260-ე მუხლებით აღიძრა. საქმეს სამტრედიის საგამოძიებო სამსახური იკვლევს.

*ინტერ-პრესი*

# პირველი პრეზიდენტის ქვრივი კომისიას ტოვებს



*მანანა არჩვაძე-გამსახურდია ვანო მერაბიშვილს უშიშროების საბჭოს მოწვევას სთხოვს.*

საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლემ და პოლიტიკური ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდის" ლიდერმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ხელისუფლების ინიციატივით შექმნილი საგამოძიებო კომისია ოფიციალურად 25 თებერვალს დატოვა. 21 თებერვალს შექმნილ კომისიას, 1991-1992 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების, მათ შორის, კანონიერი ხელისუფლების ძალისმიერი დამხობისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის საკითხების გამოძიება დაევალა. კომისიას, სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი თავმჯდომარეობს. მანანა არჩვაძე-გამსახურდიას განცხადებით, მან კომისია საკუთარი იურიდიული სტატუსიდან გამომდინარე დატოვა, ვინაიდან იგი კანონიერი ხელისუფლების სამართლებრივი მემკვიდრეა. „მრგვალი მაგიდის" ლიდერი ვანო მერაბიშვილს სთხოვს, სასწრაფოდ მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა და ითქვას, რა გაკეთდა დღემდე საქმის გამოსაძიებლად.

*მედია-ნიუსი*

# ხუთდღიანი პატიმრობა დემოკრატიის სურვილისთვის

ბათუმის სასამართლომ გუშინ გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარის" სამ აქტივისტს, "ასლან აბაშიძის წინააღმდეგ აქციაში მონაწილეობის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის" ბრალდებით, 5-5 დღით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

"ჩვენი აჭარის" კოორდინატორის თამაზ დიასამიძის ინფორმაციით, დღეს, დილით, ადგილობრივმა სამართალდამცველებმა "ჩვენი აჭარის" აქტივისტები ამირან ლაითაძე, ავთანდილ ბარამიძე და დავით ოსეფაშვილი ასლან აბაშიძის საწინააღმდეგო პროკლამაციის გავრცელებისას დააპატიმრეს.

მისივე თქმით, ბათუმის სასამართლომ დაკავებულთა საქმე რეკორდულად მცირე დროში – 8 წუთში განიხილა და მათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის 5-5 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

თამაზ დიასამიძის მტკიცებით, აბაშიძის ხელისუფლების წარმომადგენელთა ზეწოლით სასამართლო პროცესზე დაკავებულთა ადვოკატები არ დაუშვეს. ლაითაძემ, ბარამიძემ და ოსეფაშვილმა მონაწილეობა მიიღეს აჭარის მთელ ტერიტორიაზე გუშინ გამართულ აქციაში, რომლის დროსაც "ჩვენი აჭარის" აქტივისტებმა ქალაქებსა და სოფლებში 20 ათასი პლაკატი "ასლან, წადი" გააკრეს.

დიასამიძის განცხადებით, "აჭარის ხელისუფლება ტრადიციას არ ღალატობს და ოპოზიციის აქტივისტთა დაკავებით ოპოზიციაზე ზეწოლას ცდილობს".

*ინტერ-პრესი*

# კასრელაშვილი(?!) ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ

*ზურაბ ჟვანიასა და მის გუნდს ახალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა - არასამთავრობო ორგანიზაცია "საერო კავკასიური კონფედერაცია", რომელსაც ზაალ კასრელაშვილი ხელმძღვანელობს.*

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელაშვილი ჟურნალისტებს კარგა ხანს ელოდა, შემდეგ მათი სიმცირე ჟვანიას დააბრალა და მის წინააღმდეგ ბრალდებების გამომზეურებასაც შეუდგა: მან დამსწრეთ 1999-2001 წლის 1 იანვრამდე მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ჩატარებული საფინანსო-სამეურნეო რევიზიის დასკვნებიდან ამოღებული მასალები გააცნო, რომელშიც ეგრეთ წოდებულ "პრაკრუტკებზე" და "პრეპისკებზეა" საუბარი, ანუ იმ ფინანსურ მაქინაციებზე, რითაც ქვეყნის ბიუჯეტს 31 მლნ 700 ათასი ლარი დააკლდა. კასრელაშვილის განცხადებით, ზემოთ ხსენებული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული რევიზიის დასკვნები ცხადყოფს, რომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფინანსური მაქინაციები სწორედ მაშინ ხორციელდებოდა, როდესაც ფინანსთა სამინისტროს - ამჟამინდელი მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, საშემოსავლო უწყებას - მიხეილ მაჭავარიანი, ხოლო პარლამენტს ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობდნენ.

მისივე განცხადებით, ჟვანიას ხელისუფლებაში ყოფნის არანაირი მორალური უფლება არ გააჩნია. **"ჟვანიამ, თავის თანაგუნდელებთან ერთად, ხელისუფლება უნდა დატოვოს,"** - ამბობს კასრელაშვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფედერაციის წევრები მასობრივ საპროტესტო აქციებს მიმართავენ.

პრესკონფერენციაზე წარდგენილი დოკუმენტაცია, კასრელაშვილის განცხადებით, გენერალურ პროკურატურას არ გადაეცემა, რადგან კონფედერაცია უნდობლობას უცხადებს არსებულ ხელისუფლებას და აცხადებს, რომ მასალები უკვე გაგზავნილია საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთა დაკონკრეტებისგან ორგანიზაციის თავმჯდომარემ, რატომღაც, თავი შეიკავა.

*ანი გახარია*

# თბილისი შეიძლება ბუნებრივი აირის გარეშე დარჩეს

თბილისის ნახევარი 15 მარტიდან შეიძლება ბუნებრივი აირის გარეშე დარჩეს. კომპანია "თბილგაზს" "გაზექსპორტის" მიმართ 7,5 მლნ. დოლარის დავალიანება გააჩნია.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ნოდარ გობიანიძემ განაცხადა, თბილისის მერიას (სოციალური შეღავათებისა და ვაუჩერების პროგრამის ჩათვლით) "თბილგაზის" მიმართ 5 მლნ. ლარის დავალიანება გააჩნია. **"მერიიდან რომ ეს თანხა მივიღოთ, "გაზექსპორტი" ბუნებრივი აირის მოწოდებას არ გაგვინახევრებს, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების დახმარების გარეშე კი კომპანიას აღნიშნული დავალიანების გასტუმრება გაუჭირდება,"** - აღნიშნა მან.

**"მთავრობასა და ჩვენ შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ და ადგილობრივმა ბიუჯეტებმა წელიწადში 15-15 მლნ. ლარი უნდა გადმოგვირიცხონ. აღნიშნული თანხა თბილისის მერიიდან ჯერ არ მიგვიღია. ეს მაშინ, როცა შარშან ამ დროს "თბილგაზს" ადგილობრივი ბიუჯეტიდან 35 მლნ. ლარი ჰქონდა ათვისებული,"** - დასძინა გობიანიძემ.

ამჟამად თბილისი დღე-ღამეში 1 700 000 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მოიხმარს. თუ კომპანია 15 მარტამდე დავალიანების ნაწილს მაინც არ დაფარავს, გაზმომარაგება განახევრდება, 20 მარტიდან კი საერთოდ შეწყდება.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შუახევის N82-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნოშრევან ზოიძე დღეს თანამდებობიდან გაათავისუფლა. ცესკო-ს თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის განმარტებით, შუახევის საოლქო კომისიამ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება და ამომრჩეველთა სიები მითითებულ ვადაში ცესკო-ს არ წარუდგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ღიად უჭერს მხარს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობის ერთ-ერთ კანდიდატს თემურ მჟავიას, თუმცა აცხადებს, რომ საბჭოს ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხი პრეზიდენტთან დაგეგმილ კონსულტაციებზე გადაწყდება. ჟვანიამ უარყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გუშინდელი სხდომა, რომელზეც საბჭოს ახალი თავმჯდომარე უნდა აერჩიათ, მისი ჩარევის შედეგად გადაიდო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა. ბურჯანაძემ უცხოელ დიპლომატებს საქართველოს პარლამენტის რეფორმისა და რეორგანიზაციის პროექტის განხორციელების დაფინანსება სთხოვა. როგორც შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, პარლამენტის სტრუქტურული რეორგანიზაციის პროექტი რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ მოამზადა, თუმცა მისი განხორციელება თანხების უქონლობის გამო ფერხდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში მოქმედი საზოგადოებრივი მოძრაობის "ღირსეული მომავლისათვის" წევრებმა დღეს საქართველოს პრეზიდენტს წერილი გაუგზავნეს. ორგანიზაციის წევრები მიხეილ სააკაშვილს ქუთაისის თვითმმართველობის ორგანოების ვადამდელი არჩევნების დანიშვნას სთხოვენ. საზოგადოებრივი მოძრაობა "ღირსეული მომავლისათვის" წევრები აცხადებენ, რომ 2002 წლის 2 ივნისს ქუთაისის მერმა ნუგზარ ფალიანმა არჩევნები "იყიდა და ახლა, იმ დროს არჩევნების გასაყალბებლად დახარჯული ფულის ამოღებით არის დაკავებული". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ინიციატივით, დღეს დილით აჭარის მთელ ტერიტორიაზე 20 ათასი პლაკატი "წადი, ასლან" გაიკრა. "ჩვენი აჭარის" კოორდინატორმა თამაზ დიასამიძემ განაცხადა, რომ აქცია აჭარის ტერიტორიაზე გამთენიისას განხორციელდა და არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, დაბა თუ ქალაქი, სადაც პლაკატები არ გაკრულა. მისივე თქმით, დილიდანვე მობილიზებული აჭარის შს სამინისტროს ბრიგადები ხელს უშლიდნენ "ჩვენი აჭარის" წარმომადგენლებს აქციის განხორციელებაში და უკვე გაკრულ პლაკატებს ხსნიდნენ. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ფრანგებმა სააკაშვილს სიმამაცე დაუფასეს

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტი მაინც ძალზე კმაყოფილია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ პირადად თავისთვის, "ნადავლის" სახით, ვერცხლის დაშნა და საპატიო ჯილდო ჩამოიტანა. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ მისია საკმაოდ წარმატებით განახორციელა, საქართველოს პოპულარიზაციას საფრანგეთში ხელი შეუწყო. საფრანგეთზე ამგვარი სწორება და ორიენტაცია, თავის მხრივ, ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისით არის მომგებიანი, - არ მალავდა ვიზიტის დროს პრეზიდენტი. ვრცლად თავისი შთაბეჭდილებები ჟურნალისტებს სააკაშვილმა დღეს უნდა გაუზიაროს.

მართალია, მთავარი საფრანგეთის პრეზიდენტთან ჟაკ შირაკთან შეხვედრა იყო, მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან ნიკოლა სარკოზთან გამართული დიალოგი აღმოჩნდა. ფრანგული მედია ჩვენს პრეზიდენტს თავის შინაგან საქმეთა მინისტრს რადიკალიზმის გამო ამსგავსებს. მკვეთრი და, ამავე დროს ეფექტიანი ნაბიჯებით, სარკოზმა საკმაოდ რეალური შედეგების მიღწევა შეძლოო, - ამტკიცებენ ფრანგები. ეს, პირველ რიგში, პარიზში პროსტიტუციის და ე.წ. "შებმის" ინსტიტუტის აკრძალვას გულისხმობს. გარდა ამისა, საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში ხშირი თავდასხმის და ძარცვის ფაქტების გამო, ღამის საათებში სამზე მეტი ადამიანის შეკრება აკრძალა და ა.შ. ცნობისათვის, სარკოზი სწორედ ის პიროვნება იყო, რომელმაც ადრე, პანკისის ხეობაში რიცინის აღმოჩენის გამო, საქართველო და პანკისი ლამის საერთაშორისო ტერორიზმის ცენტრად გამოაცხადა. ახლა სარკოზი საქართველოსკენ 180 გრადუსით შემობრუნდა. აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჟანდარმერიის ჩამოყალიბებაში დაეხმარება და, ამ მიზნით, ექსპერტები საქართველოში უახლოეს მომავალში ჩამოვლენ. მაისში კი შინაგან საქმეთა მინისტრი თავადაც აპირებს ჩვენთან სტუმრობას. "ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში არ არსებობს დიდი და პატარა ქვეყნები," - აცხადებს სარკოზი, რომელსაც "ტერორისტების ბუდეში" ჩამოსვლა, ალბათ, ამ დიადი მიზნის გამოც აღარ აშინებს.


მიხეილ სააკაშვილი და ჟაკ შირაკი.

სარკოზისგან სააკაშვილმა საჩუქრად ვერცხლის ხმალიც მიღო საკუთარი გვარ-სახელით. თუმცა, ჟურნალისტების კითხვას - დაატრიალებს თუ არა სააკაშვილი ამ იარაღს კორუფციასთან ბრძოლისას, პრეზიდენტი ასე პასუხობს: ჩვენს ვარდებს უფრო მაგარი ეკლები აქვთო. მეორე საჩუქარს სააკაშვილი უკვე შემოდგომაზე ჩაიბარებს - მას სორბონის უნივერსიტეტის და საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის ყოველწლიური პრესტიჟული სიმამაცის პრიზი მიენიჭა. შარშან ეს ჯილდო იორდანიის მეფემ აბდულა მეორემ მიიღო, კიდევ უფრო ადრე - ჩეხეთის პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა.

ამ დატვირთული ვიზიტისას, სააკაშვილმა მიშელ პლატინისთანაც მოახერხა შეხვედრა. პლატინის 2005 წელს ფიფას პრეზიდენტობის რეალური შანსი აქვს. ოფიციალურ შეხვედრაზე ჯინსებში გამოცხადებული პლატინი თავს უხერხულად გრძნობდა. თუმცა, შეხვედრის დასრულებისას აღფრთოვანებით საუბრობდა საქართველოს პრეზიდენტზე, რომელიც ქართული ფეხბურთის საგანგებო კონტროლზე აყვანას აპირებს. "რამდენიმე ათეული სპორტული მოედანი ბავშვებისათვის აშენდება და, რაც მთავარია, ფეხბურთის სფეროს, ფედერაციას კრიმინალური ელემენტებისაგან მაქსიმალურად გავწმენდ". ცნობისათვის, სააკაშვილის ამ განცხადების აქტიურ მსმენელთა შორის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიაც იყო, რომლის მონდომებითაც შედგა პლატინის და სააკაშვილის შეხვედრა.

# დარჩენილი პროცენტების მოსაპოვებლად

"მრეწველ-ახლების" საარჩევნო კამპანიამ სტარტი აიღო

სოფო ბუკია

**"თქვენი უფლებების, თქვენი საკუთრების, დემოკრატიის დასაცავად..."**

**"ეროვნული აზრი, ეროვნული წარმოება – ეროვნული სახელმწიფოსთვის..."** – გაერთიანებული "ახლები" და "მრეწველები" ახალ პარლამენტში შესვლას ამ ლოზუნგების მეშვეობით შეეცდებიან. "მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები-ახლები" -ს საარჩევნო კამპანიამ გუშინ ოფიციალურად აიღო სტარტი. **"გავა დრო და ქართველი ხალხი მიხვდება, რომ ქვეყანას მემარჯვენე ძალები უნდა მართავდნენ, მანამდე კი ჩვენ კონსტრუქციული ოპოზიცია ვართ,"** – აცხადებენ გაერთიანებული "ახლები" და "მრეწველები" და მიიჩნევენ, რომ "მემარჯვენე ოპოზიცია" ერთადერთი ძალაა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, რომელიც შეძლებს, ჭეშმარიტი ოპოზიციონერის ტვირთი ატაროს.

როგორც დავით გამყრელიძე აღნიშნავს, საარჩევნო კამპანიის სრულად წარმართვას არჩევნებამდე დარჩენილი შეზღუდული დრო და კლიმატური პირობებიც უშლის ხელს.

ამჯერად, საარჩევნო კლიპებში ამომრჩეველი ვერც ექიმსა და მეწარმე დავით გამყრელიძეს იხილავს და ვერც სამოციანელების ციტატებით მოლაპარაკე გოგი თოფაძეს.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე გაირკვა, "მრეწველები-ახლების" საარჩევნო კლიპები მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის იქნება. საარჩევნო სამუშაოებს, ძირითადად, პარტიის აქტივისტები შეასრულებენ, რომლებიც კარდაკარ ივლიან და ახალ პარტიას "ამომრჩეველს შეურჩევენ". გამყრელიძემ იცის, რომ მემარჯვენე ოპოზიციის პარლამენტში უმრავლესობით მოსვლის შანსი მინიმალურია. **"ქართველმა ხალხმა გააკეთა არჩევანი და აირჩია პრეზიდენტი და ხელისუფლება, თუმცა ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვები ცხადყოფს, რომ მოსახლეობის 80 პროცენტს კონსტრუქციულად განწყობილი ოპოზიციის პარლამენტში მოხვედრა აუცილებლად მიაჩნია,"** – აცხადებს "მრეწველები-ახლების" საარჩევნო სიის მეორე ნომერი.


დავით გამყრელიძე კონსტრუქციულ ოპოზიციონერობას აპირებს.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

გამყრელიძის თქმით, 28 მარტს ამომრჩევლის 50 პროცენტზე მეტი სახელისუფლებო პარტიას დაუჭერს მხარს, **"თუმცა, კიდევ რჩება პროცენტები, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ. ჩვენ რეალურად ვემზადებით ოპოზიციური ნიშის დასაკავებლად. მოსახლეობას დღეს ძალიან აშინებს რადიკალიზმი, იგი კონსტრუქციულ ოპოზიციას ითხოვს, ჩვენ კი ყოველთვის ასეთები ვიყავით,"** – აცხადებს იგი.

დაძმობილებულ "მრეწველებს" და "ახლებს" ახალი საარჩევნო პროგრამა არ დაუწერიათ. გაერთიანებული პარტია ორივე პარტიის მიერ ცალ-ცალკე შემუშავებულ პროგრამებს გააერთიანებს და საარჩევნო პლატფორმად ერთიან ვარიანტს გამოიყენებს. აქედან გამომდინარე, "ახლების" ყბადაღებული, დასაქმების ცხრაასდღიანი საარჩევნო პროგრამა, რითაც იგი 2 ნოემბრის არჩევნებისთვის იწონებდა თავს, კვლავ ძალაში რჩება. ძირითადი აქცენტები ადამიანის უფლებების დაცვაზე, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე, საგადასახადო ლიბერალიზაციასა და კერძო საკუთრების დაცვაზე იქნება გაკეთებული.

"მრეწველები-ახლები" აცხადებენ, რომ მათი პარლამენტში მოხვედრა იმის გარანტია იქნება, რომ უმრავლესობა ხალხისთვის მიცემულ პირობებს შეასრულებს.

# კრისტიან სტროჰალი: საქართველოს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგი უნდა შედგეს

ვერიკო თევზაძე

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანთა უფლებების ოფისის (ODIHR) დირექტორი კრისტიან სტროჰალი ოფიციალურ პირებს შეახსენებს, რომ საჭიროა კანონის დაცვა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება. ამასთანავე, სტროჰალის აზრით, ბოლო ხანს დაჭერებთან დაკავშირებული კანონდარღვევები უფრო შეცდომებია, ვიდრე ხელისუფლების მიზანმიმართული ტენდენცია. ODIHR-ის დირექტორმა თბილისში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ მასმედიასთან პრესკონფერენცია გამართა.

სტროჰალი, ვიზიტის ფარგლებში, შეხვდა პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნებს. დიალოგის თემა იყო როგორც 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები, ასევე გრძელვადიანი საკითხები, რომლებიც ქვეყანაში გასატარებელ ძირეულ რეფორმებს ეხება. **"როცა მინისტრებს ვესაუბრებოდი, მათ პირობა დადეს, რომ კანონის ფარგლებში იმოქმედებენ. ოფიციალურმა პირებმა აღიარეს, რომ გარკვეულ პირთა დაპატიმრებისას შეცდომები იქნა დაშვებული. მიუხედავად ყოველივე ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ მაღალი თანამდებობის პირები მომავალში პატივისცემით მოეკიდებიან იმ საკანონმდებლო ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც ისინი მოქმედებენ".**

კრისტიან სტროჰალი მხარს უჭერს სამართლებრივ და საკანონმდებლო რეფორმას, პენიტენციალურ სისტემაში გასატარებელ ძირეულ ცვლილებებს, კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას.

სტროჰალის აზრით, "ვარდების რევოლუცია" ქართველი საზოგადოებრიობისთვის განვითარების ახალ ეტაპად უნდა იქცეს: **"ეს არის ხელსაყრელი შემთხვევა იმისთვის, რომ ძირეულად შეიცვალოს ურთიერთობა მთავრობას და ხალხს შორის. სამოქალაქო საზოგადოება მთავრობის ინიციატივებში უნდა ჩაერთოს და დახმარების პროგრამების განხილვებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს."** სამოქალაქო საზოგადოებაში ODIHR-ის დირექტორი არა მარტო არასამთავრობო ორგანიზაციებს გულისხმობს, არამედ ნებისმიერ დაინტერესებულ ჯგუფებს, ფართო საზოგადოებრიობის წევრებს.


ეუთო-ს დელეგაციის შეხვედრა ჟურნალისტებთან.
ივერი ლებანიძის ფოტო

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისი ჩართულია ბევრ პროექტში, რომელთა მიზანია ადამიანთა უფლებებისა და დემოკრატიის განვითარება საქართველოში. ეს ორგანიზაცია ასევე ახორციელებდა მონიტორინგს წინა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე. სტროჰალი აცხადებს, რომ მისი ოფისი კვლავაც მზად არის ითანამშრომლოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან, საქართველოში დემოკრატიის განვითარების პროგრამის შემუშავების კუთხით. კრისტიან სტროჰალი დადებითად აფასებს არასამთავრობო ორგანიზაციების ბევრი ლიდერის მთავრობაში გადანაცვლებას. ODIHR-ის დირექტორის აზრით, ეს ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ მთავრობის მუშაობა ბევრად უფრო ეფექტური გახდება.

# რუსეთის ახალი მთავრობა და საქართველო

პირველი გვერდიდან

- ლავროვი სწორედ ის დიპლომატია, ვისაც მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება აქვს, განსაკუთრებით დეტალურად იცნობს იგი კავკასიის პრობლემატიკას. ამიტომ პრეზიდენტის ასეთი არჩევანი ჩვენ, ექსპერტებს, გვაფიქრებინებს, რომ საქართველოსთან რუსეთის ურთიერთობა უფრო რაციონალური გახდება, მოკლებული იქნება ზედმეტ ემოციებს, იქნება მრავალვექტორული და, ამავე დროს, გასაგები, ორმაგი სტანდარტების გარეშე.

**- ზედმეტად იდეალურ სურათს ხომ არ ხატავთ?**

- დღეიდან აბსოლუტურად გამორიცხეთ იდეალიზმი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები უკვე უკეთესისაკენ შეიცვალა. რუსეთის საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი დააჩქარებს საქართველოსთან სავიზო რეჟიმის საბოლოოდ გაუქმებას, დაჩქარდება საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესიც და უფრო აქტიურ ეკონომიკურ კავშირებზე გაკეთდება აქცენტები. ორი ქვეყნის დიპლომატიურ ურთიერთობებს მოსცილდება იდეოლოგიური სოუსი.

**- საქართველოს ურჩი რეგიონების საკითხი ხომ ჩაამუქებს ამ ნათელ სურათს?**

- შესაძლებელია, თუკი "მელბრუკი მაინც გაილაშქრებს". სააკაშვილი უკვე საკუთარი დაუფიქრებელი განცხადებების მძევალი შეიქნა. მან უკან დასახევი გზა აღარ დაიტოვა. აჭარა სააკაშვილის პოლიტიკური შეცდომაა. უკვე დაიწყო თბილის-ბათუმს შორის ცივი ომი. მოსკოვში იციან, რომ აბაშიძე სააკაშვილის ულტიმატუმს არ დაემორჩილება. თუ მიხეილ სააკაშვილი მუქარას არ შეარბილებს, იძულებული შეიქნება, დაპირებები შეასრულოს.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი აჭარის საკითხში რისკზე მიდის?**

- მიდის და მას ეს საკუთარი პოლიტიკური გამოუცდელობით მოსდის.

**- როგორ პოზიციას დაიკავებს მოსკოვი?**

- მოსკოვი კონფლიქტში დემონსტრატიულად არ ჩაერევა. მოსკოვის პოზიცია ასეთი იქნება: თქვენ თვითონვე გაარჩიეთ საქმე. რასაკვირველია, აბაშიძე დახმარებისათვის მოგვმართავს, მაგრამ – ამაოდ. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, აჭარაში სიტუაციის განმუხტვაში რომელ გზას აირჩევს საქართველოს პრეზიდენტი - პოლიტიკურს თუ სამხედროს.

# საარჩევნო ადმინისტრაციების რეფორმის პროექტი

პირველი გვერდიდან

როგორც ცესკო-ს თავმჯდომარე აცხადებს, საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმირების მთავარი მიზნებია საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, არაპარტიული, პროფესიონალი, დამოუკიდებელი, ეფექტური და ეკონომიური საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირება. ამავე დროს, კონცეფციის ავტორები აცხადებენ, რომ ამ რეფორმის შედეგად, უნდა მოხდეს ადმინისტრაციებს შორის ფუნქციათა გამიჯვნა, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მომზადება და სერთიფიცირება, სამოქალაქო რეესტრის ფორმირებასა და განახლებაში საარჩევნო ადმინისტრაციის მონაწილეობა.

რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზის დახვეწას. როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებს, საჭიროა საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესის განსაზღვრა, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ზოგადი წესების დადგენა, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამების პროცედურების გამარტივება და სასამართლო ხელისუფლების როლის გაზრდა.

რეფორმის შედეგად, ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა იყოს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს არჩევნების ადმინისტრირებას და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან შესრულებას უზრუნველყოფს. იგი განსაზღვრავს ქვედა დონის ადმინისტრაციების ძირითად წესს, ადგენს არჩევნების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

საინტერესოა, რომ ამ პროექტის მიხედვით, ცესკო მხოლოდ ხუთი წევრისაგან შედგება და მათ საქართველოს პარლამენტი ნიშნავს. როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებს, ეს სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ კომისიამ საკუთარი ფუნქციების შესრულება შეძლოს.

რაც შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიებს, იქაც ხუთ-ხუთი წევრი დაინიშნება. ამასთანავე, წევრები აპარატის თანამშრომლების ფუნქციებს შეითავსებენ და სხვადასხვა ორგანიზაციულ საქმიანობას შეასრულებენ. კომისიის წევრებად დაინიშნებიან ის პირები, რომელთაც ექნებათ საარჩევნო მოხელის სერთიფიკატი. მათ, კონკურსის საფუძველზე, თანამდებობებზე ცენტრალური საარჩევნო კომისია დანიშნავს.

საარჩევნო უბნებზე კი ცხრა-ცხრა წევრი იქნება. მათაც აუცილებლად უნდა ჰქონდეთ საარჩევნო მოხელის სერთიფიკატი. ისინი თანამდებობებზე წილისყრის შედეგად დაინიშნებიან.

გარდა ამისა, რეფორმის პროექტი საარჩევნო ადმინისტრაციების ტექნიკურ უზრუნველყოფას, საარჩევნო ადმინისტრაციების მოხელეთა მომზადებასა და სერთიფიცირებას შეეხება.

ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, ყველა დონის საარჩევნო კომისიებში წევრთა რაოდენობის შემცირება საარჩევნო ადმინისტრაციას არჩევნების პერიოდში მილიონ-ნახევარი ლარის დაზოგვის საშუალებას მისცემს.

# ხელისუფლება საბიუჯეტო წესრიგის დამყარებას იწყებს

### მთელი საქართველოს შემოსავალი ერთ ანგარიშს გაივლის

*2004 წლის 1 აპრილიდან საბიუჯეტო შემოსავლები ეროვნულ ბანკში გახსნილ ხაზინის ერთიან ანგარიშზე მოიყრის თავს, ანუ მთელი საქართველოს მასშტაბით მოგროვებული შემოსავალი ჯერ ამ ანგარიშს გაივლის და შემდეგ მოხვდება ადგილობრივი ბიუჯეტების ანგარიშებზე. ასეთი გახლდათ გუშინდელი მთავრობის სხდომის მთავარი გადაწყვეტილება, რომლის შინაარსმაც გარკვეული ეჭვები ცენტრსა და რეგიონებს, განსაკუთრებით კი - ცენტრსა და აჭარას შორის საბიუჯეტო სიტუაციის შემდგომ დაძაბვასთან დაკავშირებით მომენტალურად გააჩინა, თუმცა, როგორც ხელისუფლება ირწმუნება, აბსოლუტურად უსაფუძვლოდ.*

თამარ ხორბალაძე

როგორც ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რეფორმის შედეგად შეიქმნება ერთიანი საშემოსავლო ანგარიში, რომელზეც ყველა სახის შემოსავალი მოიყრის თავს. საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების 14 000-მდე სატრანზიტო ანგარიში დაიხურება და მთელი თანხა პირდაპირ ხაზინის ერთიან ანგარიშზე მოხვდება.

ნაღაიდელის განმარტებით, ამით ფინანსთა სამინისტროს საფინანსო რესურსების ოპტიმალური მართვა და ლავირება შეეძლება, შემოსავლების დათვლასა და სისწორეზე პასუხისმგებლობას კი ხაზინა იკისრებს.

ნოღაიდელმა მისთვის დამახასიათებელი მკვეთრი კომენტარი გააკეთა ამ საკითხის გამო აჭარის შესაძლო გაღიზიანებასთან დაკავშირებით:

**"ამით ინსტიტუციონალური საფუძველი ეყრება აჭარიდან ცენტრალურ ბიუჯეტში გადმოურიცხავი თანხების პრობლემის მოგვარებას. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ თანხების გადარიცხვა ბიუჯეტში ვიღაცის კეთილ ნებაზე იყოს დამოკიდებული. ამიტომ არ მაინტერესებს, რა რეაქცია ექნება რეგიონებს, მათ შორის – აჭარას,"** - აღნიშნა ნოღაიდელმა.

საინტერესოა, რომ ხაზინის რეფორმა, რომელიც გულისხმობდა ზემოთ მოხსენებული ანგარიშის შექმნას, 2002 წელს შემუშავდა, თუმცა წინა მთავრობამ მისი განხორციელება ვერ შეძლო. ერთიანი ანგარიშის შემოღება ძველმა ხელისუფლებამ გასული წლის 1 ივლისიდან სცადა, თუმცა ტექნიკური პრობლემების გამო ამის განხორციელება ვერ მოხერხდა.

დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს გადაწყვეტილება სასწრაფოდ იყო მისაღები, რათა სწორედ ცენტრისა და რეგიონების საბიუჯეტო ურთიერთობები დარეგულირებულიყო. ისინი ამბობენ, რომ კუთვნილი თანხები რეგიონებს ამ ანგარიშიდან მექანიკურად გადაერიცხებათ, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე.

ამასთან, პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ ეკონომიკურ საკითხებში შოთა გვენეტაძემ "24 საათს" განუცხადა, რომ: **"ამ გადაწყვეტილებით ქვეყანაში დამყარდება საბიუჯეტო წესრიგი და რეალურად გეცოდინება, თუ რამდენია შემოსავალი და რამდენი ხარჯია გაწეული. ამას გარდა, ამ ცვლილებით შესაძლებელი იქნება, რომ ექსპორტიორებს, რომლებსაც კანონით წინასწარ გადახდილი გადასახადების უკან დაბრუნება ეკუთვნით, ეს გადასახადები რეალურად დაუბრუნდეთ. ეს არის მეწარმეებთან ნდობის აღსადგენად გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი..."**

დაბოლოს - გუშინდელ მთავრობის სხდომაზე ფოთის ავარიულ ხიდსა და საღარიბის დაძლევის პროგრამაზეც იმსჯელეს.

# როცა კონტრაბანდა ბაზრის ერთ მესამედს აღარ მოიცავს

*პურის გაძვირების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად, მსოფლიოში ხორბალზე ფასების ზრდასთან ერთად, ექსპერტები ფქვილის არალეგალური ნაკადების ამოთეთრებასაც ასახელებენ. გამოდის, კონტრაბანდასთან ბრძოლამ და არალეგალური ფქვილის ნაკადების კონტროლის ქვეშ მოქცევამ მეორე უკიდურესობის – პურის გაძვირების წინაშე დაგვაყენა. საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, წლევანდელ იანვარ-თებერვალში ფქვილის იმპორტიდან საქართველოს ბიუჯეტმა ათჯერ ნაკლები შემოსავალი მიიღო, ვიდრე გასული წლის იანვარ-თებერვალში: შარშანდელი 225 ათასი ლარისგან განსხვავებით, წელს საბაჟომ ფქვილის იმპორტიორებისგან 1 მილიონი ლარი ამოიღო.*



*კონტრაბანდაზე თვალების დახუჭვა ქვეყანას დაანგრევს.*

მაია ურუშაძე

შარშან საქართველომ, დაახლოებით, 650 ათასი ტონა ხორბალი მოიხმარა. აქედან 200 ათასამდე ტონა იმპორტზე, ხოლო 200-250 ათასი ტონა – ადგილობრივი წარმოების ხორბალზე მოდის. ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა – ქვეყანაში ოფიციალური გზით მოხვედრილი ხორბლის რაოდენობა ფაქტობრივ მოხმარებაზე მთელი 200-250 ათასი ტონით ნაკლებია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყანაში შარშან პურზე დეფიციტი არ ყოფილა, ელემენტარული არითმეტიკაც საკმარისია იმისათვის, რომ ფქვილის კონტრაბანდული ნაკადების მოცულობა დავადგინოთ. რეალურად, გამოდის, რომ ბაზრის ერთი მესამედი სწორედ კონტრაბანდას ეჭირა.

**"წელს, დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში ჩვენ საგადასახადო დეპარტამენტთან ერთობლივ ღონისძიებებს ვატარებდით და, შედეგად, მარტო ხორბლის განბაჟებიდან ბიუჯეტის შემოსავალი 5-ჯერ გაიზარდა. ფისკალური ეფექტი დიდი იყო, ვინაიდან კონტროლმა პურის ბიზნესის მთელი ჯაჭვი მოიცვა – იმპორტიდან დაწყებული, წარმოება-რეალიზაციით დამთავრებული. შედეგად, გადასახადები არა მხოლოდ იმპორტიდან, არამედ წისქვილკომბინატებიდან და საცხობებიდანაც "ამოთეთრდა,"** – აცხადებს საბაჟოს ხელმძღვანელი ლევან ქისტაური.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხორბალი წელსაც იმავე განაკვეთებით იბეგრება, როგორც შარშან, ანალოგიურ პერიოდში იბეგრებოდა. ანუ, თუ იმპორტიორი ხორბლის წარმოების სერთიფიკატს წარადგენს, ის საბაჟოს 12-პროცენტიანი გადასახადისგან თავისუფალია. სამაგიეროდ, ჩვეულებრივ, იხდის დამატებული ღირებულების გადასახადის 20-პროცენტიან განაკვეთს.

ქისტაურის ინფორმაციით, ხორბლის გარდა, მოხმარებისა და წარმოება-იმპორტის ბალანსი კიდევ რამდენიმე სახის პროდუქციაზეც დაფიქსირდა. **"შედეგად, ჩვენ პრიორიტეტული მიმართულებები შევარჩიეთ და მათ მიმართ ყურადღება გავაძლიერეთ. მონიტორინგი სხვადასხვა მაკონტროლებლების მიერ ერთობლივად, გუნდური პრინციპით ხორციელდება და შედეგიც ამიტომ არის ასე აშკარა,"** – მიიჩნევს ქისტაური. თუმცა, მეორე მხრივ, ეს პროცესი ბაზარზე "პრიორიტეტული" პროდუქციის გაძვირებას იწვევს.

მაგალითად, საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციით, წელს ბრინჯის იმპორტიდან ბიუჯეტმა 374 ათასი ლარი მიიღო და ეს მაშინ, როცა შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში ბრინჯის იმპორტიორებისგან საბაჟომ სულ 36 ათასი ლარის მიღება მოახერხა. ფაქტია: ეს ციფრები არ ნიშნავს, რომ საქართველოში, მოულოდნელად, ბრინჯი ძალიან შეუყვარდათ.

სხვათა შორის, ანალოგიური სხვაობა არა მარტო საკვები პროდუქტების მიმართ დაფიქსირდა. იგივე მდგომარეობაა ფეხსაცმლის, სანტექნიკის, მაცივრების იმპორტშიც. შედეგი კი ის იყო, რომ საბაჟო კუთხით ბიუჯეტი იანვარ-თებერვალში 106 პროცენტით შესრულდა.

თუმცა, ეს შეღავათი არ არის ბაზრისთვის, რომელმაც პირველად ფქვილის კონტრაბანდული ნაკადების ამოთეთრება იგრძნო და, საკმაოდ მწვავედაც. **"ეს იმის შედეგია, რომ აქამდე ბაზრის ამხელა სეგმენტი ჩრდილში იყო მოქცეული,** – აცხადებს ქისტაური, – **კონტრაბანდაზე თვალების დახუჭვა იმ მოტივით, რომ ბაზარზე პურზე დაბალი ფასი შენარჩუნდეს, ქვეყანას დაანგრევს."** მისი აზრით, სხვა საკითხია, რა მოხდება, როდესაც სეგმენტის ლეგალიზაციიდან სახელმწიფოს შემოსავალი გაიზრდება – ეს გადასახადი სახელმწიფოს ჯიბეში წავა და მერე სახელმწიფომ გადაწყვიტოს, სუბსიდირებას მოახდენს თუ ხელფასებს გაზრდის.

თუმცა, არსებობს სხვა გამოსავალიც. მაგალითად, გუშინ "პურისა და ფქვილის მწარმოებელთა გილდიამ" ხორბალზე დამატებული ღირებულების გადასახადის მოხსნა მოითხოვა. გარდა ამისა, გილდიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს პურზე ფასის შენარჩუნება მცირე და საშუალო მეწარმეთა შეღავათიანი დაკრედიტებითაც შეუძლია.

# საკრებულო სათამაშო ბიზნესზე კონტროლის ბერკეტებს ითხოვს

*დედაქალაქის თვითმმართველობის ორგანო სათამაშო ბიზნესში გადასახადების განაკვეთის გაზრდასა და ცენტრალური ხელისუფლებისგან ამ ბიზნესის გაკონტროლების უფლებას მოითხოვს. საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომისია, რომელიც ამ ინიციატივის ავტორია, თითოეულ სათამაშო მაგიდაზე თვეში 10 ათასი ლარის დაწესებას ითხოვს.*



*საკრებულო სათამაშო ბიზნესში გადასახადების განაკვეთის გაზრდას ითხოვს.*

ეთერ მამულაშვილი

გარდა ამისა, ხსენებული კომისიის მიერ მომზადებული შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი თითოეულ სათამაშო აპარატზე თვეში 200 ლარის ოდენობის თანხას ითვალისწინებს, სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშებზე - თვეში 10 ათას ლარს, თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10 პროცენტს, ლატარიის მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20 პროცენტს. სიახლეა ტოტალიზატორების, ბინგოებისა და ლოტოების დაბეგვრაშიც. საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომისია ჩამოთვლილი სათამაშო ბიზნესის თითოეულ სალაროზე თვეში 600 ლარის ოდენობის ბეგარის დაწესებას მოითხოვს. ცნობისათვის: საგადასახადო დეპარტამენტის მონაცემებით, გასულ წელს ცენტრალურ ხაზინაში სათამაშო ბიზნესიდან 5 მილიონ 800 ათასი ლარი უნდა შესულიყო. გეგმის შესრულებას 1 მილიონ 391 ათასი ლარი დააკლდა, თუმცა კომისიის თავმჯდომარე დავით იოსელიანი დარწმუნებულია, რომ ეს ციფრები რეალობისგან ძალიან შორს არის. იოსელიანის განცხადებით, სათამაშო ბიზნესის ძალიან დიდი ნაწილი "ჩრდილშია მოქცეული".

**"დღეს სათამაშო ბიზნესიდან შემოსული თანხების აკუმულირება ერთ ანგარიშზე ხდება.. არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია თუ რამდენი შემოდის კაზინოებიდან, რამდენი ლატარიიდან, ტოტალიზატორიდან... ვფიქრობ, რომ ეს შეგნებულად არის გაკეთებული, რადგან ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხოს ამ ბიზნესის მონიტორინგი და ცალკეული ციფრების ანალიზი",** - აღნიშნა იოსელიანმა "24 საათთან" საუბრის დროს.

სათამაშო ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი რომ არალეგალურია, ამაზე უკვე კარგა ხანია საუბრობენ, თუმცა გაოცებას მაინც იწვევს ის არაოფიციალური მოხსენება, რომელიც საკრებულოს ფრაქცია "მრეწველების" ლიდერმა რევაზ აიწურაძემ მოამზადა, აიწურაძის რწმუნებით, ლატარიების ბიზნესის აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში ჩრდილოვანია. **"ყველა ის გადასახადი რომ დაფიქსირდეს, რაც კანონით არის გათვალისწინებული, ლატარიების ჩატარებას აზრი არ ექნება",** - განაცხადა აიწურაძემ.

სათამაშო ბიზნესში ტარიფების ცვლილება არ არის ერთადერთი მოთხოვნა, რასაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ცენტრალური ხელისუფლებისგან მოითხოვს. საკრებულოს წევრების უმრავლესობა ამ ბიზნესის კონტროლზე პრეტენზიებს უკვე ხმამაღლა გამოთქვამს. საკრებულოს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის დავით ხუციშვილის თქმით: **"კანონი დედაქალაქის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრებს პასუხისმგებლობას ბიუჯეტის შესრულებაზე, თუმცა საკრებულოს, პრაქტიკულად, არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დროულად უნდა დაიწყოს კონსულტაციები სავალუტო ფონდსა და ფინანსთა სამინისტროსთან, რათა ჩვენ ეს ბერკეტები მოვიპოვოთ".**

სხვათაშორის, დავით ხუციშვილი სათამაშო ბიზნესის გადასახადების განაკვეთის გაზრდის ინიციატივას ამ ეტაპზე გაუმართლებლად მიიჩნევს. ხუციშვილის განცხადებით, საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომისიის ინიციატივა დაუსაბუთებელი და უდროოა. **"ჩვენ ვერ მოვისმინეთ, ქალაქის ხელისუფლება რა გათვლებს და რა არგუმენტებს ემყარება, როცა გადასახადის გაზრდას მოითხოვს. გარდა ამისა, დღეს დედაქალაქს არ ჰყავს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ეს საკითხი კი აუცილებლად მოითხოვს მთავრობის მხრიდან შემოწმებას. ვფიქრობთ, რომ საკითხი არის მოუმზადებელი, ნაჩქარევი, რაც გამოიწვევს მეწარმეების სერიოზულ გულისწყრომას. ამ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, ისინი იძულებულნი გახდებიან, რომ გადავიდნენ ჩრდილოვან ბიზნესში",** - ამბობს იგი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, გუშინ გამართული ვაჭრობის შედეგად, ეროვნული ვალუტის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში შემდეგნაირად დაბალანსდა: 1 აშშ დოლარი – 1,95 ლარი. 11 მარტიდან ძალაშია ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 დოლარი – 1,95 ლარი. 1 ევრო – 2.3942 ლარი, 1 გირვანქა სტერლინგი – 3.5439 ლარი, 1 რუბლი – 0.0682 ლარი. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის დისტილატების მწარმოებელ ორგანიზაციებზე საგადასახადო კონტროლის გაძლიერების მიზნით შექმნილმა კომისიამ 14 ულიცენზიო ნავთობსახდელი დალუქა. მათგან სამი - თბილისში, ოთხი - ქვემო ქართლში, ორი - კახეთში, ერთი - გორში, ოთხი კი იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში მოქმედებდა. ლიცენზირებულ ნავთობგადამამუშავებელ საწარმოებში "განოილი", "ვაზოილი", "ვირტუოზი", "გეროი" "თერჯოლა ოილი" და "მობილი" ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმება დაიწყო. შპს "ალიანსიდან" პირველადი დოკუმენტაცია უშიშროების სამინისტრომ ამოიღო, შპს "ვივადან" კი - ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "კავკასიონის" ავარიულად გათიშვის გამო, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" რუსეთიდან დენის იმპორტს რამდენიმე დღეა, ვერ ახორციელებს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ "კავკასიონის" აღდგენის შემდეგ, კომპანიამ იმპორტი აპრილის თვის გარკვეულ პერიოდამდე განაგრძოს. მწყობრიდან არის გამოსული ყაზბეგის ელექტროგადამცემი ხაზიც და ყაზბეგის რაიონს დენი 3 დღეა, არ მიეწოდება. "სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ ხაზის აღდგენისთანავე, ყაზბეგს დენის მიწოდება გრაფიკით, გადახდის შესაბამისად აღუდგება. **24 საათი**

■ ■ ■

**ბორჯომი.** ბორჯომის ეკოპოლიციამ კონტრაბანდული ხე-ტყით დატვირთული 2 სატვირთო ავტომანქანა დააკავა. სავარაუდოდ, მასალა ტაძრისის სატყეო მეურნეობიდან არის გატანილი. დაკავებული ავტომანქანები ბორჯომის პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს. წლის დასაწყისიდან რეგიონში ხე-ტყის უკანონო ჭრისა და გადატანის 20-მდე ფაქტია დაფიქსირებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თელავი.** გუშინ შინაგან საქმეთა კახეთის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ჯგუფმა შპს "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" გენერალური დირექტორი მალხაზ კუპატაძე დააკავა, რომელიც განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვისი ქონების გაფლანგვა-მიტაცებაშია ეჭვმიტანილი. პროკურატურის განცხადებით, "კახეთის ენერგოდისტრიბუციაში" გაყალბებული დოკუმენტაციით ფინანსური მაქინაციები ჯერ კიდევ 2003 წლიდან ფიქსირდება. დაკავებულმა დუმილის უფლება აირჩია. თელავის რაიონული სასამართლო კუპატაძეს წინასწარ ალმკვეთ ღონისძიებას დღეს შეუფარდებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წყლისა და ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის ფორმისგან განსხვავებით, თბილისელები ბუნებრივი აირის საფასურს "თბილგაზის" ინდივიდუალური ქვითრებით გადაიხდიან. "თბილგაზის" დისტრიბუციის დირექტორის ლევან ფურცელაძის განცხადებით, წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის საფასურის ერთი ქვითრით გადახდასთან დაკავშირებით საუბარი არ ყოფილა, ამიტომ მისთვის გაუგებარია, "საიდან მოიტანა "ლეიბორისტულმა პარტიამ" მსგავსი ინფორმაცია". "თუ აბონენტი გაზის საფასურს ვერ გადაიხდის, მას ელექტროენერგიის მიწოდება ნამდვილად არ შეუწყდება, მაგრამ უმჯობესია, მან აირის საფასური მაინც დაფაროს,"- აღნიშნა მან. გუშინ "ლეიბორისტულმა პარტიამ" წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის საფასურის ერთიანი ქვითრით გადახდის შესახებ თითქოსდა მიღებული გადაწყვეტილება გააპროტესტა. დღეს ირკვევა, რომ მოსახლეობა ერთი ქვითრით მხოლოდ წყლისა და ელექტროენერგიის ღირებულებას გადაიხდის. **ინტერ-პრესი**

# საქართველოში FAO-ს დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნა

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოში გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ დაიწყო მუშაობა. FAO-სა და საქართველოს მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ორგანიზაციის წარმომადგენლად საქართველოში მარია კადლეჩიკოვა დაინიშნა, რომელსაც მანამდე ანალოგიური პოსტი ეკავა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში რწმუნებათა სიგელის გადაცემის ოფიციალური ცერემონია გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წევრი ჯერ კიდევ 1995 წელს გახდა, მაგრამ აქტიური თანამშრომლობა FAO-სა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის მხოლოდ 2000 წლიდან დაიწყო. ორგანიზაციის დაფინანსებით საქართველოში უკვე რამოდენიმე ტექნიკური დახმარების პროექტი განხორციელდა. ამჟამად კი მიმდინარეობს "კაკლისა და თხილის სანერგე მეურნეობების რეაბილიტაცის პროექტი", რომელიც კასპის, გორისა და ყვარელის რაიონებს მოიცავს; "მზადება 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერისთვის", რომლის მთავარი მიზანია სტატისტიკის დეპარტამენტის სპეციალისტებისთვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ჩასატარებლად და "დეპარტამენტ "საქთევზის" ფუნქციური განვითარება მეთევზეობის დარგის რეაბილიტაციისთვის".

მომავალში იგეგმება FAO-ს ახალი პროექტების განხორციელება საქართველოს მთავრობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით შერვაშიძის შეფასებით, **"FAO-ს დიპლომატიური წარმომადგენლობის გახნით საქართველო მიიღებს დამატებით კვოტებს და სამომავლოდ პროექტებისა და დახმარების რიცხვი გაიზრდება".** მარია კადლეჩიკოვას განცხადებით, აღნიშნული მოვლენა ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისკენ მიმართული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია და ადასტურებს ორგანიზაციის კეთილ ნებას - კიდევ უფრო გაზარდოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში გაწეული ჰუმანიტარული თუ ტექნიკური დახმარების რაოდენობა. მისი თქმით, საქართველოში FAO-ს საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული ადამიანების დახმარება.

# ევროპის ცენტრალური ბანკები ოქროს დეფიციტს შექმნიან

ანი ბახარია

ევროპის თხუთმეტმა ცენტრალურმა ბანკმა ჩაატარა მოლაპარაკებები მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ოქროს გაყიდვის ლიმიტებთან დაკავშირებით; კერძოდ, წლიურად ამ ბანკების მიერ რეალიზებული ოქროს საერთო რაოდენობა 500 ტონას არ უნდა აღემატებოდეს, რაც 25 პროცენტით მეტია, ვიდრე 1999 წელს შეთანხმებული 400 ტონა.

1999 წლის გადაწყვეტილება ახალი ეკონომიკისა და ინტერნეტის ეპოქის აღზევების პერიოდში იქნა მიღებული და, ძირითადად, "კეთილშობილ" ლითონზე ფასის შესანარჩუნებლად დაწესდა, რომელიც ქვეყნების უმეტესობის ძირითად სავალუტო რეზერვს წარმოადგენს.

მოლაპარაკებებში ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ბანკების გარდა მონაწილეობდნენ შვეიცარიისა და ცენტრალური ევროპული ბანკი. როგორც ჩანს, ამ შეთანხმებაში მონაწილეობას არ იღებს ამერიკა, რომელსაც მსოფლიოში ოქროს ყველაზე დიდი მარაგი აქვს, აგრეთვე - იაპონია და ჩინეთი. დიდი ბრიტანეთი და დანიაც განზე გადგნენ და ძირითად მიზეზად ოქროს რეალიზების ხუთწლიანი გეგმის არ ქონა დაასახელეს.

დღესდღეობით ცენტრალური ბანკები ოქროს რეზერვებით ნაციონალური ვალუტის კურსის რეგულირებას ახდენენ. ისინი გაყიდულ ოქროს სავალუტო რეზერვების შეძენისთვის იყენებენ, რადგან ბოლო დროს ოქრო ღირებულების გარანტად აღარ გამოდგება.

# აბსოლუტიზმის ოთხი წელი რუსეთში

პირველი გვერდიდან

არამედ პრეზიდენტ პუტინის პიროვნება. თავის დროზე ელცინი და მისი ადმინისტრაცია, ფაქტობრივად, შეუზღუდავად მართავდნენ ქვეყანას. ახლაც რუსეთი პუტინის ადმინისტრაციიდან იმართება, რომლის საკადრო ბირთვსაც პრეზიდენტის ლოიალური პირები, ანუ უშიშროების ყოფილი თანამშრომლები ქმნიან.

"ელცინის ოჯახის" ირგვლივ შეკრებილი ოლიგარქები რეჟიმის სტაბილურობის საფინანსო საფუძვლებს ქმნიდნენ, თუმცა, ამისათვის საკუთარ მოქმედებაში, ფაქტობრივად, შეუზღუდავნი იყვნენ. სხვათა შორის, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პუტინი ელცინის მემკვიდრეა და საწყის ეტაპზე მასსა და ოლიგარქებს შორის მშვენიერი ურთიერთგაგება სუფევდა. პუტინისა და ოლიგარქების ერთი ჯგუფის გადამტერება კი ამ უკანასკნელთა პოლიტიკის სფეროში გამოჩენილი დაინტერესებითაა გამოწვეული. ბიზნესი პოლიტიკის (ანუ პრეზიდენტის) ლოიალური უნდა იყოს, ასეთია ეკონომიკა-პოლიტიკის ურთიერთობის პუტინისეული ლოგიკა და ის, ვინც ამ ლოგიკას არ ეთანხმება, ძალაუფლების მსხვერპლი ხდება. სახელმწიფოებრივი განვითარების კუთხით კი, ოლიგარქების დაწიოკებაზე უფრო მნიშვნელოვანია, თუ ვინ იკავებს ოლიგარქებისაგან გამოთავისუფლებულ ადგილს? რუსეთის ტიპის პერსონალური სახელმწიფოს ლოგიკიდან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ მათ ადგილს კრემლთან დაახლოებული ახალი ჯგუფები იკავებენ.

რეფორმები (დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მიზანს ემსახურება) საზოგადოებრივ მხარდაჭერას საჭიროებს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ პუტინი ახალი სტილის პოლიტიკოსთა იმ წრეს ეკუთვნის, რომელმაც საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელობა ზედმიწევნით კარგად იცის. პუტინი პირველი რუსი "მედია-პრეზიდენტია". თუმცა, რუსულ მედია-ბაზარზე დღეს არსებული პირობების გათვალისწინებით, მას "მეფე-მზის" იმიჯის შექმნა არც უნდა გასჭირვებოდა. პუტინმა ხომ თავისუფალი მასმედია თანმიმდევრულად შეავიწროვა, რათა საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე კონტროლი არ გასჭირვებოდა. საზოგადოებრივი განვითარების კუთხით კი საინტერესოა, რომ მოსახლეობასა და ყბადაღებულ სამოქალაქო საზოგადოებას თავისუფალი მედიის მხარდასაჭერად დიდი ბრძოლა არ გამოუცხადებია, ხალხს "მათი უაზრო ყაყანი" ისედაც მობეზრებული ჰქონდა.

უძველესი ჭეშმარიტებაა, რომ ხალხს პური და სანახაობა სჭირდება. პურის რა გითხრათ (თუმცა, რუსეთში ამ მხრივაც უკეთესი პირობებია, ძირითადად, ნავთობზე საერთაშორისო ფასების ზრდის გამო), მაგრამ გართობა-სიმბოლოების მნიშვნელობა პუტინს, მართლაც, კარგად ესმის: პომპეზური იყო პრეზიდენტის კურთხევა 2000 წელს და იგი რუსეთის ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყებას განასახიერებდა. მეორედ კურთხევა, შესაძლოა, ასე პომპეზური აღარ იყოს, "ცარს" ხომ მხოლოდ ერთხელ აკურთხებენ. პუტინი სამხედრო თვითმფრინავში, პუტინი ჯარისკაცებთან, პუტინი მშრომელებთან, პუტინი მოხუცებულებთან – ამგვარი კადრები დიდი საბჭოთა კავშირის ისტორიაში უკვე მრავლად იყო. მაგრამ, სიმბოლოებს ერთი ცუდი თვისება აქვს – დროთა განმავლობაში ისინი "ჯადოსნურ ძალას" კარგავენ: ჩეჩნეთის "დაბრუნება" რუსეთის სახელმწიფოს აღმშენებლობის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო; ჩაძირული "კურსკი" რუსეთის



ფლოტის დასასრულს უფრო ასახიერებდა, ვიდრე მის ძლიერებას; მოხშირებული (მართვადი თუ არამართვადი) ტერაქტები რუსეთის ქალაქებში მიუთითებს, რომ რუსულ სახელმწიფოს მისი ძირითადი ფუნქციის აღსრულება, ანუ საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოების ეფექტური დაცვა ხშირად არ ძალუძს.

პუტინი კიდევ ოთხი წლით გაუძღვება ქვეყანას. თუმცა, საკითხავია, საით აიღებს იგი გეზს ამჟამად? არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთი ავტოკრატიული რეჟიმიდან თანამედროვე ტიპის დემოკრატიისაკენ ლოგიკურად ვითარდება, რადგან დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა "ლიბერალური ავტოკრატიის" ეტაპის გავლას ითვალისწინებს. ეს ნიშნავს, რომ განვითარების ამ ეტაპზე შეზღუდულია პოლიტიკური თავისუფლება, თუმცა ეკონომიკური თავისუფლების პირობებში თანდათანობით იქმნება პოლიტიკური კონკურენციისათვის აუცილებელი წანამძღვრები. პირველ ყოვლისა, იქმნება სახელმწიფოსაგან ეკონომიკურად დამოუკიდებელი ინტერესთა ჯგუფები. მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენები ასევე თავისუფლდებიან ხელისუფლებაზე დამოკიდებულებისაგან, მაგალითად, საქმდებიან კერძო სექტორში. რუსეთის შემთხვევაში კი ისმის კითხვა, რა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკა ისევ პოლიტიკაზეა დამოკიდებული? როცა პოლიტიკური კონკურენციის ჩანასახები ისევ სახელმწიფოს მხრიდან აბსოლუტური, ტოტალური მონოპოლიისაკენ სწრაფვით იცვლება? როცა ეს სახელმწიფო ისევ ერთ პირს განასახიერებს?

რუსეთის პრეზიდენტმა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მთელი მთავრობა დაითხოვა და ახალი, "კომპაქტური" მინისტრთა კაბინეტი წარადგინა (საინტერესოა, რომ რუსეთის მთავრობაში ქალები არ არიან). კონსტიტუციით, მინისტრთა კაბინეტი არჩევნების შემდეგ უნდა გადამდგარიყო. ამ "პრობლემის" მოგვარებას პუტინი ასე აპირებს: იგი მთავრობას ფორმალურად დაითხოვს და ისევ დაამტკიცებს, თან პირობას დებს, რომ შემადგენლობაში ცვლილებები არ იქნება. ზოგი რუსი ექსპერტი ამტკიცებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი მეორე საპრეზიდენტო ვადისათვის ემზადება და საკუთარი გუნდი მოჰყავს. "**პირველი ვადის დროს, როგორც ხდება ხოლმე, პრეზიდენტი უფრო მომავალ არჩევნებზე ზრუნავს, ახალა კი იგი "საქმეს" მიხედავს,**" – ასეთია ექსპერტთა ამ წრის აზრი. თუმცა, არ უნდა იყოს მართებული "დასავლური" სტანდარტების რუსულ სინამდვილეში გადატანა. სხვა რომ არაფერი, ვინ დაიჯერებს, რომ პუტინი გასული ოთხი წელი, მართლაც, მხოლოდ მომავალ არჩევნებზე წუხდა? რას მოასწავებს "ახალი გუნდის" (სადაც საკვანძო სამინისტროები, თუ პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრების პოსტებს არ ჩავთვლით, ისევ ძველი კადრებითაა დაკომპლექტებული) არჩევნების წინ წარდგენა?

სამთავრობო ცვლილებებს, ალბათ, რამდენიმე დანიშნულება აქვს. ერთი, "ახალი გუნდი" და "ახალი სტრუქტურა" საზოგადოებისათვის ასე საჭირო სიმბოლიზმთანაა დაკავშირებული: ამიერიდან, რუსეთის ისტორიაში (უკვე მერამდენედ) ახალი ეტაპი იწყება. მეორე, ახალი სტრუქტურა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე კრემლის (ანუ პუტინის) კონტროლს კიდევ უფრო ზრდის. მესამე, პერსონალური გადაადგილებები, როცა პოლიტიკური წონის მქონე პირებს ნაკლებად ცნობილი, მაგრამ სანდო პირები ცვლიან, ძალაუფლების პერსონალური კონტროლის აპრობირებული მეთოდია ავტოკრატიიდან "ნახევრადდაშორებულ" ქვეყნებში.

გასული ოთხი წელიწადი პუტინის აბსოლუტიზმის ჩამოყალიბების ხანად შეიძლება მივიჩნიოთ, მომავალი ოთხი წელი კი მისი კონსოლიდაციის ხანა იქნება. საკითხავია, რას მოუმზადებს იგი საფუძველს, ანუ საით განვითარდება რუსეთი? ცალკე თემაა, რა გავლენას იქონიებს რუსეთის განვითარება მის მეზობლებზე? არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთის დემოკრატიული გზით წასვლა დადებით პრეცედენტს შექმნიდა პოსტსაბჭოური სივრცისათვის. ახლა კი, სავარაუდოდ, ფორმალური დემოკრატიის და რეალური ავტოკრატიის ნაზავი ამ სივრცეში მომავალშიც კარგ ტონად ჩაითვლება.

# ამერიკელები ჰაიტიზე მშვიდობას ამყარებენ

კარიბის აუზის კუნძულ ჰაიტიზე განთავსებული საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, ამერიკული საზღვაო ქვეითთა ხელმძღვანელობით, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან ბრძოლას იწყებენ. ამერიკელი სამხედროების განცხადებით, ისინი ჰაიტის პოლიციის ნაწილებთან ერთად უკანონო იარაღის ამოღების მიზნით მრავალჯერად სპეცოპერაციებს განახორციელებენ. როგორც ცნობილია, საერთაშორისო შეიარაღებული ძალები ამბოხებულ კუნძულზე პრეზიდენტ არისტიდის დამხობისთანავე განლაგდნენ და წესრიგის დამყარებას შეუდგნენ. ამ კვირაში გაერო-ს გენერალურმა მდივანმა მიიღო გადაწყვეტილება და პორტო-პრენსში გაერო-ს ექსპერტთა ჯგუფიც ჩავა, რომელიც, ძირითადად, სამხედრო სფეროს მაღალკვალიფიციური ექსპერტებით არის დაკომპლექტებული. მათ მისიას წარმოადგენს მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება, რათა სამ თვეში ჰაიტიზე უშუალოდ გაერო-ს ცისფერჩაფხუტიანები განთავსდნენ.

ამჟამად, მთელი დატვირთვა ამერიკელი სამხედროების მხრებზე გადადის, რომლებიც საზღვაო ქვეითთა დანაყოფით არიან წარმოდგენილები. მათ პოლკოვნიკი ჩარლზ გარგანსი მეთაურობს. მან პორტო-პრენსში ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე განაცხადა: **"ჩვენ ამოვიღებთ ყველა უკანონო იარაღს, რასაც კი აღმოვაჩენთ."**

მან ასევე მოუწოდა ჰაიტელებს, რათა გამოიჩინონ გულისხმიერება და დაასახელონ ის პირები, რომელთა ხელშიც დიდი რაოდენობით უკანონო იარაღია აკუმულირებული. გარგანსი ჰაიტელებს, ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ, ანონიმურობის დაცვას და უსაფრთხოების გარანტიას შეჰპირდა.

ჰაიტელი ლიდერებისგან დაკომპლექტებულმა დროებითმა





აშშ-ს საზღვაო ქვეითი უკანონო იარაღის ამოღებას იწყებს.

საბჭომ კი, ამასობაში, ახალი პრემიერ-მინისტრი დანიშნა. ეს თანამდებობა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯერალდ ლატორტემ დაიკავა. ის ჩრდილოეთ ჰაიტიდანაა და ყოფილი დიქტატორის ლესლი მანიგატის მთავრობაში მუშაობდა. მანიგატის მთავრობა 1988 წელს დაამხეს. ლატორტე პროფესიონალი ეკონომისტია და სამსახურის მოძებნა არ გასჭირვებია. მან გაერო-ს ერთ-ერთ ორგანიზაციაში დაიწყო მუშაობა და საცხოვრებლად ფლორიდის შტატში გადაბარგდა. ამავდროულად, ის ბიზნეს-კონსულტანტადაც მუშაობდა. **"მე ამ შეთავაზებას სიამოვნებით ვღებულობ, თუმცა ვაცნობიერებ იმ ამოცანების სირთულეს, რომელთა გადაჭრაზეც მე პასუხისმგებელი ვიქნები,"** - განაცხადა ჯერალდ ლატორტემ. **"ამავე დროს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ჰაიტელს მოვუწოდო, რომ გულწრფელად და ერთობლივად ემსახურონ სამშობლოს მომავალს, ახალი ჰაიტის ასაშენებლად,"** - დასძინა მან. პრემიერ-მინისტრის პარალელურად, მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა ჰაიტის დროებითი პრეზიდენტი ბონიფაც ალექსანდრე. ის უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარეა.

დამხობილი პრეზიდენტი ჟან ბერტრან არისტიდი კი კვლავ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში იმყოფება და სამართლებრივი ბრძოლის დაწყებით იმუქრება. ის ჰაიტიზე მომხდარ გადატრიალებაში ვაშინგტონს და პარიზს ადანაშაულებს. **"მე აშშ-ს აგენტების საშუალებით დამამხეს. მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც დევნილობაში იცხოვრებს. სამხრეთ აფრიკაში დროებით თუ გავჩერდები. იქიდან ჰაიტიზე დავბრუნდები,"** - აცხადებს ჟან ბერტრან არისტიდი. თუმცა, საეჭვოა, მან აფრიკიდან მოახერხოს ხელისუფლების მოპოვება, მით უმეტეს, რომ არისტიდს ნდობა უკვე საკუთარ მოსახლეობაშიც დაკარგული აქვს.

## ორი სიტყვით

**ნატო.** ჩრდილო-ატლანტიკურ ორგანიზაციასა და რუსეთს შორის ურთიერთობები ახალ ელფერს იძენს. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსთან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დაახლოებას მოსკოვი ყოველთვის გაღიზიანებით ხვდება, თავად რუსეთი უარს არ ამბობს ნატოსთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაზე. საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტასის" ცნობით, 8-12 მარტს აშშ-ს შტატ კოლორადოში, კოლორადო-სპრინგსის მახლობლად შრაივერის სამხედრო-საავიაციო ბაზაზე, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტოს ოპერატიულ ცენტრში მიმდინარეობს რუსეთ-ნატოს პირველი საშტაბო სწავლება არასტრატეგიულ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში. ნატო-ს შტაბ-ბინის წარმომადგენლის ჯეიმს ლოველის განცხადებით, სწავლების სცენარი შემდეგია: ორ მოსაზღვრე ქვეყანას შორის იზრდება დაძაბულობა; კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად საჭირო ხდება გაერო-ს ჩარევა; საერთაშორისო თანამეგობრობა კრიზისის განსამუხტავად აუცილებელი სამხედრო ძალების გამოყოფას რუსეთსა და ნატო-ს თხოვს. სწავლების ძირითადი მიზანია კრიზისული სიტუაციების დარეგულირების დროს შესაძლო ურთიერთშეთანხმებული მოქმედებებისათვის ნატო-რუსეთის საბჭოს მზადყოფნის შეფასება. კერძოდ, დეტალურად მოწმდება დოქტრინებისა და პროცედურების ურთიერთთავსებადობა. სწავლებას ხელმძღვანელობენ რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს გენერალი იური პორტიანიკოვი და ნატო-ს გაფართოებული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სპეციალური ჯგუფის მეთაურის მოადგილე ამერიკელი პოლკოვნიკი კურტ ლამბერტი. სამხედრო წვრთნაში 15 რუსი და ნატო-ს 10 ქვეყნის 45 წარმომადგენელი მონაწილეობს.

ჯეიმს ლოველის განცხადებით, მსგავსი წვრთნების ჩატარება მომავალშიცაა დაგეგმილი. თუმცა, მათი გამართვის თარიღები და სტრუქტურა, ჯერჯერობით, გარკვეული არ არის.

■ ■ ■

**ერაყი.** პენტაგონმა დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ ერაყის ერთ-ერთ საპყრობილეში პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ლიდერი მუჰამედ აბულ აბასი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების შედეგად გარდაიცვალა. აბულ აბასს მე-20 საუკუნის უდიდესი ტერორისტების - კარლოსისა და აბუ ჯიჰადის გვერდით აყენებდნენ. მისი უკანასკნელი ტერაქტი 1985 წელს ხმელთაშუა ზღვაში იტალიური თბომავალის "აკილე ლაურო"-ს გატაცება იყო. ამ ტერაქტის დროს დახვრიტეს ებრაული წარმოშობის ამერიკელი ინვალიდი ლეონ კლინგჰოფერი და მისი ცხედარი ზღვაში გადააგდეს. ამ ფაქტმა საერთაშორისო საზოგადოების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. მას შემდეგ აშშ-მ აბულ აბასზე ძებნა გამოაცხადა, ხოლო იტალიამ მას, სასამართლო პროცესზე დაუსწრებლად, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. აბასი ამერიკელებს 2003 წლის 15 აპრილს ჩაუვარდა ხელში. მანამდე იგი, დაახლოებით, 17 წლის განმავლობაში ერაყში ცხოვრობდა. 1996 წელს აბასმა ინვალიდი ებრაელის მკვლელობას "შეცდომა" უწოდა.

■ ■ ■

**თურქეთი.** სტამბულში აფეთქების შედეგად, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ორი ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე დაშავდა. აფეთქება მასონთა ლოჟის შენობაში განთავსებულ რესტორანში მოხდა. პოლიციის აზრით, აფეთქების ორგანიზატორები - ორი კამიკაძე იყო. ერთ-ერთი მათგანი დაიღუპა, ხოლო მეორე დაჭრილია. თვითმხილველთა თქმით, აფეთქებამდე რესტორნის დარბაზში რამდენიმე გასროლაც გაისმა. ტერაქტისას შენობაში 40 ადამიანი იმყოფებოდა. მასონური ლოჟები განსაკუთრებით გასაიდუმლოებული ორგანიზაციებია. ისლამისტთა მტკიცებით, ისინი აშშ-სა და ისრაელის პოლიტიკას ახორციელებენ. სულ, სტამბულში მასონთა 6 ლოჟაა. გასული წლის ნოემბერში სტამბულში ორი სინაგოგის, ბრიტანეთის საკონსულოსა და ბრიტანული ბანკის აფეთქების შედეგად 62 ადამიანი დაიღუპა.

# კონცეფციები აფხაზეთის საკითხში

*"აფხაზური კლუბის" გუშინდელ შეხვედრაზე დაიწყო დისკუსია თემაზე - სახელმწიფო პოლიტიკა აფხაზეთის საკითხში. მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთის საკითხში, ჯერჯერობით, არ არსებობს სახელმწიფო კონცეფცია და კონკრეტული პროგრამა, მაგრამ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ასეთი კონცეფციები, თურმე, არაერთი მოიძებნება.*

ზაზა ფარუაშვილი

"აფხაზურ კლუბში" პირველი კონცეფცია წარმოადგინეს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა კონსტანტინე ჟღენტმა და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრე რუსეცკიმ.

კონცეფცია მენაღარაშვილის დროს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუხილავთ კიდეც, მაგრამ უთქვამთ, ჯერ ამის დრო არ არისო. კონცეფციის მთავარი ღირსებაა საკითხისადმი მეცნიერული, სისტემური მიდგომა, რაც მადლიერების გრძნობით აღინიშნა აუდიტორიის მიერაც.

კონცეფციაში დაცულია კონფლიქტის შესწავლის კლასიკური მოდელი – კონფლიქტის სახეობა, კონფლიქტის მხარეები და კონფლიქტის მედიატორი. მოცემულია პოლიტიკური კონფლიქტის ტიპები. განხილულია პოლიტიკური კონფლიქტის ხუთი დონე:

1 – კონფლიქტი თვით აფხაზური საზოგადოების პოლიტიკურ ელიტებს შორის (გამოყოფის მომხრენი და მოწინააღმდეგენი); 2 – კონფლიქტი ცენტრსა და ავტონომიას შორის; 3 – კონფლიქტი რეგიონულ დონეზე, კავკასიის სხვადასხვა ხალხების მონაწილეობით; 4 – კონფლიქტი სახელმწიფოებს შორის, რომელშიც მონაწილეობენ საქართველო, რუსეთი, სასომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი; 5 – საერთაშორისო კონფლიქტი მრავალი სუბიექტის, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით.

აფხაზეთის მოსახლეობა დაყოფილია ორ ძირითად ჯგუფად – ცენტრალისტები (აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფის მოწინააღმდეგენი) და სეცესიონისტები (გამოყოფის მომხრენი).

კონცეფციაში გამოყოფილია შემდეგი პოლიტიკური ჯგუფები: სეპარატისტები, რომლებსაც გამოყოფა და დამოუკიდებლობა სურთ; ირედენტისტები, რომლებსაც გამოყოფა და რუსეთთან გაერთიანება სურთ; რეგიონალისტები, რომელთაც კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის შექმნა სურთ; კონფედერალისტები, რომელთაც თბილისთან კონფედერატული ურთიერთობა სურთ; ფედერალისტები, რომელთაც ფედერაციული სახელმწიფოს აშენება სურთ; უნიტარისტები, რომელთაც ქართული სახელმწიფოს მშენებლობა სურთ; ავტონომისტები, რომელთაც თბილისსა და სოხუმს შორის ავტონომიის საბჭოთა მოდელის შენარჩუნება სურთ.


ზაზა ფარუაშვილის ფოტო

*ალექსანდრე რუსეცკი კონცეფციის წარდგენის დროს.*

კონცეფციაში, ასევე, მოცემულია პოლიტიკური კონფლიქტის დარეგულირების კლასიკური პრინციპები, რომლებიც ადაპტირებულია აფხაზეთის კონფლიქტისათვის და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პირობები.

ამრიგად, ავტორები აღნიშნავენ, რომ საქმე გვაქვს არა ერთ, არამედ კონფლიქტის მრავალ სახეობასთან, რაც გულისხმობს პრობლემების სათითაოდ მოგვარებას. სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული სახელმწიფოს ძალისხმევაც, რაც კონფლიქტის მთლიანად მოგვარების წინაპირობა უნდა გახდეს.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, საქართველოში კიდევ რამდენიმე კონცეფცია არსებობს, რომელთა განხილვა "აფხაზური კლუბის" მომავალ შეკრებებზე მოხდება. თითოეულის განხილვის შემდეგ კი შეიქმნება ერთიანი კონცეფციის შეჯერებული ვარიანტი, რომელიც, რეკომენდაციის სახით, გაიგზავნება საქართველოს მთავრობაში. მომავალში კი, კონცეფციის საფუძველზე, კონკრეტული სამოქმედო პროგრამაც შეიქმნება.

# ანტისტიგმა!

*გუშინ დასრულდა პირველი ეროვნული დეკადა "ერთად დავძლიოთ სტიგმა", რომელიც ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა დედაქალაქსა და რეგიონებში. დეკადის ორგანიზატორი იყო საქველმოქმედო – ჰუმანიტარული ფონდი **SOCO** და მისი დამფუძნებელი – სანდრა რულოვსი. "ჩვენი ბრძოლა სტიგმის წინააღმდეგ მოტივირებულია იმით, რომ თითოეულ ადამიანს, ავადმყოფს თუ ჯანმრთელს, შანსი მივცეთ აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ცხოვრებაში. მხოლოდ სოლიდარობისა და ინტეგრაციის გზით, და არა იზოლირებით, ერთად დავძლიოთ სტიგმა!"- საქართველოს პირველი ქალბატონის ხელით ქართულად დაწერილი ეს სიტყვები იყო აღბეჭდილი შეხვედრაზე დარიგებულ საინფორმაციო მასალებზე.*

ლელა მარგიანი

"სტიგმა – ძველბერძნული სიტყვაა. იგი თავდაპირველად იმ "დაღს" აღნიშნავდა, რომელსაც პატრონი თავის მონას ადებდა სხეულზე. ჩვენ დროში "სტიგმა" შეიძლება განისაზღვროს, როგორც სოციალური დამღა, რომელსაც ინდივიდს საზოგადოება ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად "ანიჭებს".

პროექტი "ანტი-სტიგმა" გულისხმობს მოსახლეობის იმ ნაწილის საზოგადოებასთან ინტეგრაციას, რომლებიც გარკვეული სენით არიან დაავადებულნი. ეს შეიძლება იყოს: ეპილეფსია, ტუბერკულოზი, დიაბეტი, შიდსი, ფსიქიკური აშლილობები.

დეკადა პირველ მარტს დაიწყო და ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მის მონაწილეებს შეხვედრები ჰქონდათ თბილისში, ქუთაისსა და თელავში ძალიან ბევრ სხვადასხვა პროფესიის და სოციალური მდგომარეობის ადამიანთან.

**"ჩვენ ხომ ადვილად შეგვიძლია განვსაჯოთ და გავრიყოთ სხვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჩვენგან განსხვავებულია, ან, რატომღაც, გვეშინია მისი. ყოველ ჩვენგანს მიაჩნია, რომ თავად არასოდეს აღმოჩნდება მათ ადგილას, რადგან ის არც შავკანიანია, არც ფსიქიკურად დაავადებული, არც შიდსით ინფიცირებული ნარკომანი. ჩვენი მოღვაწეობის მიზანი არის ინტეგრაცია და არა იზოლაცია. "სტიგმის" თანმდევი შიში და სირცხვილი წარმოქმნის დუმილის კედელს. დადგა დრო, ვილაპარაკოთ ხმამაღლა, რომ ერთად დავამარცხოთ სტიგმა"! -** ამ სიტყვებით გახსნა პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტებთან და დამსწრე საზოგადოებასთან გუშინდელი შეხვედრა პირველმა ქალბატონმა.

გიგი წერეთელი: "**მე, როგორც ექიმს, ნამდვილად მიგრძვნია სტიგმის სისასტიკე. სხვათა შორის, არც ექიმთა წრეა მისგან შორს. პროექტი უდავოდ ძალიან ღირებულია და იგი პერმანენტულად უნდა მუშაობდეს.**"

თენგიზ ცერცვაძე,შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი: "**ასეთი დისკრიმინაციის საფუძველი კი ამ დაავადების შესახებ ცოდნის დაბალი დონეა – ხალხმა არ იცის, რომ საყოფაცხოვრებო კონტაქტით შიდსი არ გადადის.**"

ნათქვამის დასადასტურებლად ბატონმა თენგიზმა დამსწრეთ უჩვენა ცენტრის თანამშრომლების და შიდსიანი ავადმყოფების ერთობლივი ფოტოსურათი და დაამატა, - ცენტრის წევრები მეგობრობენ ავადმყოფებთან, დადიან მათთან დაბადების დღეებზე და ერთი თეფშიდანაც კი ჭამენო.

# ოცნებადაკარგული ბავშვობა

*ქართველებმა რომ ყველაფერი ზღვარგადასული ვიცით, ახალი ამბავი არაა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლება ძალზე ფართოდ გავიგეთ და დევიზი – " შრომა თავისუფალია" – ყველასა და ყველაფერზე გავავრცელეთ. თითქმის, შეეჩვია ჩვენი საზოგადოება რკინიგზის სადგურებსა და ბაზრობებზე, ან თუნდაც, მეტროპოლიტენში მოვაჭრე ყმაწვილების დანახვას. დღეს ბუნებრივად აღიქმება ხოლმე 10-15 წლის გოგო-ბიჭების მიერ გაკეთებული ოფერტი.*

ნონა ყანჩაველი

არადა, ბავშვები ხომ საზოგადოების ის ნაწილია, რომელზედაც სახელმწიფო განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდეს. ისინი კი, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, მოწყვეტილნი არიან სწავლა-განათლებას, კულტურულ განვითარებას. მათ გართობასა და დასვენებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! 15 წლის თეონა ნავთლუღის ბაზარში დახლთან იდგა, როდესაც გავესაუბრე. მას, როგორც აღმოჩნდა, ვაჭრობის საკმაო გამოცდილება დაუგროვებია. იგი დედასთან ერთად თბილისში ქირით ცხოვრობს და დილიდან დაღამებამდე შრომობს.

**"სისხამ დილით დედას ვაგზალზე "ტავარის" ასაღებად მივდევ,** - ამბობს თეონა, - **ძირითადად, ხილით ვვაჭრობთ. მანქანა არ გვყავს და ბარგის მოტანა ზურგით გვიწევს. მარტო დედას უჭირს ტვირთის ავტობუსში ატანა. ორნი კი ამას უფრო ადვილად ვახერხებთ. შემდეგ აქ მოგვაქვს და ვყიდით. ასე მეორდება ყოველ დღე. იშვიათად ისეც ხდება, რომ დღეს ნაყიდი სავაჭრო საქონელი მეორე დღისთვის გვრჩება გასაყიდად. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე დილით ადრე ადგომა აღარ მიწევს და ეს ჩემთვის დიდი შეღავათია. დედა ცდილობს, ძალიან არ გადამღალოს - მე მთელი დღე არ მიწევს აქ დგომა. უფრო ხშირად კი ერთმანეთს ვენაცვლებით."**

თეონა არ აპირებს მუდამ ივაჭროს. იგი დიზაინერობაზე ოცნებობს, მაგრამ იცის, რომ მიზნის მიღწევა გაუძნელდება. მანამდე კი ფულს აგროვებს ჭრაკერვის შესწავლისთვის. ატელიეში სურს მუშაობა. მისი აზრით, ეს უფრო მყუდრო და მოხერხებული იქნება. "**ყოველ შემთხვევაში, დილით უთენია ადგომა და ტვირთის ატან-ჩამოტანა აღარ დამჭირდება,** - ამბობს იგი, - **ახლა ვნანობ, სკოლაში უკეთესად რომ არ ვსწავლობდი და მე-9 კლასიდან გამოვედი. თუმცა, ხშირად ისე დაღლილი ვიყავი, გაკვეთილები აღარ მახსენდებოდა, ხანაც მეზარებოდა..."**

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის მე-14 მუხლით, იკრძალება ადამიანთა დისკრიმინაცია რაიმე ფორმით, იქნება ეს რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სოციალური კუთვნილებისა თუ სხვათა მიხედვით. კანონმდებლობა განსაკუთრებულად არ მოიხსენიებს ასაკის მიხედვით პირთა დისკრიმინაციის აკრძალვას, რადგან, ერთი შეხედვით, ეს თავისთავად ცხადია და დამატებით საკანონმდებლო ფორმულირებას აღარ საჭიროებს. თუმცა, ამავე კონსტიტუციის 36-ე მუხლის მიხედვით, დედათა და ბავშვთა, როგორც შედარებით დაუცველ პირთა, უფლებებს იცავს.

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, მის მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, აღიარონ თითოეული ადამიანის უფლება სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით (მეცხრე მუხლი). იმავე პაქტის მეათე მუხლის მე-3 ნაწილი კი სახელმწიფოსაგან მოითხოვს, უზრუნველყოს ბავშვებისა და მოზარდების დაცვა ეკონომიკური და სოციალური ექსპლუატაციისაგან. მათი შრომის გამოყენება ზნეობის, სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საზიანოდ, ან მათი ნორმალური განვითარების დარღვევა კანონით უნდა დაისაჯოს. ამასთანავე, სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ ასაკობრივი ზღვარი, რომლის ქვემოთაც ბავშვთა ანაზღაურებადი შრომის გამოყენება კანონით აკრძალული და დასჯადია. აღნიშნული პაქტი საქართველოს მიერ რატიფიცირებულია. ამიტომ ჩვენ ქვეყანას ამ პაქტით გარანტირებული უფლებების განხორციელებაზე ზრუნვაც აკისრია.

შრომის კანონთა მოქმედი კოდექსით, საქართველოში იკრძალება 16 წლამდე ახალგაზრდების (განსაკუთრებულ შემთხვევაში 15 წლამდე) სამუშაოზე მიღება საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაციის მიერ. კანონში, ასევე, ჩადებულია დამატებითი შეღავათები უკვე სამუშაოზე მიღებული მოზარდისთვის. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს: როგორც წესი, როცა მშობლები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ შვილებს სოციალურად, ყმაწვილები თავად ცდილობენ თავის უზრუნველყოფას და მზად არიან, ნებისმიერი სამუშაო შეასრულონ. არასრულწლოვანები სამუშაო ბაზარზე ისედაც დაბალკონკურენტუნარიანები არიან და მათთვის საწარმოს კარი კანონითაც ჩარაზულია. ერთადერთი გზა, რაც მათ რჩებათ, გახლავთ თვითდასაქმება.

მომუშავე ბავშვების ზუსტი მონაცემების დადგენა არათუ საქართველოში, მსოფლიოშიც ძნელია. ოფიციალური მონაცემებით, მომუშავე ბავშვთა 55 პროცენტს ბიჭები შეადგენენ, 45-ს - გოგონები. მსოფლიო მასშტაბით 6-დან 15 წლამდე ბავშვების 20,30 პროცენტი მუშაობს. მომუშავეთა 61 პროცენტი აზიაზე მოდის, 32 - აფრიკაზე, ხოლო 7 პროცენტი ლათინურ ამერიკაზე. საქართველო ცალკე არ არის გამოყოფილი, მაგრამ არავითარი ეჭვი არ არის, რომ, ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს ევროპულ ნაწილს ნამდვილად არ მივეკუთვნებით. ამას ჩვენი რეალობაც თვალნათლივ ადასტურებს.

საქართველოში პრობლემებს რა გამოლევს. ზემოაღნიშნულიც ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხია, რომლის გადაწყვეტას თავი უჩანს, ბოლო კი - არა. მანამდე კი ამ სტატიის პერსონაჟი თეონაც ნავთლუღის ბაზარში ზრდასრულ მოვაჭრეთა შორის იდგება და სევდიანი თვალებით გააცილებს თავის ატირებულ ბავშვობას.

# წინა მთავრობის მიერ გაცემული ჯილდოები გუშინ დაარიგეს

*გასული წლის ნოემბერში პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც, ომის ოთხ ვეტერანს - ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი, ხოლო ხუთ ვეტერანს ღირსების ორდენი უნდა გადასცემოდა. ორდენების გადაცემა გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ახალმა მინისტრმა გიგი წერეთელმა ითავა. ვეტერანებმა თავიანთი პრობლემები რამდენიმე პუნქტად ჩამოაყალიბეს და მინისტრს დახმარება სთხოვეს.*

თამარ დვალი

ვიდრე დაჯილდოების ცერემონიალი დაიწყებოდა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გიგი წერეთელმა ომის ვეტერანებს ქვეყანაში არსებული ვითარების მოკლე ექსკურსი ჩაუტარა და შეახსენა, რომ ახალ მთავრობას ძალიან ცუდი მემკვიდრეობა ერგო, რის გამოც, რადიკალური ცვლილებები ჯერ ვერ განხორციელდება. ერთადერთი რასაც მინისტრი ვეტერანებს დაჰპირდა, წინა წლების საპენსიო დავალიანების გასტუმრება იყო. " **რაც წლების განმავლობაში იყო ჩაფიქრებული, ვერ სრულდებოდა. ახლა ვცდილობთ, ყველაფერს ახლებურად შევხედოთ და კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ახალ მთავრობას ცუდი მემკვიდრეობა ერგო. ალბათ, შევძლებთ, რომ ამ წელიწადში წინა წლების საპენსიო დავალიანება გავისტუმროთ, რომელიც 38 მილიონ ლარს შეადგენს. ფანტაზიას თუ მივყვებით, ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, მაგრამ მინდა იმაზე ვისაუბრო, რასაც რეალურად განვახორციელებთ,** " – განაცხადა წერეთელმა.

საპატიო ორდენებისა და წითელი ვარდების გადაცემის შემდეგ ვეტერანებმა სიტყვა ითხოვეს და ახალ მინისტრს თავიანთი გულისტკივილი რამდენიმე პუნქტად წარუდგინეს. ყველაზე მწვავე პრობლემად მათ უფასო სამედიცინო დახმარება დაასახელეს. რაც შეეხება პენსიების ინდექსაციას, მათი თქმით, წინა მთავრობამ კანონი 1991 წელს მიიღო, მაგრამ პენსიების ინდექსაცია არც ერთხელ არ მომხდარა. "**ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ჩვენ ყველაზე ბოლო ადგილზე ვართ. არსად არ არის ასეთი დაბალი პენსია, როგორც ჩვენთან. კანონში ჩადებული იყო, რომ ფულის ინფლაციასთან ერთად პენსიის მატებაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ კანონი კანონად დარჩა,** " – აცხადებენ პენსიონერები.

ომის ვეტერანები, უკვე კარგა ხანია, რაც სახლის აშენებას ითხოვენ: " **ყველა ქვეყანაში არსებობს ვეტერანთა სასახლეები. ეს სახლი ჩვენთვის სულიერი საზრდო იქნება. აქ შევიკრიბებით და ჩვენს გასაჭირზე მაინც დავილაპარაკებთ. წინა მთავრობამ არ შეისმინა ჩვენი თხოვნა და იქნებ ახლა მაინც მოხერხდეს ამ იდეის განხორციელება,** " – ითხოვეს ვეტერანებმა.

ახლო მომავალში სამამულო ომში გამარჯვების 60 წლის იუბილე სრულდება. ვეტერანების დიდი სურვილია, ეს დღე განსაკუთრებულად აღინიშნოს.

# გრანტი და დღეგრძელობის ფენომენი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა და მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა ევროკავშირის სამწლიანი გრანტი მოიპოვეს (270 ათასი ევრო), რომელიც მოხმარდება მეცნიერულ კვლევას თემაზე – "სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების გზა კავკასიური დღეგრძელობის ფენომენისა და ქართული ტრადიციული მედიცინის გამოცდილების საფუძველზე". ჯგუფის მენეჯერია პროფესორი რამაზ შენგელია, სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნოდარ ყიფშიძე. კვლევებში მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის საუკეთესო სპეციალისტები, რომელთა შრომა ბოლოს წიგნში აისახება.

*24 საათი*

# 2003 წლის საუკეთესო დედიკო, მამიკო, ბებიკო და ბაბუკო

ჟურნალმა – "მშობელთა სკოლა" გამოავლინა 2003 წლის საუკეთესო დედიკოები, მამიკოები, ბებიკოები და ბაბუკოები. კონკურსი, რომელიც გულისხმობდა ბავშვის მომვლელთა სამედიცინო განათლების დონის შემოწმებას, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჟურნალის მკითხველები ავსებდნენ სამედიცინო ტესტ-კითხვარებს და რედაქციაში აგზავნიდნენ. წლიური შედეგების მიხედვით, გამარჯვებულები არიან:

**საუკეთესო დედიკო** – 1. თამარ ჩაჩიბაია; 2. ირინა ჩხიკვაძე; 3. ნანა ახალკაცი.


ზაზა ფარუაშვილის ფოტო

*საუკეთესო მამიკო თეიმურაზ გაფრინდაშვილი.*

**საუკეთესო მამიკო** – 1. თეიმურაზ გაფრინდაშვილი; 2. გაგა იაკობაშვილი; 3. ნიკა მამუკელაშვილი.

**საუკეთესო ბებიკო** – 1. ზემფირა კაჭარავა; 2. ციცო ალღუზაშვილი; 3. ნანა ხიზანიშვილი.

**საუკეთესო ბაბუკო** – 1. ივანე ჯაფარიძე; 2. სოსო კანაშვილი; 3. გურამ ნასარაშვილი.

გამარჯვებულებს, ადგილების შესაბამისად, გადაეცათ პრიზები - 200, 150 და 100 ლარის ოდენობით. საზეიმო ცერემონიალი რესტორან "კრისტალში" კონცერტისა და დიდი ვახშმის თანხლებით გაიმართა.



# დანაშაულები, რომლებმაც გაკოტრებამდე მიიყვანა თბილისის უძველესი ღვინის ქარხანა

პირველი გვერდიდან

ორიოდე წლის წინათ უკვე გაკოტრების ზღვარზე მისული ქარხნის საქმეზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რომელსაც ჯერ მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურა იძიებდა, მაგრამ მერე ქალაქის პროკურატურამ გამოითხოვა და რაიონის პროკურატურასა და თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოებში აღძრული საქმეები გააერთიანა. იმ დროს ქარხნის ყოფილ დირექტორს ლევან დემეტრაძეს და დირექტორის შემცვლელს თემურ კორტავას ბრალი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გადასახადებისგან თავის არიდების მუხლებით წარუდგინეს და გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს.

ამჟამად კი თეიმურაზ კორტავას ბრალად ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების, კერძოდ, 117 ათასი ლარის მითვისება. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ეს მხოლოდ ნაწილი გახლავთ იმისა, რასაც თავის დროზე კორტავასა და "სავანე - N1 ღვინის ქარხნის" ყოფილ დირექტორს ლევან დემეტრაძეს ედავებოდნენ. ჩვენი ინფორმაციით, კორტავას წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში არის მასალები ქარხანაში ჩატარებული საბუღალტრო ექსპერტიზის თაობაზე, რომლის თანახმადაც, სააქციო საზოგადოება "სავანე N1 ღვინის ქარხნის" დირექტორს ლევან დემეტრაძესა და შემცვლელ დირექტორს თეიმურაზ კორტავას კომპანია "TURRA INC"-ისაგან 2000 წლის დასაწყისში, 117 ათასი დოლარის გარდა, სხვადასხვა პერიოდში 173 ათასი დოლარიც აქვთ მიღებული. როგორც ირკვევა, ქარხნის მაშინდელ ხელმძღვანელობას ეს თანხები ქარხნის შემოსავალში არ აუღია და, აქედან გამომდინარე, არც ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოიპოვება. არადა, "TURRA INC" ადასტურებს, რომ ეს თანხა ნამდვილად გადასცეს ქარხნის დირექტორებს. უბრალოდ, უშუალოდ კორტავას მიმართ წაყენებული ბრალი იმ ფაქტს ეყრდნობა, რომ საბანკო დოკუმენტაციის მიხედვით, 173056 აშშ დოლარი პირადად დემეტრაძეს მიუღია, ხოლო 117 ათასი აშშ დოლარი – კორტავას. აღნიშნული თანხა ინვესტორმა სასაწყობო ტერმინალის მოსაწყობად გამოყო, თუმცა, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დირექტორებს ეს თანხა არც ქარხნის სალაროში შეუტანიათ და თანხის ხარჯვის მონაცემები არც ბუღალტერიაშია გატარებული. მოკლედ, ექსპერტიზით დადგინდა, რომ ინვესტორისაგან ქარხნისათვის გამოყოფილი 290 ათასი აშშ დოლარი დემეტრაძე – კორტავამ, პრაქტიკულად, ,თაღლითური გზით მიითვისეს.

"სავანე - №1 ღვინის ქარხანაში" აღმოჩენილი დარღვევები ამით არ მთავრდება. გამოძიებას მოეპოვება მასალები, სადაც ქარხნის ხელმძღვანელობას კიდევ არაერთ დარღვევას ედავებიან, თუმცა თბილისის პროკურატურაში აცხადებენ, რომ კორტავას ბრალი ზემოთ ნახსენებ ეპიზოდში უკვე დადასტურებულ იქნა, დანარჩენ ფაქტებზე კი გამოძიება აგრძელებს მუშაობას.

გამოძიების მონაცემების თანახმად, არსებობს ეჭვი, რომ არამიზნობრივადაა გამოყენებული "TBC ბანკიდან" გამოტანილი სესხის ნაწილი – 23958 აშშ დოლარი, გაფორმებულია კაბალური ხელშეკრულებები რუსეთის ფირმებთან ღვინის მიწოდებასთან დაკავშირებით, უკვალოდაა გამქრალი ქარხნის კუთვნილი 87976 ბოთლი საკოლექციო ღვინო, რომლებიც ისტორიის და კულტურის ძეგლს წარმოადგენს, ნახევარ ფასშია გაყიდული ქარხნის წარმოებული ღვინოები, უკანონოდ და კაბალურადაა გაქირავებული ქარხნის ტერიტორია - ესაა მოკლედ იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომლებსაც თბილისში მდებარე "სავანე - №1 ღვინის ქარხნის" ყოფილ დირექტორს – ლევან დემეტრაძეს, შემცვლელ დირექტორს – თეიმურაზ კორტავას და კიდევ ქარხნის რამდენიმე ყოფილ ხელმძღვანელს გამოძიება ედავება.

უფრო დეტალურად კი, ჯერ კიდევ 1998 წლის ნოემბერში ''TBC ბანკსა" და "სავანე - №1 ღვინის ქარხნის" ხელმძღვანელობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ქარხანამ მიიღო 23 958 აშშ დოლარი, რომელიც ქარხნის ხელმძღვანელობამ ისე გააფორმა, თითქოს იგი საცობების საფასურად ბულგარულ ფირმა "PIC–67"-ს გადაეცა. თუმცა, როგორც დადგინდა, ამ ფირმას ქარხანაში არავითარი საცობები არ შეუტანია და დღემდე უიმედო დებიტორად ირიცხება. გარდა ამისა, დადგინდა ისიც, რომ ფულის მიღებაზე ხელმომწერი პირი საქართველოში არასოდეს ყოფილა და, შესაბამისად, აქ ფულსაც ვერ მიიღებდა.

მარტო 1998 –2000 წლებში ღვინის ქარხნის მიერ რუსეთში 10 ორგანიზაციაზეა რეალიზებული 394 643 ლარის სხვადასხვა დასახელების ღვინო. პარადოქსია, მაგრამ აქედან 233 777 ლარი დღესაც დებიტორულ დავალიანებად ირიცხება და ქარხანას ამ თანხების ამოღების შანსი პრაქტიკულად აღარ აქვს. არადა, როგორც ქარხნის ამჟამინდელი თანამშრომლები ირწმუნებიან, დემეტრაძე – კორტავას არც კი უცდიათ ამ თანხების ამოსაღებად რაიმე ღონისძიებების გატარება. მათი მტკიცებით, ყოფილი დირექტორები რუსულ ფირმებთან გარკვეულ გარიგებაში იყვნენ და ამ თანხის გარკვეული ნაწილიც სწორედ მათ ჯიბეში მოხვდა.

თურმე, დემეტრაძე – კორტავა ქარხნის ღვინოებს თვითღირებულების ნახევარ ფასად ყიდდნენ და ამას მყიდველთა მოზიდვის მოტივით "ამართლებენ", მაგრამ ამით არა მარტო ქარხნის თანამშრომლები, არამედ, ბიუჯეტიც მნიშვნელოვნად დაზარალდა. ამ მაქინაციით ხელმძღვანელობა აქციონერებსა და სახელმწიფოს ერთად ატყუებდა. გამოძიებას მოეპოვება მასალები, რომელთა მიხედვითაც, დაბალი ფასის დაფიქსირებით მათ ქარხანა – 305 594 ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი 70 118 ლარით დააზარალეს.

გამოძიების მასალების თანახმად, "სავანე - №1 ღვინის ქარხანაში" არანაკლებ საგანგაშო მდგომარეობაა საკოლექციო ღვინოების საკითხში. თუ 1988 წლის ბოლოს ქარხნის ბალანსზე 123 326 ცალი საკოლექციო ღვინო ირიცხებოდა, 2002 წლის ბოლომდე მისი რაოდენობა 35 350 ცალამდე შემცირდა. საკოლექციო ღვინოების ასეთი კლების გასამართლებელი რაიმე საბუთი გამოძიებამ ქარხნის დოკუმენტებში ვერ აღმოაჩინა; სამაგიეროდ, არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, დანაკლისი ღვინოების ღირებულება 6 409 382 ლარს შეადგენს. ღვინოების კანონიერი გზებით გაყიდვის შემთხვევაში ეს თანხა ქარხნის ბალანსზე უნდა ასახულიყო, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს აქედან დღგ-სა და აქციზების სახით 1 081 174 ლარი უნდა მიეღო. როგორც აღვნიშნეთ, ქარხნის ხელმძღვანელობას ეს არ გაუკეთებია და, გამოძიების მასალების მიხედვით, 6,4 მილიონ ლარზე მეტი მიითვისა; ანუ მათ განახორციელეს განსაკუთრებით ისტორიული, კულტურული, მეცნიერული და ეროვნული ძეგლის დაუფლება მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების მიზნით. აღნიშნული დანაშაული 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გამოძიებამ №1 ქარხნის საქმის გამოძიებისას ერთ მნიშვნელოვან დეტალს მიაგნო; კერძოდ, ქარხნის ტერიტორიის ნაწილის იჯარით გაცემის ხელშეკრულებას. "სავანე N1 ღვინის ქარხნის" დირექტორმა ლევან დემეტრაძემ ხელშეკრულება გააფორმა ფირმა "თემოსთან", რომლის დირექტორიც ამავდროულად მისი შემცვლელი დირექტორი თემურ კორტავა გახლდათ. ხელშეკრულების თანახმად, მათ ქარხნის კუთვნილი 150 კვადრატული მეტრი ფართობი, ფაქტობრივად, საკუთარ თავს მიაქირავეს და თანაც ძალზე სასაცილო თანხად - 40 თეთრად. არადა, მხოლოდ ქარხნის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით (იგი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ, ვერაზეა განთავსებული) აღნიშნულ ხელშეკრულებას კომენტარი არ სჭირდება. სწორედ ამ ფართობზე იყო განლაგებული ქარხნის მთელი ტექნოლოგიური მოწყობილობა-დანადგარები, რომელთა საერთო ღირებულება 900 ათას აშშ დოლარს აჭარბებს, ანუ 40 თეთრად მოხდა 900 000 აშშ დოლარის ღირებულების დანადგარის 25 წლით ხელში ჩაგდება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმების დროს (ისევ დემეტრაძე-კორტავას წყალობით) ქარხანა იპოთეკის ხელშეკრულებით იყო დატვირთული და ბანკის თანხმობის გარეშე ტერიტორიის იჯარით გაცემის უფლება არ ჰქონდათ.

ეს იმ დანაშაულთა სრული ჩამონათვალია, რომლებსაც სულ ცოტა ხნის წინათ გამოძიება "სავანე - N1 ღვინის ქარხნის" ხელმძღვანელობას ედავებოდა და ამჟამად აგრძელებს ამ საკითხების ირგვლივ მუშაობას.



"სავანე - №1 ღვინის ქარხნის" ყოფილ ხელმძღვანელს დღეს პატიმრობა შეუფარდეს.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# მოსამართლე არ აპროტესტებს, უბრალოდ, შვებულებაში გადის

*მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ გუშინწინ ატეხილი აჟიოტაჟი გუშინ, საღამოს, მშვიდობიანად დასრულდა. მამუკა სონღულაშვილმა, რომელიც დღის განმავლობაში აშკარად თავს არიდებდა ჟურნალისტებთან ურთიერთობას და, შესაბამისად, ფართო საზოგადოების წინაშე გამოჩენას, უკვე საღამოს, საკუთარ კაბინეტში მჯდომმა, ტელეკამერების წინ უარყო ინფორმაცია თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.*

სოფიკო ჩხაიძე

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომის შესახებ ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც მამუკა სონღულაშვილმა აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა ვაკე-საბურთალოს პოლიციის საგამოძიებო ნაწილის უფროსს ზაზა მესხსა და ორ გამომძიებელს - მამუკა გვარამიასა და გიორგი ძიძიგურს. სამივე მათგანს ბრალად სამსახურებრივი გულგრილობა ედებათ, რაც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა რიგს არ განეკუთვნება და, თუ არ არსებობს ინფორმაცია, რომ ბრალდებულები მაინცდამაინც გამოძიებისთვის თავის არიდებას ეცდებიან, როგორც წესი, მათ მიმართ პატიმრობას არ იყენებენ ხოლმე. თუმცა, სავარაუდოდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ საქმის რეზონანსულობამ და მისმა პოლიტიკურმა ელფერმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. გამომძიებლებიცა და მათი ხელმძღვანელიც ხომ ორი ბათუმელი ახალგაზრდის, იარაღის უკანონოდ ტარებაში ბრალდებული და სასამართლოს მიერ გაუსვლელობის ხელწერილით გათავისუფლებული მერაბ მიქელაძისა და ლაშა ჩახვაძისთვის ბათუმში წასვლის ნებართვის მიცემის გამო დააკავეს. როგორც ცნობილია, ბათუმელებმა გამომძიებლების ნდობით ისარგებლეს, თბილისში დაბრუნებასა და, შესაბამისად, გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარს ამბობენ.

ამ მოვლენებთან მიმართებაში უმნიშვნელო არ გახლავთ იმ ფაქტის აღნიშვნა, რომლის შესახებაც "24 საათი" უკვე წერდა. კერძოდ, რომ მიქელაძე-ჩახვაძის საქმეზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების გარდა, პოლიტიკური ბერკეტებიც ამოქმედდა. სხვათა შორის, სწორედ პოლიტიკოსთა, კერძოდ, ასლან აბაშიძეს, ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძეს შორის დადებულ შეთანხმებას მიეწერა ის, რომ იარაღის უკანონოდ ტარებისთვის დაკავებულების მიმართ სასამართლომ ბოლო ხანებში ჩვეული სიმკაცრე არ გამოიჩინა და მათ ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გათავისუფლება აკმარა. სამაგიეროდ, თავის მხრივ, ბათუმში "კმარას" დაკავებული ადგილობრივი აქტივისტების გათავისუფლება უზრუნველყვეს.

ურევია თუ არა პოლიტიკოსთა ხელი გამომძიებლების მიერ ბრალდებულთათვის ქალაქიდან გასვლის ნებართვის გაცემაში? ამაზე მხოლოდ მინიშნებები კეთდება. ფაქტი კი ერთია - ასეთი ნებართვის გაცემის უფლებას გამომძიებელს სისხლის სამართლის პროცესის 169-ე მუხლი ისე აძლევს, რომ არავითარ შეზღუდვებს არ უწესებს.

მიუხედავად ამისა, გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა გია ბარამიძემ გამომძიებელთა დაპატიმრების გამო ატეხილი აჟიოტაჟის შესახებ ასეთი კომენტარი გააკეთა:

**" ბათუმელი სტუდენტების გათავისუფლებაში მაღალი რანგის პოლიტიკოსთა ჩარევის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. დამერწმუნეთ, ასე რომ ყოფილიყო, მათი ნებართვით მოქმედნი დარტყმის ქვეშ არ დადგებოდნენ. რაც შეეხება გამომძიებლებს, რომლებსაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, მათ უფლება ჰქონდათ გაეშვათ ბათუმელი სტუდენტები, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია მეორე მხარე – მათმა ქმედებამ გამოძიების ინტერესები დააზარალა და სწორედ ამის გამო უნდა აგონ პასუხი. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბათუმელი სტუდენტები უკან აღარ დაბრუნდებოდნენ და ამით გამოძიების ინტერესები დაზარალდა".**

ამ კომენტარის გაკეთებისას გია ბარამიძეს არ დაუსახელებია საკანონმდებლო აქტი, რომელიც შეიცავს ფორმულირებას გაუსვლელობის ხელწერილით გათავისუფლებული პირისთვის ქალაქიდან გასვლის ნებართვის გაცემით გამოძიებისთვის ზარალის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელისა და მისი ხელქვეითებისთვის ბრალად წარდგენილ ქმედებაში დანაშაულის არსებობა თავისთავად ეჭვს იწვევს და, ესეც რომ არ იყოს, ამ მუხლით ბრალდებულებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ეფარდებათ წინასწარი პატიმრობა, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას გარკვეული ზეწოლის შედეგად მიღებულის ელფერი ნამდვილად დაჰკრავდა.

ფაქტია, ქართველი მოსამართლეები ბოლო ხანს როგორც არასდროს ისეთ სიმკაცრეს იჩენენ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხში. ვარდების რევოლუციის შემდეგ გახშირებული რეზონანსული დაკავებები მათი მხრიდან ყოველთვის გამართლებას იმსახურებს და თითქმის არცერთ, საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილ ბრალდებულს, მიუხედავად ბრალდების სიმძიმისა, წინასწარი სამთვიანი პატიმრობა არ ასცდენია. არასამთავრობო ორგანიზაციათა მხრიდან უკვე გაიჟღერა იმ მოსაზრებამ, რომ ასეთი სიმკაცრის უკან პოლიტიკური შეკვეთა უნდა იდგეს; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უშუალოდ მამუკა სონღულაშვილის მიმართ სხვადასხვაგვარი ზეწოლით გადაწყვეტილების მიღების პრეტენზია არაერთხელ გამოთქმულა. პრინციპში, ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო, რომელსაც ის უკვე წლების მანძილზე თავმჯდომარეობს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ დაკავებულთათვის აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდებას განიხილავს და არაერთხელ გვსმენია, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას იქ ხშირად არა კანონის უშუალო მოთხოვნებს, არამედ სამართალდამცველთა მიერ წარმოებული "გამოძიების ინტერესებს" უფრო ითვალისწინებდნენ.

ფაქტი ასეთია - ზეწოლის შედეგად მიჩნეული გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ მამუკა სონღულაშვილის სავარაუდო გადადგომის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია მოსამართლის მხრიდან გმირობის გამოჩენის ტოლფასად იქნა მონათლული. მეტიც, შთაბეჭდილებები კიდევ უფრო გაამძაფრა გუშინ გახმაურებულმა ცნობამ სონღულაშვილის თვითმკვლელობის მცდელობის თაობაზე, მაგრამ უკვე საღამოს აღმოჩნდა, რომ მამუკა სონღულაშვილს არც თანამდებობა დაუტოვებია და არც ვენები გადაუჭრია, ის მხოლოდ და მხოლოდ კუთვნილ შვებულებაში გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მან განაცხადა - გამომძიებლებისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა ძალზე გამიჭირდა და შვებულებაში გასვლა სწორედ ამ კონკრეტული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გადავწყვიტეო, როგორც ჩანს, ქართველი მოსამართლეები ჯერ კიდევ არ არიან მზად, პროტესტის აქტიურ ფორმას მიმართონ; რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მათზე ზეწოლა რეალურია. თავად მამუკა სონღულაშვილი გუშინ ირწმუნებოდა, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა.

# საკადრო ცვლილებების მეორე ეტაპი შინაგან საქმეთა სამინისტროში

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ აქტიურად და აგრესიულად ვიბრძვით კრიმინალების წინააღმდეგ, მაგრამ არ შემიძლია იმის თქმა, რომ ამ პერიოდში რამე კარდინალურად შეიცვალა. მომავალში უფრო მეტი ძალისხმევა გვჭირდება, ამისათვის კი მჭირდება გუნდი, რომელსაც ვენდობი და რომელიც განახლებულ სამინისტროში შეძლებს მუშაობას",** - ასეთი შესავალი გაუკეთა გიორგი ბარამიძემ იმ რჩეულთა გვარების დასახელებას, რომლებიც უახლოეს მომავალში შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმის განხორციელებასა და კრიმინალებზე გამარჯვებას შეძლებენ.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ძველი კადრებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობის უფლება შეინარჩუნა და დაწინაურებაც შეძლო პოლიციის აკადემიის დირექტორმა, შს მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გურამ ქარქაშაძემ. იგი დღეიდან შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე ირაკლი განუგრავას ნაცვლად იმუშავებს. შინგან საქმთა მინისტრის განცხადებით, ქარქაშაძემ აღნიშნული თანამდებობა და მინისტრის ნდობა პატიოსნებით, პროფესიონალიზმით, ახალი ხელმძღვანელობისადმი ლოიალობითა და მხარდაჭერით დაიმსახურა. პოლიციელთა აღზრდა კი მომავალში იურიდიულ მეცნიერებათა დოცენტს ლევან იზორიას დაევალა.

ბარამიძის განცხადებით, ახალდანიშნული კადრები შერჩეულია მათი განვლილი ცხოვრების გათვალისწინებით.

**"ჩვენი გუნდის დაკომპლექტების ძირითადი კრიტერიუმი პატიოსნება და პროფესიონალიზმია. ჩვენ ქუჩიდან არავინ მოგვიყვანია",** - ასეთია მომავალი კოლეგების მინისტრისეული მოკლე დახასიათება.

საკადრო ცვლილებების მეორე ეტაპს შს მინისტრის ორი მოადგილე – პატიოსნებითა და პროფესიონალიზმით ცნობილი შოთა ასათიანი და რუბენ ასანიძე შეეწირნენ. ისინი დღეიდან კადრების განკარგულებაში მოიაზრებიან. მათი ადგილები კი ირაკლი კლდიაშვილმა და ავთანდილ ანთაძემ დაიკავეს.

ირაკლი კლდიაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე ბარამიძის გამინისტრების შემდეგ დაიწყო მუშაობა.

**"მან თავი გამოიჩინა ნარკომანი და უღირს პოლიციელების წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში",** - ასე ახასიათებს ბარამიძე ახალ მოადგილეს.

რაც შეეხება ავთანდილ ანთაძეს, იგი აქამდე შს სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობდა.

საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი განუგრავასთან ერთად თანამდებობა დატოვეს მისმა მოადგილეებმაც – რომან მეგრელიძემ, თემურ თვაურმა და თბილისის საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა რიონ კაპანაძემ. ქარქაშაძის მოადგილეების სავარძლები დაიკავეს ვლადიმერ კონსტანტინიდმა და ლევან მაღრაძემ, რომლებიც იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მუშაობდნენ. ქალაქის გამოძიება კი ზვიად სულხანიშვილს ჩაბარდა. იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრია.

საკადრო ცვლილებების მეორე ეტაპი ვერ გადალახა ინტერპოლის ეროვნული ბიუროს უფროსმა კახა ბაკურაძემ. იგი დავით მაღრაძემ შეცვალა, რომლის პრივილეგიებიც საერთაშორისო განათლება და "FBI"-ში მიღებული ცოდნაა.

დღეიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში კადრების დანიშვნას თუ დაწინაურებას ბელა ჯაველიძე გადაწყვეტს. იგი შს სამინისტროს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარ სამმართველოს უხელმძღვანელებს. ხოლო სამინისტროს სამდივნოს უფროსი ასევე ქალი - ლელა ჯავახაძე იქნება. როგორც ჩანს, პრეზიდენტის მსგავსად, ბარამიძეც სამინისტროში მდედრობითი სქესის წინა პლანზე წამოწევას ცდილობს.

მართალია, გუშინდელ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრს არ დაუკონკრეტებია, როდემდე არ ეყოლება საგზაო პოლიციას უფროსი, მაგრამ, მისი თქმით, ამ ეტაპზე საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობას შეასრულებს ვასილ მარგალიტაძე, რომელიც პოლიციაში უშიშროების საბჭოდან გადაიყვანეს.

დაბოლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებული რეფორმების ბედი გია კიკნაძეს ჩაბარდა.

**"დარწმუნებული, ვარ, რომ სამინისტროში დაწყებული რეფორმები წარმატებით დასრულდება და ჩვენი ყველა გადაწყვეტილება და განკარგულება სწორედ გია კიკნაძის რევიზიის შემდეგ გავრცელდება",** - განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

ერთი სიტყვით, ასეთია შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული საკადრო ცვლილებების მეორე ეტაპი; თუმცა, როგორც მინისტრი გვპირდება, იგი მანამ გაგრძელდება, ვიდრე ბარამიძე ერთიან და სანდო გუნდს არ ჩამოაყალიბებს.

**"რეფორმას მარტო მინისტრი ვერ განახორციელებს. მას სჭირდება გუნდი, ამიტომ საკადრო ცვლილებებს გავაგრძელებთ მანამ, სანამ საჭიროდ ჩავთვლით",** – ასეთია გიორგი ბარამიძის ზოგადი გადაწყვეტილება; კონკრეტულად კი, ვის მოუწევს უახლოეს მომავალში სამინისტროს დატოვება, ალბათ, ასევე უახლოეს მომავალში გავიგებთ.

## ორი სიტყვით

**გორი.** გორის ქუჩებში ნიღბიანი პირები გამოჩნდნენ. შიდა ქართლის სპეცდანიშნულების რაზმმა ქალაქის საგანგებო პატრულირება დაიწყო. სპეცდანიშნულების რაზმის რამდენიმე დღის წინ დანიშნული ხელმძღვანელი რევაზ კლდიაშვილი აცხადებს, რომ საგანგებო ღონისძიებები გორსა და გორის რაიონში კრიმინოგენული ვითარების გართულებას უკავშირდება. მისივე თქმით, პატრულირება ითვალისწინებს გატაცებული ავტომანქანების, უკანონო იარაღის, ნარკოტიკული ნივთიერებების ამოღებას და ნარკოტიკების მომხმარებელთა დაკავებას. კლდიაშვილის განცხადებით, ღონისძიებები გორის რაიონის ტერიტორიაზე ყველა მიმართულებით მოულოდნელად განხორციელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** გორის რაიონში დღეს დაყაჩაღების მცდელობას ავტოსაგზაო შემთხვევა მოჰყვა. "ვაზ-21-09" მარკის ავტომანქანა, რომლითაც დამნაშავეები მოძრაობდნენ, დაყაჩაღების მიზნით "კამაზის" მარკის სატვირთო ავტომანქანას გადაუდგა, რასაც მანქანების შეჯახება და გზის სავალი ნაწილიდან გადავარდნა მოჰყვა. მსხვერპლი არ არის. თავდამსხმელებმა "კამაზის" მძღოლს მიხეილ დარბაიძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და მიიმალნენ. სასტიკად ნაცემი დარბაიძე გორის საავადმყოფოშია გადაყვანილი. გორის პოლიციის N1 განყოფილების ხელმძღვანელობის განცხადებით, "09" მარკის ავტომანქანის მფლობელისა და მასში მყოფ თავდამსხმელთა ვინაობის დასადგენად საგანგებო ღონისძიებები ტარდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხულოს რაიონის შს განყოფილებაში გამოცხადდა განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი, 32 წლის ანზორ მუშარბაძე, რომელმაც 2002 წლის 9 მაისს ურთიერთშელაპარაკებისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თანასოფლელს, 44 წლის ოთარ მუშარბაძეს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისის პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დარღვევასა და განსაცდელში მიტოვებისთვის ძებნილი, 23 წლის გიორგი კიკაჩეიშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის ძებნილი, 22 წლის გიორგი დამბურაჯელი, რომელმაც 2003 წლის 18 დეკემბერს, თავის მეგობრებთან ერთად, ცოლად შერთვის მიზნით მოიტაცა თბილისელი მაია შოშიაშვილი. დამბურაჯელი მოთავსებულია იუსტიციის სამინისტროს N5 საპყრობილეში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, ორხევის დასახლებაში, გუშინწინ მკვლელობა მოხდა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ორჯერ ნასამართლევმა, 39 წლის მიხეილ აზალაძემ ურთიერთშელაპარაკების შემდეგ საკუთარ სახლში დანით ყელში დაჭრა თავისი სტუმარი, დუშეთის რაიონის სოფელ წითელსოფელში მცხოვრები, 42 წლის გია ბრატულიჩი. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციელებმა აზალაძე გუშინწინვე დააკავეს. ამ ფაქტის გამოძიება დაიწყო თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურამ. **მედია-ნიუსი**

# ლარის მახე

## ანუ ქართული ეკონომიკური აზროვნების ბრწყინვალება და სიღატაკე

რომან გოცირიძე

### როგორ ყალიბდება ლარის გაცვლის კურსი

სანამ ბოლო პერიოდში მომხდარ ლარის გაცვლის კურსის ცვლილებებზე ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ იმ საკითხს, თუ როგორ ხდება მისი ფორმირება საქართველოს სავალუტო ბაზარზე.

მიუხედავად იმისა, რომ აღიარებულია მოსაზრება, თითქოს საქართველოში გამოიყენება ვალუტის თავისუფლად მცურავი კურსის რეჟიმი, იგი სინამდვილეს არ შეესაბამება.

სავალუტო კურსის "ცურვის სტრატეგია" გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო არ ერევა კურსის დაწესებაში და იგი თავისუფალ სავალუტო ბაზარზე განისაზღვრება. ასეთი პრაქტიკა უფრო ხშირად გავრცელებულია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის და დიდი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. როგორც წესი, მათი ვალუტა კონვერტირებადია.

საქართველოში დღიდან ლარის შემოღებისა, ყოველთვის გამოიყენებოდა ვალუტის მართვადი (რეგულირებადი) "ცურვის" სტრატეგია.

რეგულირებადი "ცურვა" განსხვავდება "თავისუფალი ცურვისაგან" იმით, რომ სავალუტო კურსის დადგენის მომენტში თავისუფალ ბაზარზე მონაწილეობს ცენტრალური ბანკი, რომელიც აკავებს კურსის ცვალებადობას. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოსათვის აუცილებელია უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი რეზერვების ქონა. სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეგულირებადი "ცურვის" არასწორად გამოყენებას მივყავართ რეზერვების მნიშვნელოვან დანაკარგებთან, მისი მართვა კი მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს.

მიუხედავად ამისა, ვალუტის რეგულირებადი "ცურვის" გამოყენება საფინანსო ბაზარზე მეტნაკლებად პროგნოზირებად ვითარებას ქმნის. სწორედ ამიტომ, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო მისაღები აღმოჩნდა ვალუტის ამ სახის მცურავი კურსის მექანიზმის გამოყენება, რასაც მხარს უჭერს საერთაშორისო სავალუტო ფონდიც.

როგორც უკვე აღინიშნა, ლარის შემოღებიდან დღემდე მისი კურსი არასდროს ყოფილა განსაზღვრული ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. იგი იყო ან ხელოვნურად გამყარებული (1995-1998 წლები), ან ხელოვნურად შემცირებული (1999-2003 წლები).

1995 წლის ოქტომბრიდან, ლარის შემოღებიდან მისი აშშ დოლარზე გაცვლის კურსი 1998 წლის შემოდგომამდე სტაბილური იყო და იგი მერყეობდა 1,3 ლარის ფარგლებში. ამ პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკი ატარებდა "მართვადი მცურავი კურსის" პოლიტიკას.

ლარი ყოველთვის განიცდიდა ზეწოლას უცხოური ვალუტის მხრიდან და თანდათანობით გაიაფებისაკენ ჰქონდა მიდრეკილება. მისი კურსის დაცემის თავიდან ასარიდებლად ეროვნული ბანკი ინტერვენციებს ახორციელებდა. 1996 წელს ეროვნული ბანკის წმინდა ინტერვენციამ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 97,2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, 1997 წელს – 39,5 მილიონი დოლარი, ხოლო 1998 წელს – 84,2 მილიონი დოლარი (სულ აღნიშნული წლების განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა გაყიდა 221 მილიონი დოლარი). მიუხედავად ამისა, 1998 წლის დეკემბრის თვეში ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა ინტერვენციები და ლარის დევალვაცია მოახდინა (რუსეთის საფინანსო კრიზისის ზემოქმედების შედეგად). ამ მომენტისთვის ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები 64 მილიონ დოლარამდე შემცირდა.

1999 წლის იანვრიდან ლარი სტაბილური გახდა ახალ ნიშნულზე და ერთი აშშ დოლარი, დაახლოებით, 2 ლარი ღირდა. როგორც შემდგომმა პროცესებმა გვიჩვენა, აღნიშნული კურსი ეკონომიკურ რეალობას არ შეესაბამებოდა. ლარს გაუჩნდა გამყარების ტენდენცია და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იგი მისთვის უფრო ბუნებრივი ნიშნულისაკენ მიისწრაფოდა.

მიუხედავად საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადებისა, თითქოს იგი მიმართავდა თავისუფლად მცურავი კურსის პოლიტიკას, სინამდვილეში იგი კვლავ განაგრძობდა კურსის ხელოვნურად რეგულირებას, ოღონდ უკვე ამცირებდა ლარის კურსს და ამყარებდა დოლარს, მიმართავდა რა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ცალმხრივ ინტერვენციებს, ანუ ამჟამად უკვე ყიდდა ლარს და ყიდულობდა დოლარს.

ასეთი პოლიტიკის მიზანი იყო ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვების შევსება, რომელიც საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ აღებული უცხოური კრედიტების გასტუმრებას უნდა მოხმარებოდა. დღეისათვის ეროვნული ბანკის რეზერვები 200 მილიონი დოლარია (მისი შევსება ძირითადად ხდება სავალუტო ფონდის სესხებით, საქართველოს მთავრობისათვის მიცემული გრანტებითა და კრედიტებით, აგრეთვე ბანკთაშორის ბირჟაზე დოლარის შესყიდვის გზით).



რომან გოცირიძე სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.



1999-2003 წლებში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბირჟაზე შეიძინა 207 მილიონი დოლარი (1999 წელს - 15 მილიონი დოლარი, 2000 წელს – 75 მილიონი დოლარი, 2001 წელს - 35 მილიონი დოლარი, 2002 წელს - 40 მილიონი დოლარი, 2003 წელს – 42 მილიონი დოლარი, ანუ გაყიდა და მიმოქცევაში გაუშვა, დაახლოებით, 420 მილიონი ლარი). მიმდინარე წლის ორთვენახევრზე ნაკლები დროის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა უკვე მოასწრო 18 მილიონი დოლარის შესყიდვა.

აღნიშნული ფაქტი რომ არ მომხდარიყო, ლარის საბაზრო კურსი დოლართან მიმართებაში, დაახლოებით, 1,7-1,8–ის ფარგლებში იქნებოდა.

## ლარის მახეში მხოლოდ დოლარი კი არა გაება, არამედ ქართული ეკონომიკური აზროვნებაც.

როგორც ვხედავთ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ლარის გაცვლის კურსი ხელოვნურად იყო შემცირებული.

### ლარის გაცვლის კურსზე მოქმედი ფაქტორები

აუცილებელია ზოგადად მაინც იქნას განხილული ყველა ის ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სავალუტო კურსზე. მათი ყოველმხრივი შესწავლის გარეშე მთავრობას და ეროვნულ ბანკს გაუჭირდება აქტიური სავალუტო პოლიტიკის განხორციელება და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება.

იმ ეკონომიკური, პოლიტიკური, სტრუქტურული, სამართლებრივი თუ ფსიქოლოგიური ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებენ ლარის კურსის ცვლილების დინამიკაზე, რამდენიმე ათეულს აღწევს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: სავაჭრო ბალანსი, მთლიანი შიდა პროდუქტი, ფულადი მასის სიდიდე, საპროცენტო განაკვეთები, ინფლაციის მოსალოდნელი დონე, სახელმწიფო რეგულირების ფორმა.

აღნიშნული ფაქტორები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

**ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავს სავალუტო კურსის დინამიკას:**

- მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა;

საგადამხდელო ბალანსი;

ფულის შიდა და გარე მიწოდება;

საპროცენტო განაკვეთები.

**2.** ფაქტორები, რომელთა მოქმედება თავის მხრივ გავლენას ახდენს ზემოთ მოყვანილ ფაქტორთა ცვლილებაზე და ამით სავალუტო კურსის განსაზღვრის მექანიზმზე.

ისინი შეიძლება დაიყოს **სახელმწიფო რეგულირებისა** და **სტრუქტურულ** ფაქტორებად.

**ა) სახელმწიფო რეგულირების ფაქტორები:**

გადასახადები (მათ შორის საბაჟო გადასახადები და მოსაკრებლები);

კვოტები;

ლიცენზიები;

საკრედიტო და საემისიო პოლიტიკა;

ფასების რეგულირება;

საკანონმდებლო მეთოდები;

ეროვნული ბანკის საქმიანობა;

ვალუტის განაწილების მექანიზმი;

**ბ) სტრუქტურული ფაქტორები:**

ბირჟის სტრუქურა;

საბანკო სტრუქტურა;

ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურა;

სეზონური ფაქტორები;

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მიმართულება.

ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტორი შეიძლება დახასიათდეს, როგორც **მარეგულირებელი ფაქტორები.**

**3. ფაქტორები, რომლებიც წარმოიშვებიან ეკონომიკური სისტემის წონასწორობიდან გამოყვანის შემთხვევაში.**

**ა) ეკონომიკის კრიზისული გამოვლინება**:

ბიუჯეტის დეფიციტი;

არაკონტროლირებადი ემისია;

ინფლაცია;

შიდა და საგარეო ფასებს შორის სხვაობა;

მონოპოლიური წარმოებები;

ფულის ფუნქციების შესრულების ხარისხი:

კაპიტალის საზღვარგარეთ გადინება;

ინვესტიციების შემცირება;

წარმოების მოცულობის დაცემა:

მომხმარებელთა შემოსავლების შემცირება;

სავალუტო ბირჟებზე თამაში;

ცალკეული ფირმების მიერ დემპინგური ფასების გამოყენება;

საქონლის "გამორეცხვა" (დეფიციტი);

**ბ) პოლიტიკური ფაქტორები:**

ცვლილებები ხელისუფლებაში;

პოლიტიკური გადაწყვეტილებანი, რომლებიც იწვევენ ცვლილებებს ქვეყნის ფულად სისტემაში;

გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს გრძელვადიან (საშუალოვადიან, მოკლევადიან) პოლიტიკას;

ხელმძღვანელი სტრუქტურების სტაბილურობის ხარისხი;

ეკონომიკური სისტემის მართვის საიმედობა;

ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებს შორის ურთიერთგაგების ხარისხი;

კანონების შესრულებადობის ხარისხი;

სახელმწიფო სექტორის წილი ეკონომიკაში;

ქვეყანაში პოლიტიკურ ძალებს შორის უთანხმოების დონე;

ეკონომიკის განვითარების სწორი პროგრამის უქონლობა;

ხელმძღვანელი სტრუქტურებისადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხი;

კერძო კაპიტალის დაცულობის ხარისხი.

**გ) ფსიქოლოგიური ფაქტორები:**

გადადებული მოთხოვნა;

ინფლაციის მოლოდინი;

მოსახლეობის დაბალი ეკონომიკური აზროვნება;

ფასების ორიენტაცია სავალუტო კურსზე და არა პირიქით;

უნდობლობა ეროვნული ვალუტისადმი;

აღნიშნული ფაქტორები შეიძლება დახასიათდეს, როგორც **კრიზისული ფაქტორები.**

ბუნებრივია, ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი ერთნაირი ზომით არ ზემოქმედებს ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე. ზოგიერთი მხოლოდ ირიბ გავლენას ახდენს მასზე. მიუხედავად ამისა, აუცილებელია მათი გათვალისწინება ზუსტი და ობიექტური სურათის აღწერისათვის და სამომავლო ტენდენციების პროგნოზირებისათვის.

### რა იყო ლარის სწრაფად გამყარების მიზეზი

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ანალიზი შორს წაგვიყვანდა და არც იქნებოდა გამართლებული იმ მყისიერი მოვლენის ასახსნელად, რომელიც ორიოდე კვირაში ყველას დაავიწყდება და რომელიც ძალზე სპეციფიკური პროცესებით იყო განპირობებული.

ეროვნული ბანკის როლზე უკვე ვისაუბრეთ!..

დანარჩენი კი შემდგომში მდგომარეობს: ჯერ ერთი, იმატა ადმინისტრირების ხარისხმა საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების პროცესში. როგორც წესი, საქართველოში ბიუჯეტის შევსება თვის ბოლო რიცხვებში ხდება. ახლაც თებერვლის ბიუჯეტის თითქმის მესამედი ბოლო დღეებში შეივსო. კომერციულ სტრუქტურებს ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისათვის გამოჰქონდათ თავიანთი უცხოური ვალუტა. ამას ისიც დაემატა, რომ ძველი ვალების დაფარვის მოთხოვნით საწარმოებზე პრესინგი გაიზარდა. ზოგს შეეშინდა, თავისი შემოსავლები გამოაჩინა და დამალული გადასახადების გადახდა დაიწყო. ეს ფული ბანკთაშორის სავალუტო ბირჟას მიაწყდა და გასაყიდად იმდენი დოლარი გამოვიდა, რომ მყიდველი არ გამოჩნდა და თითქმის მთლიანად ეროვნულმა ბანკმა შეიძინა. მას რომ არ ეყიდა, ლარის კურსი იმ ნიშნულზე დაფიქსირდებოდა, რომლისკენაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ის ბუნებრივად მიისწრაფის. ამას თან დაემატა ქვეყანაში ანტიკორუფციული და ანტიკონტრაბანდული ღონისძიებები, რამაც შეამცირა დოლარზე მოთხოვნა. საბაჟო კონტროლის გაძლიერებამ დროებით ხელი აალებინა იმპორტიორებს ვალუტის შეძენაზე, "უკეთესი დროის" დადგომამდე.

საინტერესო სტატისტიკა აღინიშნა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე: თუ შარშან და შარშანწინ წლის პირველ სამ თვეში იყიდებოდა 18 მილიონი დოლარი, მიმდინარე წლის ორ თვესა და ათ დღეში გაიყიდა 26 მილიონი დოლარი. სახეზეა ერთი მხრივ დოლარის მიწოდების ზრდა, და მეორე მხრივ კომერციული სტრუქტურების მიერ შეძენაზე უარის თქმა (70 პროცენტი ეროვნულმა ბანკმა იყიდა). თუ წელს იანვარში მთელი ვალუტა მხოლოდ კომერციულმა სტრუქტურებმა შეიძინეს, თებერვალში და მარტში სავაჭროდ გამოტანილი ვალუტის 90 პროცენტი საქართველოს ეროვნულმა ბანკმა იყიდა.

არც ისაა გამორიცხული, რომ ვალუტაზე მოთხოვნილების კლება გარკვეულ წილად ქვეყანაში შექმნილი შიშის ფაქტორითაც იყოს გამოწვეული. ამან კი შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს სამეწარმეო აქტივობაზე.

### წაგებულები და მოგებულები

საქართველოს ეკონომიკას დოლარიზაციის მაღალი ხარისხი ახასიათებს.

დოლარიზაციის კოეფიციენტი (უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების შეფარდება დეპოზიტების მთლიან მოცულობასთან) სულ უფრო იზრდება და მან 86 პროცენტს მიაღწია. მიმოქცევაში ძალზე დიდია უცხოური ვალუტის მასა და იგი რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს აღწევს. კომერციული ოპერაციების საკმაო ნაწილი დოლარში წარმოებს. ამიტომ "დოლარიზებულ" ეკონომიკაში დიდია გაცვლის კურსის მნიშვნელობა. იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფასების დონეს. დოლარიზაცია აძლიერებს საქართველოს დამოკიდებულებას საგარეო ბაზრებზე, რაც დოლარის დევალვაციის შემთხვევაში (მაგალითად, ევროსთან მიმართებაში) უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე.

ფულადი დანაზოგები, რომელსაც მოსახლეობა დოლარებში ინახავს, დევალვაციის დროს მცირდება (საქართველოში უცხოურ ვალუტაში ანაბრები ექვსჯერ აღემატება ანაბრებს ეროვნულ ვალუტაში).

უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, როგორც წესი, დოლარებში აგზავნიან თანხებს, ამიტომ, კურსის შემცირებისას მისი მსყიდველობითუნარიანობა კლებულობს.

დოლარის დევალვაცია ხელს არ უწყობს ექსპორტის ზრდას.

რაც შეეხება ლარის კურსის გამყარების დადებით მხარეს: გაიზარდა ეროვნული ბანკის რეზერვები, გაჩნდა მეტი ნდობა ეროვნული ვალუტისადმი, მოხდა ფასების ზრდის შეკავება (რაც მოსალოდნელი იყო კონტრაბანდის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის გამო); მომავალში იგი გავლენას მოახდენს დოლარიზაციის დონის შემცირებაზე და საკრედიტო რესურსების ზრდაზე.

### დაუშვა თუ არა შეცდომა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და როგორი იქნება ლარის კურსი მომავალში

მაშინ, როცა ლარის კურსი ძირითადად დამოკიდებულია ეროვნული ბანკის ინტერვენციებზე, ბოლო წლებში მისი მოძრაობის დიაპაზონი დოლართან მიმართებაში 2-დან 2.2-მდე უფრო თამაშს წააგავდა, ვიდრე სინამდვილის ასახვას. ვირტუალური საბირჟო თამაშები ქმნიდა კურსის საბაზრო მეთოდებით წარმოქმნის ილუზიას.

ეროვნულ ბანკს, რა თქმა უნდა, შეეძლო, არ დაეშვა ლარის კურსის გამყარება ე.წ. ფსიქოლოგიურ ნიშნულზე დაბლა, რომელიც 2 ლარია ერთ დოლართან მიმართებაში. თუ კურსი რამდენიმე კვირაში კვლავ დაუბრუნდა 2.05-2.1-ის ტოლ მაჩვენებელს და თუ ეს გამოწვეული იქნება კომერციული სტრუქტურების მხრიდან დოლარზე მოთხოვნის ზრდით, მაშინ ეროვნულ ბანკს არ უნდა დაეშვა ასეთი მკვეთრი რყევა. თუმცა, მოკლევადიან პერიოდში ამას არც ეკონომიკაზე შეეძლო მოეხდინა უარყოფითი ზემოქმედება და არც მოსახლეობის შემოსავლებზე. მისი უარყოფითი შედეგი უფრო არაჯანსაღი ფსიქოლოგიური ფონის შექმნა და სპეკულაციური პროცესების შესაძლო წარმოქმნა შეიძლება ყოფილიყო.

იმ შემთხვევაში, თუ კვლავაც გაგრძელდა დოლარის ჭარბი მიწოდება და ასევე შენარჩუნდა კომერციული სტრუქტურების მხრიდან დოლარის შეძენაზე თავის შეკავების ტენდენცია (რაც არაბუნებრივია), მაშინ ლარის კურსი გადაინაცვლებს სტაბილურად 2-ის ქვემოთ ახალ ნიშნულზე, სავარაუდოდ მთელი წლის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში ეროვნული ბანკის პასიურობა, რამაც კურსის მკვეთრი დაცემა დაუშვა, რათა შემდეგ მას ახალი უფრო ადეკვატური დონე მოეძებნა, შეიძლება გამართლებულიც კი აღმოჩნდეს. თუმცა, არა მგონია, რომ მოვლენები ამ სცენარით წარიმართოს. ამის მიზეზი კი რამდენიმეა: ჯერ ერთი, ეროვნული ბანკი კვლავ შეეცდება უცხოური ვალუტის რეზერვების დაგროვებას, რათა შეძლოს საქართველოს საგარეო ვალების მომსახურება; მეორეც, საქართველოს მიმდინარე წლის ბიუჯეტი საკმაოდ დეფიციტურია, რაც ფულის მასის უფრო დიდი ტემპით ზრდას გამოიწვევს (სხვათა შორის, ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად მოზიდული იქნება ორას მილიონ დოლარზე მეტი უცხოური გრანტები და კრედიტები. ეს თანხები ერთი მხრივ შეავსებს ეროვნული ბანკის რეზერვს, მაგრამ ამავე დროს მიმოქცევაში დამატებით გაუშვებს 400 მილიონ ლარზე მეტს საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსების სახით); მესამეც, კვლავაც გაგრძელდება სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ზრდა, ვინაიდან კვლავ დიდია იმპორტზე მოთხოვნა.

განვითარებადი ქვეყნისათვის იმპორტი ჰაერივით აუცილებელია. თუმცა გულუბრყვილო ქართველ მეწარმეთა ერთ ნაწილში ეს ვერ გაუცნობიერებიათ, ან საკუთარი ვიწრო ინტერესები აიძულებთ, "ანტიიმპორტული" კამპანია აწარმოონ.

როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, საგარეო ვაჭრობის დისბალანსი ყოველთვის როდი ნიშნავს ეკონომიკაში არასასურველი პროცესების არსებობას. სავაჭრო ბალანსის შედარებით ხანგრძლივი დეფიციტის მიზეზი შეიძლება იყოს ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი. მზარდი შემოსავლები იმპორტზე მოთხოვნას ზრდიან.

ეკონომიკის გამოცოცხლება, ინფრასტრუქტურისა და მსხვილი საწარმოების მშენებლობა ან არსებულის მოდერნიზაცია კაპიტალის დიდი ნაკადის შემოდინებას იწვევს.

მათ ხარჯზე ხდება საზღვარგარეთ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შეძენა. ამ სახის იმპორტი კი დამატებით ზრდის სავაჭრო ბალანსის დეფიციტს. ამიტომ, სავაჭრო დისბალანსის ყოველთვის ქვეყნის სუსტი ეკონომიკური მდგომარეობით ახსნა შეცდომა იქნება. ასეთ შემთხვევაში მსესხებელ ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა უჩნდება.

ზოგიერთ შემთხვევაში სავაჭრო ბალანსის დეფიციტი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი შეიძლება იყოს და ამიტომ საგარეო ვალის ზრდაც გამართლებულია. მით უფრო, საქართველოში, სადაც დანაზოგების დონე საკმაოდ დაბალია მოსახლეობის დაბალშემოსავლიანობის გამო.

რა თქმა უნდა, სავაჭრო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი არ არის სასურველი. ამიტომ, ექსპორტის განვითარება საქართველოსათვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. თუმცა, ამის მიღწევა მხოლოდ ვალუტის დაბალი კურსის წყალობით, ილუზიაა.

უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი კვლავ დარჩება ენერგეტიკა, კერძოდ, რუსეთიდან და სხვა მეზობელი ქვეყნებიდან ელექტროენერგიისა და გაზის იპორტის მოსალოდნელი ზრდის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს ქვეყანაში მეტი უცხოური ვალუტის შემოდინებაა მოსალოდნელი ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობის დაწყების გამო, ისევე როგორც უცხოეთში წასული საქართველოს მოქალაქეების მიერ თანხების გადმორიცხვის შედეგად, მთლიანობაში უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების მოსალოდნელი ტენდენცია ლარის კურსს უფრო 2.1-2.15 ფარგლებში ჩამოაყალიბებს, ვიდრე 2-ის დონეზე დაბლა. ამიტომ მომავალში ლარის ზომიერი დევალვაცია უფროა მოსალოდნელი, ვიდრე მისი ზედმეტად გამყარება.

### ბოლოსიტყვაობა

ლარის კურსის გამყარება, სავალუტო ბაზრის არსებული კონიუნქტურის წყალობით ხდება. თუმცა ისეთი აჟიოტაჟი ატეხეს, თითქოსდა მისი დევალვაცია მომხდარიყოს. საერთოდ, ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის, ანუ ფინანსურადაც არასტაბილური და მუდმივად საბიუჯეტო კრიზისის წინაშე მდგომი ქვეყნისათვის, ყველაზე დიდი საფრთხე ეროვნული ვალუტის დევალვაციაა, რასაც, ბუნებრივია, ფასების ზრდა მოჰყვება. ეს კი შეიძლება მძიმედ აისახოს როგორც მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე, ასევე ეკონომიკის განვითარებაზე. აღნიშნული საფრთხე ჩვენთვის დიდი ხნის განმავლობაში უმთავრესი პრობლემა იქნება. ამიტომ, პრიორიტეტი უნდა იყოს ფასების სტაბილიზაციის მიღწევა და ინფლაციის ზომიერ ფარგლებში რეგულირება. ამ კონტექსტში გულუბრყვილოდ გამოიყურება მოწოდებები ექსპორტის სტიმულირების მიზნით ლარის კურსის სასურველი დევალვაციის შესახებ. ინფლაციის მოთოკვისა და სტაბილური ფასების მიღწევის გარეშე ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი წარმოების ყოველგვარ განვითარებაზე და მათ შორის საექსპორტო პროდუქციის ზრდაზე.

რაც შეეხება იმ კომენტარებს, რასაც დოლარის დევალვაციასთან დაკავშირებით აკეთებდნენ ჩვენი ბანკირები, ეკონომისტები, მეწარმეები, მასმედიისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლები, მათი დიდი ნაწილი არაკომპეტენტური და ისტერიული იყო. მან გამოაჩინა ჩვენი ეკონომიკური აზროვნების "ბრწყინვალება და სიღატაკე"...

ლარის მახეში მხოლოდ დოლარი კი არა გაება, არამედ ქართული ეკონომიკური აზროვნებაც.

SOS

# საქართველოში ტყე ხმება

*"ყველას და, მათ შორის, მეც მიყვარს მაღალი, მწვანით, ყვავილებით მორთული მთა; გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი, ახლად დამდნარის ყინულისათვის რომ უჯობნია, უცოდველად, უვნებლად ამოუჩენია თავი და შეჰყურებს მზე-ქვეყანას, იჩქმალება, ინაბება, მაგრამ ნაზს, მიბნედილს სახეზე გამოუთქმელი ტრფიალება გადაჰფენია: - გავცოცხლდი, მადლი ჩემს გამჩენსა, - თითქოს დუდუნებს. საამურია, გაყინული ხეები გაზაფხულის სითბოთი ზოგნი რომ გაიფოთლებიან და სხვანი აყვავდებიან. მიბუნდებულს, ულრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ რა შეედრება!.."*

ოთარ ქირია

კარგი იქნებოდა, ჩემს სტატიას, ვაჟა-ფშაველას ხმელი წიფელივით, დასაწყისი მაინც ჰქონოდა მხიარული. სამწუხაროდ, ვერც პროლოგით გაგახარებთ, ვერც - ეპილოგით. საქართველოში ტყე ხმება.

საქართველოს სამთო მეტყევეობის ინსტიტუტმა, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ქვეყნის ტყის ფიტოსანიტარული მდგომარეობის შესწავლა დაიწყო. ორი წლის წინათ ინსტიტუტმა ნაძვნარები მოიცვა, მათ შორის - ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეო მეურნეობებში, თუმცა მაშინ ეს ყურად არავინ იღო. დღეს ინსტიტუტი წაბლნარების შესწავლის შედეგებს აქვეყნებს და ის მართლაც რომ კატასტროფულია.

მაშ ასე, საქართველოში მთლიანი ტყის საფარი 2.7 მილიონ ჰექტარს შეადგენს. აქედან: 1 მილიონ ჰექტარამდე წიფელს უკავია, მუხნარი - 300 ათასი ჰექტარი, სოჭნარი - 200 ათასი ჰექტარი, წაბლნარი - 106 ათასი ჰექტარი, ნაძვნარი, რცხილნარი, დაახლოებით, 100-100 ათასი ჰექტარი და ა.შ.

წაბლი საკმაოდ ძვირადღირებული მერქანია და საქართველო მისით მდიდარია, განსაკუთრებით - იმერეთი. მარტო ამ მხარეში მთლიანი რაოდენობის 30 პროცენტზე მეტი, ანუ, დაახლოებით, 35 ათასი ჰექტარი წაბლია გაშენებული. შესაბამისად, ავის თუ კარგის, ეპიცენტრი წაბლის შემთხვევაში იმერეთია.

მეცნიერების და პროგრამის ავტორების გადაწყვეტილებით შესწავლილ იქნა წაბლნარის მთავარი ბირთვი, ხუთი სატყეო მეურნეობა - ტყიბულის, ხარაგაულის, ზესტაფონის, ბაღდათის და საჩხერის. წაბლნარების ფიტოსანიტარული მდგომარეობა, რომელიც თავისთავად სატყეო პათოლოგიურ მდგომარეობასაც მოიცავს, მძიმეა. ხუთივე გამოკვლეულ სატყეო მეურნეობაში აღინიშნება წაბლნარების ხმობა სხვადასხვა ხარისხითა და ინტენსივობით. ამასთან ერთად, ხმობა ორი ტიპისაა: ჯგუფურ-კერობრივი და გაფანტული ხასიათისა. პირველი, როცა დაავადებას კერის სახე აქვს და 100 ხეში 80 უკვე გამხმარია და მეორე, როცა გამხმარი ხეები გაფანტულად გვხვდება. ხმობის ორივე ტიპი ამჟამად გავრცელებულია ტყიბულის, ზესტაფონისა და ხარაგაულის სატყეო მეურნეობების წაბლნარებში, ხოლო საჩხერისა და ბაღდათის სატყეო მეურნეობებში ტყეების ხმობა, ჯერჯერობით, მხოლოდ გაფანტული ხასიათისაა.

წაბლნარებში ხმობის მთავარი მიზეზია წაბლის ქერქის კიბო (Cryphonectria Parasitica), რომლის გავრცელებისა და ინტენსივობის ხარისხი განპირობებულია სხვადასხვა ხელშემწყობი ბიოტური, აბიოტური და ანთროპოგენური ფაქტორებით. სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევებისას, გარდა წაბლის კიბოს გამომწვევისა, დაფიქსირდა სოკოების 26 და მავნე მწერების 15 სახეობა, რომელნიც სხვადასხვა სახის დაავადებებსა და დაზიანებებს იწვევენ და წაბლის პათოეკოსისტემებზე მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენენ. მათგან, სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით, უნდა გამოიყოს: დაავადება „ფოთლის მურა ლაქიანობა" (Cylindrosporium castanicola) და „ფესვების მელნისებრი დაავადება" (Phytophthora cambivora), რომლებიც ასევე სერიოზულ ნეგატიურ გავლენას ახდენს წაბლნარის სატყეო-პათოლოგიურ მდგომარეობაზე.

ჯგუფური ხმობის კერებზე ტყიბულის, ზესტაფონისა და ხარაგაულის სატყეო მეურნეობებში, ასეთი მდგომარეობაა: საღი ხეების რაოდენობა შეადგენს 15.86 პროცენტს, ხმობადია - 51.16 პროცენტი; გამხმარი - 32.98 პროცენტი. ანუ ხმობადი და გამხმარი ხეების რაოდენობა 84.14 პროცენტს შეადგენს. ეს მაჩვენებელი თავისთავად მეტყველებს ჯგუფური ხმობის კერების ახლანდელ ცუდ ფიტოსანიტარულ მდგომარეობაზე.

წაბლის გაფანტული ტიპის ხმობა სხვადასხვა ინტენსივობით აღინიშნება ხუთივე გამოკვლეულ სატყეო მეურნეობაში, სადაც მარშრუტული გამოკვლევებით ჩატარებული აღრიცხვების შეჯამებული საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, ასეთი მდგომარეობაა: საღი ხეების რაოდენობა შეადგენს 56.99 პროცენტს, ხმობადია - 34.90 პროცენტი; ხოლო გამხმარი - 8.11 პროცენტი. აქ, პირველ რიგში, ყურადსაღებია ხმობადი ხეების რაოდენობის მაღალი მაჩვენებელი.

ცალკეულ სატყეო მეურნეობებში ჩატარებული სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევების მონაცემების მიხედვით, ასეთი მდგომარეობაა შექმნილი: ტყიბულის სატყეო მეურნეობაში ჯგუფური ხმობის კერებში პირობითად საღი ხეების რაოდენობა 19.13 პროცენტს შეადგენს; ხმობადია - 49.44 პროცენტი; გამხმარია - 31.43 პროცენტი. ე.ი. ხმობადი და გამხმარი ხეების საერთო რაოდენობა 80.87 პროცენტს შეადგენს. გაფანტული ხმობის კორომებში საღია ხეების 43.50 პროცენტი; ხმობადია - 44.40 პროცენტი; გამხმარი - 12.10 პროცენტი. ანუ ხმობადი და გამხმარი ხეების საერთო რაოდენობა ტყიბულში შეადგენს 56.60 პროცენტს.

ზესტაფონის სატყეო მეურნეობის ჯგუფური ხმობის კერებში, პირობითად, საღი ხეების რაოდენობა შეადგენს 19.17 პროცენტს; ხმობადია - 42.23 პროცენტი; გამხმარია - 38.90 პროცენტი. ჯამში ხმობადი და გამხმარი - 80.83 პროცენტი. გაფანტული ხმობის კორომებში საღია 71.74 პროცენტი; ხმობადია - 23.19 პროცენტი; გამხმარი - 5.07 პროცენტი. სულ ხმობადი და გამხმარი - 28.26 პროცენტი.

ხარაგაულის სატყეო მეურნეობის ჯგუფური ხმობის კერებში საღია - 9.29 პროცენტი; ხმობადია - 61.82 პროცენტი; გამხმარია - 28.89 პროცენტი. სულ ხმობადი და გამხმარი - 90.71 პროცენტი. გაფანტული ხმობის კორომებში საღია 40.99 პროცენტი; ხმობადია - 47.29 პროცენტი; გამხმარია - 11.72 პროცენტი. ჯამში, ხმობადი და გამხმარი ერთობლივად, მთლიანი რაოდენობის 59.01 პროცენტს შეადგენს. საერთოდ, გამოკვლეული ხუთი სატყეო მეურნეობიდან, ფიტოსანიტარული და ხმობის თვალსაზრისით, ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ხარაგაულში.

საჩხერის სატყეო მეურნეობის წაბლნარებში გვხვდება მხოლოდ გაფანტული ტიპის ხმობა. მარშრუტული აღრიცხვების მონაცემებით, საღი ხეების რაოდენობა აქ 62.31 პროცენტს შეადგენს; ხმობადია - 32.02 პროცენტი; გამხმარია - 5.67 პროცენტი; სულ, ხმობადი და გამხმარი - 37.69 პროცენტი.



*საქართველოს ტყეები შველას ითხოვს*

ბაღდათის სატყეო მეურნეობის ასევე მხოლოდ გაფანტული ტიპის ხმობა დაფიქსირდა. მარშრუტული აღრიცხვების მონაცემებით, საღი ხეების რაოდენობა შეადგენს 70.06 პროცენტს; ხმობადია - 34.90 პროცენტი; გამხმარია - 8.11 პროცენტი. ე.ი. ხმობადი და გამხმარი ჯამში ამ რაიონში შეადგენს 43.01 პროცენტს საერთო რაოდენობიდან.

ჯამში, იმერეთის რეგიონის გამოკვლეული სატყეო მეურნეობების წაბლნარებში ფიტოსანიტარული მდგომარეობა წაბლის კიბოს გავრცელებისა და ხმობის ორივე ტიპის ინტენსივობის მიხედვით ასეთი მდგომარეობაა (ხუთივე სატყეო მეურნეობის საშუალო მაჩვენებლებიდან გამომდინარე): საღია ხეების 43.87 პროცენტი; ხმობადია - 40.53 პროცენტი; გამხმარია - 15.60 პროცენტი. ანუ ჯამში, ხმობადი და გამხმარი - 56.60 პროცენტია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ რეგიონის წაბლნარების მდგომარეობა ფრიად არადამაკმაყოფილებელია და სასწრაფოდ მოითხოვს ფართომასშტაბიანი გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელებას.

**"24 საათი" სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ტყის დაცვის ლაბორატორიის გამგეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ბიძინა თავაძეს გაესაუბრა.**

- იმ პროგრამებს შორის, რომელსაც მსოფლიო ბანკი და საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების ცენტრი აფინანსებს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტყის მავნებელ დაავადებათა შესწავლის პროგრამაა. ამჯერად შევისწავლეთ წაბლნარების ხმობის პრობლემა იმერეთის რეგიონში. მთლიანი რეგიონის შესწავლა, დაფინანსებისა და დროის დეფიციტის გამო, რთულია. გამომდინარე იქიდან, რომ იმერეთის რეგიონში მთელი რაოდენობის, დაახლოებით, 30 პროცენტია თავმოყრილი, შესწავლა სწორედ აქ დავიწყეთ.

**- და რასთან გვაქვს საქმე?**

- წაბლის ქერქის კიბოსთან. ეს არის სოკოვანი დაავადება, რომელიც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და მის სამშობლოდ ჩინეთი-იაპონია ითვლება.

**- ანუ შემოტანილია?**

- ბევრი ამბობდა, ხელოვნურად არისო შემოტანილი, თუმცა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ქართულ წაბლს აბორიგენული, ადგილობრივი წარმოშობის კიბო აქვს. პერიოდულად, როცა ეკოლოგიური მდგომარეობა უარესდება, კიბო მასიურად ვრცელდება და ხმობის პროცესი ძლიერდება. პირველად, ანალოგიური პროცესი საქართველოში 19-ე საუკუნის სამოცდაათიან წლებში შენიშნეს. იმ პერიოდში, კაპიტალიზმის შემოჭრასთან დაკავშირებით, წაბლნარი მასობრივად გაიჩეხა. ქართული წაბლი კი გამეჩხერებას ძნელად იტანს და დაავადებამაც იფეთქა.

**- დღესაც გაჩეხვასთან გვაქვს საქმე?**

- არა მარტო. 1959 წლამდე საქართველოს წაბლნარებში ჩეხვა ინტენსიურად წარმოებდა. ამის შესახებ უამრავი დოკუმენტაცია არსებობს. მდგომარეობა იქამდე მივიდა, რომ 1982 წელს წაბლი წითელ წიგნში შევიდა, რამაც პროცესი, გარკვეულწილად, შეაჩერა. თუმცა, პოსტსაბჭოურ საქართველოში, კრიზისის გამო, ტყისთვის არავის ეცალა. ტყე მაინც იჩეხებოდა და ეს ყველამ კარგად ვიცით. გარდა ამისა, რამდენიმე წელიწადია საუბარი მიდის იმაზე, რომ წაბლი წითელი წიგნიდან ამოიღონ. დღემდე ჩვენი ძალისხმევით ეს ვერ მოხერხდა და იმედია, ვერც მომავალში მოხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთლიანად გაჩეხვა გარდაუვალია.

**- ამ კიბოსთან ბრძოლის რაიმე მეთოდი არსებობს?**

- როგორ არა. საჭიროა ე.წ. სანიტარული ჭრები, ანუ ტყის გამოხშირვა დაავადებული ხეებისა თუ კერებისგან. ეს არის ინფექცია, რაც მეტია ინფიცირებული, მით მეტია დაავადების გავრცელების წყარო. აუცილებელია, ასევე, სხვა კულტურების ხელოვნურად შეტანა კორომებში, ხელოვნური განახლება და ა.შ. არც ერთი მათგანი არ გაკეთებულა. არსებობს სხვა მიზეზიც, კლიმატური გადახრები, ანომალიები. წაბლს ნორმალური არსებობისთვის 70-პროცენტიანი ფარდობითი ტენიანობა ესაჭიროება. საქართველოში ხმობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები სწორედ გვალვების ათწლეულების პერიოდში გვხვდებოდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელოვნურად ხელი არ უნდა შეუწყო ტყის საფარს. საფრანგეთში ასეთი დაავადება 800 ათას ჰექტარზეა გავრცელებული, თუმცა ქვეყანა კოლოსალურ თანხებს ხარჯავს. მათვე შეიმუშავეს ე.წ. შემცირებული ვირულენტობის, ანუ შემცირებული აგრესიულობის შტამები, რომლებიც კიბოს ფართოდ გავრცელებას უშლის ხელს. საქართველოში კი ის გამხმარი და დაავადებული ხე არ მოუჭრიათ, რომელიც ათი წლის წინათ იყო მოსაჭრელი.

**- ვრცელდება თუ არა კიბო სხვა კულტურებზე, ან შეუძლია თუ არა მას დააზიანოს ნიადაგი?**

- ნიადაგი არა, მაგრამ მუხაზე და რცხილაზე ასეთი სოკო მე ჩემი თვალით მაქვს ნანახი. თუმცა, კიბოს მათი ხმობა ჯერ არ გამოუწვევია.

**- რამდენადაც ვიცი, პროექტის ანგარიშში კიდევ რამდენიმე დაავადებაზეა საუბარი?**

- კვლევის პერიოდში დავაფიქსირეთ მწერის 15 და სოკოს 26 სახის გავრცელება, თუმცა ყველა ერთნაირი მავნეობის არაა. არის ორი-სამი სახეობა, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. „ფოთლების გალაქიანება" - ესეც სოკოა და ფოთლების ადრეულ ცვენას იწვევს. არის კიდევ ფესვების მელნისფერი დაავადება.

**- ისინი ახმობენ ხეს?**

- ისინი ხეს იმ დონემდე ასუსტებენ, რომ ინფექციის გავრცელება ბევრად უფრო იოლი ხდება.

**- საერთოდ, ასე გამხმარი წაბლი ვარგისია თუ არა მოხმარებისთვის?**

- კიბო მერქანს არ აზიანებს. ის მხოლოდ ქერქს ერჩის და ამიტომაც მერქანს იგივე ღირებულება აქვს, როგორც ჩვეულებრივ, ჯანსაღ წაბლს.

**- სწორედ ამიტომ, ხელოვნურად ხომ არ გაავრცელეს ეს ვირუსი?**

- არა. დადასტურდა, რომ კიბო ხელოვნურად არაა გავრცელებული.

**- ნაყოფზე თუ ახდენს გავლენას?**

- არც ნაყოფს აზიანებს.

**- სამედიცინო ან ბიოლოგიური გამოკვლევა თუ ჩატარდა?**

- ჩატარდა და დადასტურდა, რომ ნაყოფზე დაავადება არ გადადის. კიბო კეტავს ფესვებიდან აღმავალი წყლის დინებებს. ანუ ხეს არ მიეწოდება საკვები. შესაბამისად, ხმობა კენწეროდან იწყება და ნელ-ნელა მთელ ხეს ითრევს. გარდა ამისა, სოკო შხამებსაც გამოყოფს, ხის ინტოქსიკაცია ხდება. ნაყოფზე მხოლოდ იმ გავლენას ახდენს, რომ ხმობასთან ერთად მცირდება, ხოლო გახმობისას მთლიანად წყდება ხის ნაყოფიერება.

**- კიბო ახალგაზრდა ხეს აზიანებს თუ ასაკოვანს?**

- ძირითადად, ასაკოვანს. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში არსებული წაბლის 77 პროცენტი 80 წლის ან უფრო მეტისაა, ანუ მწიფე და გადაბერებულია. სწორედ ამიტომაა საჭირო ხელოვნური განახლება, გაშენება, რომელიც საბჭოური დროის შემდეგ არ განხორციელებულა.

**- ხელისუფლებას თუ მიმართეთ?**

- კომუნისტების პერიოდში, დაახლოებით, 10 ათასი ჰექტარი გაშენდა. მას შემდეგ წაბლნარისთვის არავის მოუცლია. იმედი მაქვს, ახალი ხელისუფლება მაინც მიაქცევს ყურადღებას ამ საკითხს. ჩვენ ამ პრობლემაზე ადრეც ვსაუბრობდით და არც მომავალში ვაპირებთ გაჩუმებას.

**- საერთოდ, შეიძლება თუ არა ამ დაავადების მოსპობა?**

- გამორიცხულია. შესაძლებელია მხოლოდ მისი მასშტაბების შემცირება იმ ღონისძიებებით, რაზეც ზევით გესაუბრეთ.

**- როგორც დასკვნიდან ჩანს, ყველაზე მძიმე მდგომარეობა ტყიბულშია, ეს ქვანახშირით ხომ არაა გამოწვეული?**

- რა თქმა უნდა, ეს დიდ როლს თამაშობს. ჰაერი იწამლება. გარდა ამისა, ჩემი თვალით მაქვს ნანახი ნაქერალას ფერდობებზე, როგორ რეცხავდნენ ნიადაგს წყლის ჭავლით და გამოცარიელებულ შახტებს ავსებდნენ. ამით ნიადაგს აღარიბებდნენ და, შესაბამისად, ხელს უწყობდნენ ნებისმიერი სახის დაავადების გავრცელებას.

**- ზესტაფონის სატყეო მეურნეობაზე „ფერო" არ მოქმედებს?**

- ზესტაფონს სხვანაირი, უფრო გაშლილი მდებარეობა აქვს. გარდა ამისა, დინებებს მოწამლული ჰაერი სხვა მიმართულებით გადააქვთ, შესაბამისად, ზიანი სხვა ტერიტორიებს უფრო ადგებათ, ვიდრე თავად ზესტაფონს.

**- დაბოლოს, რამდენ ხანში შეუძლია კიბოს გაახმოს ხე?**

- რთულია თქმა. შტატებში, მაგალითად, პირველად ასეთი კიბო 1904 წელს დაფიქსირდა და ქვეყანაში მთელი წაბლი გადაახმო. თუმცა, იქ ეს დაავადება იაპონიიდან შეტანილი წაბლის საფუძველზე გავრცელდა და ამერიკულ წაბლს მალე მოუღო ბოლო. ჩვენთან სოკო აბორიგენულია და წაბლი უფრო უმკლავდება მას. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში სირთულეა ის, რომ ტყის მეურნეობის დაფინანსება ძლიან მწირია და ხელოვნური ჩარევა პროცესებში ტყის საფარის სასიკეთოდ არ ხდება. იგივე ნაძვებთან მიმართებაში. შარშანწინ ანალოგიური გამოკვლევა ჩავატარეთ ნაძვებზე. დღეისათვის ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობებში გავცელებულია ე.წ. „მბეჭდავი ქერქიჭამია", რომელიც ნაძვებს ახმობს. მართალია, იქ ღონისძიებები დაიწყო, მაგრამ მდგომარეობა მაინც არადამაკმაყოფილებელია. ყურადსაღებია მუხნარების მდგომარეობა, თუმცა გამოკვლევები არც იქ და არც სხვაგან ჯერ არ ჩატარებულა. არ ვიცით, რა მდგომარეობაშია წიფლნარები, სოჭნარები და ა.შ.







## თეატრი

**თეატრალური სარდაფი**
სანდრო კაკულია
"ფანჯარა" რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი "ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**"ძველი სახლი"**
აზიზ ნესინი
"მომკალ, მომკალ..."
რეჟისორი: ლ. კუჭაიძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"მიწებებულები"
დას: 12:00; 17:00 სთ.

"28 დღის შემდეგ"
დას: 14:30; 19:30; 22:00 სთ.
ფასი: 5,7,9 ლარი

**ახმეტელი**
"გოთიკა"
დას: 12:30; 17:00 სთ.

"ზღვის მბრძანებელი"
დას: 14:30; 19:00 სთ.

"მიწებებულები"
დას: 21:00 სთ.

## გამოფენა

**ქარვასლა**
ალექსანდრე როინიშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
საქართველოს დამსახურებული მხატვრის ავთო მოსიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ჰობი**
თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
(ფერწერა, გრაფიკა) გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**11 მარტს,** 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლში "ახალი განზომილება" რეჟისორი დავით საყვარელიძე ისაუბრებს თემაზე - "თანამედროვე რეჟისურა".

**პარასკევს,** 12 მარტს 17 საათზე მიხეილ ლერმონტოვის "მწირის" პრეზენტაცია, მთარგმნელი ვახტანგ ერისთავი.

**შაბათს,** 13 მარტს, 19 საათზე – "ახალი სახეები ქართულ ხელოვნებაში". პროექტი "საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული პარლამენტი". მონაწილეები: პაატა ჩოხელი, დავით ქისტაური, ეკა ქართველიშვილი. სტუმრები: ვახუშტი კოტეტიშვილი, დავით მაღრაძე.

***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

## გადაღებები „პიკნიკში„


ვახო ხეცურიანის ფოტო

*ონაშვილების ერთობლივი კლიპი*

გუშინ ყოფილ პეროვსკაიაზე (ახლანდელი ახვლედიანის ქუჩა) მთელი დღის განმავლობაში გადაღებები მიმდინარეობდა. მომღერალ მამუკა ონაშვილის ახალი სიმღერისთვის ("ოცნების დღე") გაკეთებულ ვიდეორგოლში გადამღებმა ჯგუფმა "მის საქართველო 2003" ირინა ონაშვილი და ცნობილი მსახიობი გია ბურჯანაძე მიიწვია.

"კლიპს ვიღებთ ჩემს სრულიად ახალ სიმღერაზე, რომელიც ჯერ არსად გაჟღერებულა – არც კონცერტზე და არც რადიოში", - გვითხრა მომღერალმა მამუკა ონაშვილმა. სიმღერის ავტორები არიან: გოჩა ლომთაძე (მუსიკა) და ხათუნა მუზაშვილი (ტექსტი); კლიპის რეჟისორი ლევან ტორონჯაძეა; ოპერატორი – ლევან აბულაძე. მამუკა ონაშვილის თქმით, გადაღებები ორ დღეში დასრულდება; კლიპი კი, სავარაუდოდ, ერთი კვირის შემდეგ გავა ტელეეთერში.

***24 საათი***

## ქართული ლეგენდა მოგზაურობას იწყებს

### ქართველი საქმოსნები კულტურის ექსპორტში ჩაებნენ

ვერა ნეფარიძე

*"ჩვენი მიზანია, "ქართული ლეგენდით" მსგავსი შოუების პირველ ხუთეულში მაინც ვიყოთ", - თავს იწონებდა გუშინ ფრანგი რეჟისორი ქართველ ჟურნალისტებთან და თამამად საუბრობდა "ერისიონის" საგასტროლო გეგმებზე. ანსამბლ "ერისიონის" საკონცერტო პროგრამის – "ქართული ლეგენდის" ფრანგი რეჟისორი პასკალ ჟორდანი დარწმუნებულია, რომ ანსამბლი მოახერხებს გახდეს თანამედროვე საბალეტო შოუების ჟანრის ნამდვილი ლიდერი. ფრანგი პროდიუსერები წელს "ქართული ლეგენდის" განსაკუთრებულ პოპულარიზაციაზე იმუშავებენ. პროექტის მოგზაურობა მახლობელი რუსეთით, კერძოდ კი კრემლში დაგეგმილი ორდღიანი კონცერტებით დაიწყება.*

"24 საათი" წერდა, რომ ქართულმა საპროდიუსერო კომპანიამ "ისთერნ პრომოუშენმა" ფრანგული მხარისგან შარშან ოქტომბერში მოიპოვა უფლება, წარმართოს ანსამბლის კონცერტები დსთ-ს სივრცეში. დაიწერა იმის შესახებაც, რომ თანამშრომლობის პირველ ნაყოფს მარტის შუა რიცხვებში მოსკოვური აუდიტორია იგემებდა. გუშინ ეს ინფორმაცია "შერატონმეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე დადასტურდა. ჟურნალისტებთან შეხვედრას მოსკოვური კონცერტების ქართველ ორგანიზატორ-სპონსორთა სრული შემადგენლობა ესწრებოდა.

უკვე რა ხანია, ჩვენი საზოგადოება იძულებულია "ერისიონის" ლეგენდა (ძვირადღირებული შოუს შესახებ) ერთადერთი კლიპის საფუძველზე ირწმუნოს. სხვა საფუძველი მას არ აქვს. ამის მიზეზი ისაა, რომ როგორც გვეუბნებიან, პროგრამა "ქართული ლეგენდა"


ვახო ხეცურიანის ფოტო

*ჯემალ ჭკუასელი და ვახტანგ მაჭავარიანი*

მხოლოდ იმ სახით უნდა წარდგეს მაყურებლის წინაშე, რის საშუალებასაც თანამედროვე ტექნიკური საშუალებები იძლევა. საქართველოში შოუსთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა არ არსებობს; მისი ჩამოტანა კი, საფრანგეთიდან იმდენად ძვირი ჯდება, რომ ჯერჯერობით ვერცერთი კომპანია ვერ ახერხებს კონცერტების დაფინანსებას. ამის გამო, "ერისიონის" წარმატებებზე თვალის დევნება ისევ შორიდან გვიწევს.

"მიღწეული წარმატებების შემდეგ, აუცილებელი გახდა დაგვეგეგმა ახალი ტურნე. უკვე დავიწყეთ მუშაობა ამ მიმართულებით "ისთერნ პრომოუშენთან" ერთად. ჩვენი მიზანია, ვიყოთ პირველ ხუთეულში ამ ტიპის შოუების ჟანრში", - თქვა გუშინ "ქართული ლეგენდის" ფრანგმა რეჟისორმა პასკალ ჟორდანმა. მანვე გაგვიმხილა ანსამბლის საგასტროლო განრიგი, რომელიც, სავარაუდოდ, შემოდგომაზე, საქართველოში უნდა დასრულდეს (თუმცა, პროგრამის საქართველოში წარმოდგენის შესახებ გუშინ ყველაზე ნაკლებად საუბრობდნენ). მოსკოვის შემდეგ "ერისიონი" "ქართულ ლეგენდას" თურქეთში აჩვენებს, შემდეგ კი, მოივლის ევროპულ ქვეყნებს: უნგრეთს, ჰოლანდიას, შვეციას, გერმანიას; ივლისში დაგეგმილია სატელევიზიო შოუში მონაწილეობა; აგვისტოს დასასრულს "ერისიონი" ისრაელს ეწვევა; შემოდგომაზე კი, ისევ რუსეთს – ათდღიან გასტროლებზე კონცერტები სანკტ-პეტერბურგშიც გაიმართება. "გვინდა, ყველა ქვეყანაში 2-3-ჯერ მაინც ჩავიდეთ, რომ კარგად გავაცნოთ თავი, თუ რისი შესაძლებლობა გვაქვს. ჩვენი მუშაობის მნიშვნელოვან მიზნად კვლავ რჩება კონცერტები საქართველოში", - გვითხრა პასკალ ჟორდანმა, თუმცა მას აღარ დაუკონკრეტებია, რომ ამ მიმართულებით მუშაობისას უკვე გამოჩნდნენ შესაძლო პარტნიორები. ამის შესახებ პრესკონფერენციის დასასრულს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკუასელმა გვითხრა: "შემოდგომისთვის გვინდა საქართველოში დავბრუნდეთ ამ პროექტით. პროექტს ისეთი ხალხი ჩაუდგა სათავეში, როგორიცაა კომპანია "ჯი-ვი-ესის" ხელმძღვანელობა, ასევე, ძალიან მონდომებულია მამუკა ხაზარაძე, - მოვილაპარაკებთ და იქნება ყველამ ერთად გავიხაროთ".

"ქართული ლეგენდის" სრულფასოვნად წარსადგენად, არც მოსკოვში აღმოჩნდა საჭირო აპარატურა. კონცერტებისთვის ტექნიკური აღჭურვილობის გარკვეულ ნაწილს მოსკოვში საფრანგეთიდან ჩაიტანენ. "ქართულ ლეგენდას" კრემლში კომპანია "ჯი-ვი-ესის" ღვინო "თამადა" წარადგენს. "საქართველოს საექსპორტო რაც აქვს ღვინოსთან ერთად, ეს არის კულტურა; მადლობა ფრანგებს, რომელთაც ჩვენი ტრადიცია უცხოელებს ისე მიაწოდეს, რომ მათთვის მისაღები აღმოჩნდა. დღეს ეს არის ჩვენი ექსპორტი და ამ საქმეში ჩვენც გარკვეული პასუხისმგებლობა გვაკისრია", - თქვა გუშინ "ჯი-ვი-ესის" მარკეტინგის დირექტორმა ლევან კობერიძემ. "უანალოგოა ქართული ღვინო და ქართული ცეკვა; მათი ერთიანობა მოსკოვში სიმბოლური იქნება", - დაამატა ჯემალ ჭკუასელმა.

"ერისიონის" საკონცერტო წარმოდგენამდე კრემლში ქართული ღვინის დეგუსტაციაც გაიმართება. როგორც კონცერტის ორგანიზატორები ვარაუდობენ, ეს სალამოები ერთ-ერთი პირველი ფურცელი იქნება საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის მოსკოვში ვიზიტების შემდეგ, ამ ორი ქვეყნის განახლებული ურთიერთობების ისტორიაში. კრემლის კონცერტებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრიც დაესწრება. სხვათა შორის, "ერისიონის" მოსკოვური კონცერტები კომპანია "ისთერნ პრომოუშენის" პირველი ღონისძიებაა, რომელსაც საქართველოს კულტურის სამინისტრო ოფიციალურად გამოეხმაურა. სამინისტრომ საორგანიზაციო საკითხების გარკვეული ნაწილი საკუთარ თავზე აიღო.

## ქართულად გაგებული world music

ვერა ნეფარიძე

*ამ კონცერტისადმი ინტერესი რამდენიმე მიზეზის გამო საკმაოდ მაღალი იყო. პირველ რიგში, ელოდნენ ნინო ქათამაძისა და ჯგუფ "ინსაითის" გულშემატკივრები; ელოდნენ ისინი, ვისაც მსგავსი, იდეის გარშემო გაერთიანებული პროფესიონალი მუსიკოსების თანამშრომლობის შედეგი აინტერესებს ხოლმე და ელოდნენ ისინიც, ვინც პროექტის საკმაოდ ხმაურიანმა ანოტაციამ დააინტრიგა. მოკლედ, არ ვიცი, აქციამ რამდენად გაამართლა, ანუ მიაღწია თუ არა დიდი საკონცერტო დარბაზის მცირერიცხოვანი აუდიტორიის თითოეულ პიროვნებამდე (როგორც პროექტის პრეს-რელიზში ეწერა) ცენტრალურმა შეტყობინებამ – "დაიწყე ახალი მშვიდობიანი დღე", მაგრამ ფაქტია, რომ კონცერტმა ფართო საზოგადოების მოლოდინი არ გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელმა კონცერტმა ფართო საზოგადოების მიღმა ჩაიარა.*

არასასიამოვნო რეალობის წინაშე დასაწყისშივე აღმოვჩნდით, როდესაც ფართოდრეკლამირებულ კონცერტზე მაყურებლის აქტივობა სულაც არ შეიმჩნეოდა. საბოლოოდ, პროექტის მონაწილე ცალკეული მუსიკოსების (ქათამაძე, "ინსაითი", რომა რცხილაძე) პოპულარობის მიუხედავად, დარბაზი სანახევროდაც არ შეივსო. მაგრამ, ესეც არ არის მთავარი, რადგანაც ვიცით, კარგ მუსიკას (ჩვენში კი, განსაკუთრებით) უფრო ნაკლები გულშემატკივარი ჰყავს (ყოველ შემთხვევაში, კონცერტებზე ასე ჩანს, შორიდან), ვიდრე ხარისხიანს. მაგრამ, კონცერტის დასაწყისმა სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა ჩემი მოლოდინი, რომ გუშინდელ საღამოს ხარისხიან მუსიკას მოვუსმენდი. ნახევრადცარიელი დარბაზის გამო გაოცებულმა ბილეთების ფასი გავიკითხე (35 ლარი) და ყველაფრის მიზეზსაც მაშინვე მივხვდი – აშკარად რისკიან გადაწყვეტილებად მეჩვენა კონცერტის ორგანიზატორების მხრიდან.


ვახო ხეცურიანის ფოტო

*ქათამაძე და "ინსაითი"*

განსაკუთრებით წყალში გადაყრილად ჩანდა ბილეთების მფლობელთა მხრიდან ეს თანხა საკონცერტო პროგრამის ცოტა უხეირო დასაწყისის გამო. თავიდან ძალიან დიდი დოზით მეჩვენა სულ სხვა დროიდან და სივრციდან მოხმობილი "პინქფლოიდისებური" დასაწყისი; ასევე, მეტად აშკარა და პირდაპირი იყო ლეგენდარული კონცერტის "ქაშმირის" ზეგავლენა; ამ ყველაფერს კი ნაკლებად უხდებოდა შეძახილები ქართული ხალხური შემოქმედებიდან, რასაც, როგორც წესი, ჩვენი მსმენელი, ყველა შემთხვევაში ოვაციებით ხვდება ხოლმე. ვინც მუსიკალური საღამოს ასეთ დასაწყისს გაუძლო (სხვათა შორის, დარბაზს თანდათან ტოვებდნენ როგორც კონცერტზე მიწვეული ჟურნალისტები, ისე რიგითი მსმენელები), მოთმინება მოგვიანებით დაუფასდა.

კონცერტი, პირველ რიგში, თავად მუსიკოსების მონდომებამ იხსნა. როგორც ყოველთვის, დაუოკებელი ემოციებით გამოირჩეოდა ნინო ქათამაძე; ნამდვილად კარგი იყო პერკუსიონისტი მერაბ (სანო) სანოძე; გამოირჩეოდა გიტარისტი ირაკლი ხუციშვილი (რომელიც საფრანგეთიდან ამ კონკრეტული პროექტისთვის ჩამოვიდა თბილისში); პროექტში კარგად ჩაეწერა, ასევე, ცნობილი მუსიკოსი რომა რცხილაძეც. კონცერტზე ნინო ქათამაძე პირველად ვიხილეთ როიალთან – ნინომ (როგორც თავად თქვა) ზვიად ბოლქვაძის ნაჩუქარი სიმღერა შეასრულა. კონცერტის, ალბათ, ყველაზე წარმატებული ნომერი პერქაშენის ფონზე შესრულებული ქათამაძისეული "მზე შინა და მზე გარეთა" იყო; შთამბეჭდავი გამოვიდა "ტურფას" ეთნო-ვერსიაც და "დიდოუ ნანაც"; ყველაზე მეტი აპლოდისმენტი კი ქათამაძის შესრულებულ ცნობილ სიმღერას (ფილმიდან "დღე პირველი, დღე უკანასკნელიდან") მოჰყვა. ამ ნომერმა ცნობილი მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე აღაფრთოვანა – მომღერალმა ახალგაზრდა კოლეგას სცენაზე ყვავილები მიართვა; ეს უკანასკნელი კი, ჩვეული არტისტულობით შეხვდა დაუფარავ კომპლიმენტს.

კონცერტი ორ საათამდე გაგრძელდა, რაც ნამდვილად ზედმეტი იყო წარმოდგენილი საკონცერტო პროგრამისთვის. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პროექტის ავტორებს ამ პროგრამის გაგრძელება სურთ (ჩანაწერებისა თუ კონცერტების სახით) და, იმედია, მომავლისთვის ხარვეზებს გამოასწორებენ.

## Очи черные...

დესი დაშკოვა

ფანჯრიდან ქალის დაბალი ტემბრი იღვრება... "как дай вам бог любимой быть другим"... გიტარის ბოლო აკორდს ტაშის ხმა გამოჰყვება და თუ ფანჯარაშიც შეიჭვრიტები, დაინახავ, გიტარიანი მამაკაცი, მშვენიერ ქალბატონს ხელზე რომ კოცნის. მეოცე საუკუნეში გიტარას ხშირად ფორტეპიანო ცვლიდა, მაგრამ საქართველოში რომანსს ტრადიციულად მაინც ქალები ასრულებდნენ. თამარ წერეთელმა რუსული რომანსი ქართულ პროფესიულ სცენაზე გადმოაბრძანა და მას შემდეგ ის სცენიდან ისმის.

და მაინც, რამდენი ხანია რუსული რომანსი არ მოგისმენიათ?

რესტორან "მატრიოშკაში" საზოგადოებას მედეა ძიძიგური რუსული რომანსით გაახსენეს. იქ შეკრებილი საზოგადოება, ერთნაირი დაგემოვნებით მიირთმევდა რუსული სამზარეულოს სასწაულებს და უსმენდა რუსულ რომანსებს.

კონფერანსიემ მსმენელებს მედეა ძიძიგური სიტყვითაც გაახსენა, უამბო ამ მშვენიერი და ნიჭიერი ქალბატონის შესახებ, გაახსენა როგორი მნიშვნელოვანი იყო მისთვის სიმღერა და როგორ მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის შემოქმედებას რუსული რომანსის რუსი შემსრულებლები.

ერთი კი უდავოდ შეიმჩნეოდა, სიმღერის მოსმენის სურვილი მადას ძლევდა და ამ დროს იოლად მიხვდებოდი, ვინ როგორ იცოდა ჩაფიქრება და მოგონებებში გადაშვება.

ივო შუშაკი ლოყით ხელს დაყრდნობილი უსმენდა, ვინ ნიკაპით დაყრდნობოდა ხელისგულს, ვის თავი გვერდზე გადაეხარა და სახეზე იდუმალი ღიმილი ეფინა...

არა, როგორც არ უნდა ვეცადო, ვერაფრით აღვწერ იმ სიამოვნებას, რაც ორგანიზატორების ჩანაფიქრმა მიანიჭა მაყურებელს - გაეხსენებინათ მედეა ძიძიგური, ანუ მოესმინათ ბევრი რუსული რომანსი.

თქვენც, გაიხსენეთ სად გიდევთ ძველი დისკები და ბაბინებიანი მაგნიტოფონი ან უკეთესი, პატეფონი გადმოიღეთ და მოისმინეთ гори, гори моя звезда.

## ინდის მისტერ კერტისი

გასული წლის აგვისტოში, ლოს ანჯელესის სიახლოვეს, ჰოლივუდის ვარსკვლავ ტონი კერტისს უსიამოვნება შეემთხვა – მან საფულე დაკარგა, რომელშიც ფული, საკრედიტო ბარათი და ჩეკები ეწყო. მაგრამ უფრო დიდი უსიამოვნება მის მპოვნელებს დაატყდათ თავს.

შვიდი თვის შემდეგ, ანუ ახლახანს, პოლიციამ ქალაქის გარეუბანში ორი ქალბატონი დააკავა, რომლებმაც საყიდლების ფული კერტისის საკრედიტო ბარათით გაისტუმრეს. რამხელა თანხის დახარჯვა მოასწრეს მანდილოსნებმა – ეს ჯერ არ ვიცით.

## "ჩხიკვთა ქორწილი" პეტერბურგში, კიევსა და მინსკში

კომპოზიტორ ალექსანდრე ბასილაიასა და რეჟისორ ევგენი გინზბურგის იდეა - ცირკის არენაზე ცნობილი ქართული მიუზიკლი "ჩხიკვთა ქორწილი" გაეცოცხლებინათ, უახლოეს მომავალში სანკტ-პეტერბურგში, კიევსა და მინსკშიც განხორციელდება.

ვერნადსკის პროსპექტზე მოქმედ მოსკოვის დიდ ცირკში ქართული მიუზიკლის 110-ე წარმოდგენამ კვლავ სრული ანშლაგით ჩაიარა. მიუზიკლში 107 მსახიობი მონაწილეობს. შეყვარებული ჩხიკვების - ქეთოსა და ზაქარას როლებს რუსი მსახიობები: ქსენია რჟევსკაია და პაველ კოტოვი ასრულებენ. ქართველი მსახიობებიდან კი, რუსმა მაყურებელმა მხოლოდ ნუგზარ კვაშალი და სოფო ნიჟარაძე იხილა.

განახლებული მიუზიკლის დამდგმელი რეჟისორები არიან: ევგენი გინზბურგი და ლეონიდ კოსტიუკი; რუსულენოვანი ტექსტის ავტორია მიხაილ ტანიჩი. მუსიკალური არანჟირება გია მაჭარაშვილს, გივი გაჩეჩილაძეს, ზურაბ მახნიაშვილსა და ირაკლი მენთეშაშვილს ეკუთვნით. მიუზიკლის დამდგმელი მხატვარი კი გიორგი ალექსი-მესხიშვილია.

საქართველოს სახალხო არტისტს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის დირექტორს, კომპოზიტორ ალექსანდრე ბასილაიას დღეს 62 წელი უსრულდება. ***ინტერ-პრესი***

# სინათლის ჯადოქარი

## მენ რეი

განათებას ერთი საათი უნდა ემუშავა. მას ეს გათვლილი ჰქონდა. მან კამერა სამფეხა შტატივზე დაამაგრა, ფირფიტა ჩადო და ობიექტივი მანამ ატრიალა, სანამ მაგიდაზე დადებული მინის თეფში, მტვრის თხელი ფენით დაფარული, ქაღალდის ხელსახოცის ნაკუწთან ერთად, ისე მკაფიოდ არ გამოჩნდა, თითქოს არამიწიერი ლანდშაფტი ყოფილიყო. შემდეგ მან ობიექტივი გახსნა და თავის მეგობარ მარსელ დიუშამპთან ერთად სასადილოდ წავიდა. ერთი საათის შემდეგ მამაკაცები დაბრუნდნენ. მან ობიექტივი კვლავ დახურა და ფირფიტა გასამჟღავნებლად სარდაფში გაარბენინა: "ნეგატივი უნაკლო იყო".

ეს ფოტოგრაფიის ის დრო იყო, როცა ამერიკელი მენ რეი პარიზში იმყოფებოდა, მთელ ღამეებს ქიმიურ ექსპერიმენტებში ატარებდა, ობიექტივს ცდიდა და ფოტოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ავანგარდისტი გახლდათ. ეს იყო 20-იანი წლები, პარიზი. მსოფლიომ ინდუსტრიულ ხანაში შეაბიჯა, თვითმფრინავებმა ზეცაში პირველი მგზავრები აიტაცეს, ქუჩებში მანქანების რაოდენობა გაიზარდა, სულ უფრო მეტი ადამიანი სარგებლობდა ტელეფონით და კინოთეატრებში მუნჯ ფილმებს აჩვენებდნენ. ლამის ყოველდღე ახალ-ახალი აღმოჩენები კეთდებოდა, საზღვრები თითქოს გაქრა და უამრავი ცნობისმოყვარე "ეთამაშებოდა" წყალს, ცეცხლს და ელექტროობას. და სინათლესაც.

ეს უკანასკნელი მენ რეისაც იზიდავდა, "პატარა კაცს, მტკიცე, ლამის უშნო სახით და ახლომხედველის ასიმეტრიული მზერით" – ასეთად მას მისი ბიოგრაფი, ჟან-ჰუბერტ მარტინი აღწერს. 1921 წლის ივლისში, ნიუ იორკიდან მომავალი გემიდან ნაპირზე გადმოსული მან რეი 31 წლისა იყო.

ის ფილადელფიაში დაიბადა და იმანუელ რადნიცკი ერქვა. შვიდი წლისა როცა იყო, მისი ოჯახი ნიუ იორკში გადავიდა საცხოვრებლად, და იქ ერთმა ნათესავმა ფერადი ფანქრები აჩუქა. ბიჭმა თავდავიწყებით დაიწყო ხატვა, ყველაფერს ხატავდა, რასაც ხედავდა. განსაკუთრებით გაზეთებში დაბეჭდილი ფოტოსურათები იზიდავდა – იხატავდა, აფერადებდა... ის სულ ახალგაზრდა იყო, როცა ნიუ იორკელ ხელოვანებთან დამეგობრდა. ის თავდაჯერებული იყო, მაღალფარდოვანი სიტყვების მოყვარული. რადნიცკი ხატავდა და გაზეთების გაყიდვით, გრავიურების კეთებითა და რუკების ხაზვით ირჩენდა თავს. ის ხშირად იცვლიდა ხოლმე სამუშაოს, რომ ახალ ხელობას დაუფლებოდა.

1914 წელს რადნიცკი უკვე შეპყრობილივით ხატავდა და პირველი გამოფენებიც გამართა. იმხანად მან ბელგიელი მწერალი, ედონ ლაკრუა შეირთო ცოლად, მაგრამ მალევე მიატოვა და სახელიც გამოიცვალა: მენ რეი გახდა, "სხივების კაცი". ნიუ იორკის ბოჰემისთვის ეს უჩვეულო მოვლენა არ ყოფილა - "ხელოვნება უპირველეს ყოვლისა", და მნიშვნელოვან ადამიანს ღრმააზროვანი სახელიც სჭირდებოდა, ვთქვათ, მენ რეი.

პარიზში ჩასული ხელოვანი ჯერ კიდევ ნიუ იორკში გაცნობილმა დიუშამპმა დადაისტების წრეში შეიყვანა. ქალაქი პირველი მსოფლიო ომის დროს განცდილ შოკს ათასგვარი პროვოკაციით ებრძოდა, და მენ რეი ამ გარემოში ჩინებულად "ჩაჯდა" – ნახევარი წლის შემდეგ მან გამოფენა გამართა.

მენ რეი ფოტოგრაფი იყო, ოღონდ, იმ დროის სხვა ხელოვანებისგან განსხვავებით, აბსოლუტურად უშიშარი. მისი ფოტოგრაფობა კი იმით დაიწყო, რომ საკუთარი ნამუშევრების გადასაღებად იყიდა კამერა, "რადგან არ მომწონს, როგორ იღებენ პროფესიული ფოტოგრაფები ჩემს ხელოვნებას".

"არ მომწონს" და "უკმაყოფილო ვარ" მან რეის საყვარელი გამოთქმები იყო. ის ათასგვარ ხერხს მიმართავდა იმისთვის, რომ სინათლე და მისი ამრეკლავი ზედაპირები გადაეღო, მისთვის სინათლე "ანარქიული და მრავალგანზომილებიანი გამოცანაა". ის ჩრდილებს აყენებდა, თავისი ფოტოფირფიტების ქიმიურ შემადგენლობას ცვლიდა და ისეთ ეფექტებს აღწევდა, რომლებიც ფუნჯითა და საღებავით მიუწვდომელი იქნებოდა. იმხანად მას თითქმის მანიაკალურად სწამდა, რომ ტექნიკის წყალობით ყველაფერს შეძლებდა, და დარწმუნებული იყო, რომ მისი ბადალი ხელოვანი იმ დროს არ ჰყავდა. "მე ჩემი დროის ნაწილი ვარ; სხვები დროს კოჭლობით მისდევენ". თავისი სურათების გასამჟღავნებლად ის საათობით იყო სარდაფში, ლაბორატორიაში ჩაკეტილი, ძირითადად, ღამით, რადგან ნამდვილი ფოტოლაბორატორიის მოსაწყობად აუცილებელი ფული არ ჰქონდა. იჯდა და ექსპერიმენტებს ატარებდა. მისი ფოტოსურათები მაშინ ტექნიკურად გაუმართავად მიიჩნიეს, და ფოტოგრაფიის გენიალობის აღიარება მხოლოდ სამოციან წლებში მოხდა.



მენ რეის მარადიული ქალი

მრავალი რამ, რაც დღევანდელი ფოტოგრაფებისთვის ბუნებრივი რამაა, სწორედ მენ რეიმ აღმოაჩინა სარდაფში ჯდომისას, პარიზულ ღამეებში. იცით, რომ კოდაქრომული ფირის გამოჩენამდე ორი წლით ადრე, ჟურნალ "მინოტავრში" მენ რეის ფერადი ფოტოსურათი იყო დაბეჭდილი?

ის, რასაც დღეს რაიგრაფია ჰქვია, ასევე მენ რეის აღმოჩენა გახლავთ - თითქოს დამსხვრეული, შავ ფონზე ამოსული გამოსახულება. იყო ასეთი შემთხვევაც: ერთ ღამეს მენ რეი და მისი მეგობარი ქალი, ლი მილერი, გასამჟღავნებელი სითხით სავსე ფიალას დასცქეროდნენ, და უცებ ქალს მოეჩვენა, რომ თაგვმა ფეხებზე გადაურბინა, და სინათლე აანთო. მენ რეიმ ნეგატივები სასწრაფოდ ამოიღო გამამჟღავნებლიდან და ფიქსატორში გადაყარა. პორტრეტებზე აღბეჭდილ ადამიანებს ნათელი, თითქოს ცეცხლოვანი ხაზი გასდევდათ. სოლარიზაციის ეს ეფექტი, ცხადია, მანამდეც ცნობილი იყო, მაგრამ ის, რომ მისი მართვა შეგვიძლია, ასევე მენ რეის დამსახურება გახლავთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფოტოგრაფიისთვის ასეთი იმპულსები მენ რეის გარდა არცერთ ფოტოხელოვანს არ მიუცია.

მაგრამ, პირველ რიგში, ის ხელოვანი გახლდათ, თავისი საყვარელი რესტორნის, Aux trois Canettes-ის პირველ სართულზე მჯდომი პარიზელი ხელოვანი. პარიზის ბოჰემა მისთვის შიშველი ნატურის ფოტოგრაფირებისთვის საუკეთესო წრე იყო. მენ რეი ექვსი წლის განმავლობაში ცხოვრობდა თავის მოდელთან, მონპარნასელ კიკისთან ერთად, და ეს ქალი მისი ყველაზე ცნობილი ფოტოსურათებიდან შემოგვცქერის. მართალია, ყოველთვის არ შემოგვცქერის - "ენგრის ვიოლინო" სწორედ კიკი გახლავთ. მენ რეი იღებდა ლი მილერს და ბერნის ებოტს, მისი მრავალი დიდებული ნამუშევრის მოდელი ხელოვანი მერეტ ოპენჰაიმი იყო - დადაიზმის შემცვლელი სიურეალიზმი მენ რეისთვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა.

მაგრამ 1040 წელს ბოჰემურ ცხოვრებას ბოლო მოეღო: პარიზში ჰიტლერმა შეაბიჯა. "ხელოვნება ქალაქიდან გაიქცა", და მენ რეიმაც წასვლა გადაწყვიტა. ის კალიფორნიაში გადაბარგდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო – პარიზი აკლდა, და "ამერიკის ხელოვნების გარემო უჰაერო სივრცედ ეჩვენა".

61 წლის მენ რეიმ 1951 წელს პარიზში დაბრუნება შეძლო, და მისი "შეგირდები" და თაყვანისმცემლები ახალი თაობის დიდებული ფოტოგრაფები, ჰელმუტ ნიუტონი თუ დევიდ ბეილი გახდნენ. მაგრამ მენ რეი ხვდებოდა, რომ ამჯერად უკვე ის იყო, ვინც "კოჭლობით მისდევს დროს". და მან გადაწყვიტა, თავის სახელოსნოში დრო შეეჩერებინა.

ოთხმოცს მიტანებული, საკმაოდ მდიდარი მამაკაცი ზამთარს გარაჟში ატარებდა, იქაურობას ნავთის ღუმელით ათბობდა. მის ლოგინთან, სიგარეტების ყუთზე, ძველი ტელეფონი იყო აღმართული, კედლებზე კი წარწერა იწონებდა თავს: მხატვრობა - თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. მენ რეი სწორედ აქ, საკუთარ მუზეუმში გარდაიცვალა.

მაგრამ დღესაც, როცა ფოტოსამყარო ტექნიკური სრულქმნის იდეითაა შეპყრობილი, ჩვენ კვლავ აღტაცებით შევცქერით მონპარნასელ კიკის თუ ქალის სახეზე ჩამოგორებულ ცრემლებს, და ვრწმუნდებით, რომ სხივების კაცი, მენ რეი, მართალი იყო: "ფოტოგრაფიის ტექნიკა სასწაულად განვითარდა, მაგრამ რაც ხელოვნებას შეეხება, მე ვერანაირ განვითარებაზე ვერ ვილაპარაკებ".

# მანქანები და ადამიანები გენეტიკური სიყვარულის შესახებ

დენის ჰოპერი ხანში შედის და უკვე დიდი ხანია, აღარაფერი აქვს საერთო იმ უზრუნველ მხედართან, რომელიც ჯეკ ნიკოლსონისა და პიტერ ფონდას გვერდით მთელი ძალით დააქროლებდა მოტოციკლეტს 60-იანი წლების ამერიკის გზატკეცილებზე და იდეალებსა და თავისუფლებას დაეძებდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჰოპერი ქროლვას გადაეჩვია. ის მალე თავის "უკანასკნელ გასეირნებას" მოაწყობს, ოღონდ მოტოციკლეტის ნაცვლად ახლა უკვე "პონტიაკ GTO"-ს საჭეს მიუჯდება. საუბარია ახალ სატელევიზიო ფილმზე, რომელიც "ჯენერალ მოტორსის" "პონტიაკის" ფილიალთან ერთად კეთდება და USA Network-ი იღებს.

დენის ჰოპერი ფილმში ბებერი კრიმინალის რონის როლს ასრულებს, რომელმაც, წესით, ციხეში 30 წელი უნდა გაატაროს, მაგრამ შეიწყალებენ. მისი ვაჟი პოლიციის დეტექტივია – ის მამისგან ასე განსხვავებულ გზას იმ კაცის წყალობით დაადგა, რომელმაც ჰოპერი მკვლელობის გამო დააპატიმრა, შემდეგ კი მისი შვილი შინ წაიყვანა და გაზარდა. თუმცა, ბებერ რონის იმედებს შვილიშვილი გაუმართლებს – ის დაბადებიდან აიდეალებდა უნახავ ბაბუას და ახლა გადაწყვეტს, შურისძიებაში დაეხმაროს. ერთი სიტყვით, ფილმში საკმაოდ რთული ხასიათებია წარმოდგენილი და არ იქნება სიმართლე, თუ ვიტყვით, რომ "უკანასკნელი გასეირნება" მხოლოდ ახალი, 2004 წლის "პონტიაკ GTO"-ს რეკლამირებას ემსახურება. "ფილმში ორივე – ძველი და ახალი "პონტიაკი" გამოჩნდება და მაყურებელზე დიდ ეფექტსაც მოახდენს, მაგრამ მთავარ როლში მაინც მამაკაცების სამი თაობა იქნება – კრიმინალი მამა, პოლიციელი შვილი და იდეალისტი შვილიშვილი. ფილმის ბოლოს ისინი ერთმანეთს იპოვნიან", - აცხადებს USA Network-ის წარმომადგენელი ლორეტ ჰეიდენი.



დერილ ჰანა და დენის ჰოპერი

თუმცა, ამ რთული ურთიერთობების განხილვას ვიზუალურ მომხიბვლელობას მაინც მშვენიერი ამერიკული მანქანების რბოლა შეჰმატებს. "ძველი და ახალი "პონტიაკები" სიმბოლურად ფილმის თემაზე მიგვანიშნებენ – იქაც ხომ სამი თაობაა წარმოდგენილი, თითქოს ძალიან განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან მაინც გენეტიკური სიყვარულით დაკავშირებული. იგივე უწყვეტი გენეტიკური კავშირი არსებობს "პონტიაკების" სამყაროშიც", - დასძენს ჰეიდენი.

პროექტის იდეის ავტორი რეჟისორი რობ კოენია – ცნობილი თავისი ბლოკბასტერით ავტორბოლების შესახებ – "აწყვეტილები". როგორც ჩანს, კოენი "პონტიაკის" დიდი თაყვანისმცემელია. მან 1967 წელს გამოშვებული GTO თავის მძაფრსიუჟეტიან ფილმში "XXX-ც "ათამაშა". ახლახან კი 2004 წლის მოდელის სარეკლამო რგოლები დაამზადა. ფილმის გადაღების იდეაც სწორედ რეკლამაზე მუშაობისას დაებადა. და ცხადია, მთელ ამერიკაში დენის ჰოპერზე უკეთეს მრბოლელს ვერაფრით იპოვიდა. გადაღებები ჰოპერის "უკანასკნელი გასეირნებისთვის" სან დიეგოში მალე დაიწყება. რბოლების მოყვარული მაყურებელი უკვე ელის ფილმის ტელეეკრანზე გამოსვლას.

ჰოპერის თაყვანისმცემლებს კი მსახიობის ნახვის საშუალება მალე ერთდროულად რამდენიმე ფილმში ექნებათ. ამ სამომავლო პროექტებიდან განსაკუთრებულად საინტერესო რიჩარდ ატენბოროს პროექტია სათაურით Closing The Ring. მოქმედება მეორე მსოფლიო ომის დროს ბელფასტში იწყება და 50 წლის შემდეგ ამერიკაში, ჩრდილოეთ კაროლინას შტატში გრძელდება. ეს გახლავთ დაკარგული სიყვარულის ისტორია, რომელსაც ატენბორო, ალბათ, ჩვეული ოსტატობით გადაიღებს. რაც ყველაზე საგულისხმოა, დენის ჰოპერს ამ ფილმში პარტნიორობას პიტერ ო'ტული გაუწევს. თუმცა, მოხუცი ო'ტული და მისი ბოლო როლები, ალბათ, ცალკე საუბრის თემაა.

სვეტი



მალხაზ ხარბედია

## პირადი ბიბლიოთეკა

### გრემ სვიფტი, "უკანასკნელი განკარგულებები", 1996

გრემ სვიფტს თომას ჰარდის, ჯეიმს ჯოისსა და უილიამ ფოლკნერს ადარებენ ხოლმე. ეგ კი არა, რამდენიმე წლის წინ, როცა "უკანასკნელი განკარგულებები" გამოიცა, მწერალი პლაგიატშიც კი დაადანაშაულეს, აქაოდა ფოლკნერის "სული რომ ამომდიოდა" გადაამღერა და ინგლისური ლიტერატურაც შეარცხვინა და თავიც შეირცხვინაო. ფორმით მართლა ჰგავს ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთს, თუკი ფოლკნერთან ტალი, დარლი, ენსი და პიბოდი ჰყვებიან ამბავს, სვიფტთან რეი, ლენი, ვინსი, ვიკი და ემი ინაწილებენ მოსათხრობს, თანაც ორივეგან მიცვალებულია მთავარი გმირი - ედი ბანდრენი და ჯეკ დოდსი. მაგრამ, როგორც ერთი ინგლისელი კრიტიკოსი ამბობს, ეს პლაგიატობა როდია, არამედ მხატვრული აუცილებლობა, რაშიც დაკვირვებული მკითხველი ადვილად დარწმუნდება.

ასეთი შემთხვევები ძალზე ხშირია ლიტერატურის ისტორიაში და აბა ვის მოუვა აზრად, პლაგიატობაში დაადანაშაულოს ვერგილიუსი, ვინც თავის "ენეიდაში" "ილიადაც" გადაამღერა და "ოდისეაც", უფრო მეტიც, მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, ერთმა ფლორენციელმა ვერგილიუსი უფრო დააფასა, ვიდრე ჰომეროსი, როცა ჯოჯოხეთში თავის მეგზურად რომაელი პოეტი აირჩია.

ეს ფლორენციელი, რა თქმა უნდა, დანტეა და მოდით, დანტესთან მისი საუკუნის კიდევ ერთი მწერალი, ჯეფრი ჩოსერიც ვახსენოთ.

დღევანდელი რომანის გმირები, ჩოსერის "კენტერბერიული მოთხრობების" პილიგრიმებივით, ლონდონიდან მოემართებიან - სხვათა შორის, კენტერბერიშიც შეივლიან - ოღონდ, მათგან განსხვავებით, წმ. ტომას ბეკეტის საფლავის მოლოცვა არ შედის თანამედროვე პილიგრიმთა გეგმაში, ისინი მხოლოდ მეგობრის "უკანასკნელ განკარგულებას" ასრულებენ, მისი ფერფლი უნდა გაფანტონ მარგეიტის პირსიდან, რომელიც იქვე, კენტერბერისთან ახლოს მდებარეობს.

დროა გმირებსაც გავეცნოთ. ფერფლი ჯეკ დოდს ეკუთვნის, ლონდონელ ყასაბს, რომელიც კუჭის კიბოთი გარდაიცვლება, "მეფერფლურები" კი დოდსის მეგობრები არიან, ამ ანდერძისა თუ განკარგულების აღმსრულებლები. პირველ რიგში - რეი, იგი რიგითი მოსამსახურეა და მთელ თავის ცხოვრებას დოღზე ატარებს, ხან იგებს, ხან აგებს, ზოგადად კი უიღბლო ადამიანად მიიჩნევს თავს და ტოტალიზატორში გაჰყავს დრო, იპოდრომზე, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთხელაა ცხენზე ნაჯდომი (მისი მეგობრები ხუმრობენ, შენი ფერფლი, ალბათ, გაგანია დოღის დროს უნდა გავფანტოთ ეპსომის იპოდრომზეო). ასევე განკარგულების აღმსრულებლები არიან - ვინსი, ჯეკის შვილობილი (ნახმარი მანქანებით მოვაჭრე), დამკრძალავი ბიუროს მეპატრონე ვიკი და ლენი.

მოგზაურობა ლონდონში იწყება, დილით. ლურჯ მერსედესში - კრემისფერი ტყავის სავარძლებით - ოთხი მამაკაცი სხდება (ჯეკის ნეშტიანად ხუთი) და მარგეიტისაკენ მიემგზავრებიან. მარშრუტი მარტივია, საშუალო მასშტაბის ინგლისის რუკაზეც ადვილად იპოვის კაცი. თავიდან გეზი ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა აქვთ აღებული, გაივლიან როჩესტერს, ჩეტემს, კენტერბერის, დუვრს მარჯვნივ მოიტოვებენ და ჩრდილოეთით გადაუხვევენ, რამსგეიტისა და მარგეიტისაკენ. გზაში საუბრობენ, სვამენ და, რაც მთავარია, ფიქრობენ, იგონებენ. რომანის ძირითადი ნაწილი სწორედ ასეთ მონოლოგებს უკავია.

რომანში ბევრს ფიქრობენ სიკვდილზე და პერსონაჟებს ჰგონიათ, რომ ყველაზე მეტი ამ საკითხზე ვიკიმ იცის, რადგანაც იგი დამკრძალავი ბიუროს მეპატრონეა, ვისი საქონელიც არავის უნდა, მაგრამ ყველას სჭირდება. ჩეტემში, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მეზღვაურთა მემორიალთან რომ შეჩერდებიან, მიცვალებულების სიას ყველაზე დიდი ინტერესით ვიკი კითხულობს, თითქოს თავისი მკვდრები აკლდეს. ფიქრის მიუხედავად ისინი ორჯერ გადაუხვევენ გზიდან, ორჯერ მოასწრებენ დალევას, შემდეგ იჩხუბებენ და წვიმაშიც მოყვებიან. ერთი სიტყვით, ნელა მიდიან, მიზოზინებენ ეს "ყუთიანი სულელები" და გზად ჯეკს იხსენებენ. "ბებერი კუანები" - იტყვის მათზე ყველაზე ახალგაზრდა თანამგზავრი, ჯეკის გერი, ვინსი.

დუქანში გადასვლის წინ, სევდიან მზერას შეავლებენ ფერფლიან ყუთს, რეი კი იტყვის, "მოდი თან წავიყვანოთ, არ იქნება სწორი ჯეკის დატოვებაო" და მაგიდას მასთან ერთად შემოუსხდებიან. ბევრს, შესაძლოა, კოენების ერთი კარგი ფილმიც გაახსენდეს, ჰომეროსის "ოდისეას" მიხედვით გადაღებული. ფილმს "სადა ხარ ძმაო" ჰქვია, იქ ერთი ეპიზოდია, ჯორჯ კლუნი და მისი თანამგზავრი რესტორანში შევლენ და ფეხსაცმლის ყუთში გამომწყვდეულ ბაყაყს მაგიდაზე დააბრძანებენ (ისინი დარწმუნებულები არიან, რომ სირინოზებმა მათი მეგობარი ბაყაყად გადააქციეს).

ჰოდა შემოუსხდებიან, შეუკვეთავენ ვისკისა და ცოტა მისაყოლებელს და გააგრძელებენ ჯეკზე ფიქრს.

ამ დუქანში ისინი პირველად არიან, მაგრამ ისეთი გრძნობა ეუფლებათ, თითქოს მშობლიურ "კარეტაში" ისხდნენ, ბარში, სადაც ახლგაზრდობიდან "ბირჟაობდნენ ხოლმე". მხოლოდ ერთ რამეზე წყდებათ გული, კერძოდ კი იმაზე, რომ გზა უნდა გააგრძელონ. არადა ჯეკი სულაც არ იქნებოდა წინააღმდეგი, მამა-პაპურად დაელიათ: "მიდით ბიჭებო, შეუბერეთ, ჩემზე ნუ ინერვიულებთ, ნეშტს არ გავარტყი?!". იმასაც ფიქრობენ, ჯეკმა ყველაფერი გააკეთა, რომ კარგ ხასიათზე ვყოფილიყავითო, თითქოს პიკნიკზე არიან და სამყაროც ისეთი მშვენიერი ჩანს, რომ ჰგონიათ, მხოლოდ ჩვენთვისაა შექმნილიო. ყოველ შემთხვევაში სამყარო, რომელიც გრემ სვიფტმა დაგვიხატა, მხოლოდ მათთვისაა, ისინი არიან მთავარი პირები, ოღონდ რომანის სამყარო არც ისე მშვენიერია, როგორც წამიერად ეჩვენებათ ხოლმე გმირებს.

ჯეკი ბავშვობიდან თურმე ექიმობაზე ოცნებობდა, წმ. ბართლომეს საავადმყოფოში უნდოდა ემუშავა. გეგმავდა როგორ დაერეოდა თავის კოხტა მედდებს, გადაჟიმავდა ყველას. ამის ნაცვლად კი იგი წმ. თომას საავადმყოფოში მოხვდება როგორც პაციენტი და ექიმს ეკითხება, რომელ ადგილას უნდა გამჭრათ, უბრალოდ ყასაბი ვარ, პროფესიული ინტერესი მაქვსო. შემდეგ კი ვიკის ეუბნება, "სიმართლე გითხრა, კარგი იქნებოდა ზღვაში რომ დაგეკრძალეო".

ზღვა კიდევ ერთი პერსონაჟია რომანისა და მას ეპიგრაფად ჯონ გლოვერ-კაინდის სიმღერიდან აღებული სიტყვები უზის: "რა კარგია ზღვასთან ახლოს". ზღვა სველ უდაბნოსავით მოჩანს რომანში და მას მარტოობის ფერი აქვს. პერსონაჟების ბოლო პუნქტიც ზღვაა, მარგეიტის 250 დუიმის სიგრძის პირსი, საიდანაც ისინი ფერფლს გააბნევენ. ყველაფერი კი ხელების გამშრალებით დასრულდება, აბა ჯეკი ზედ ხომ არ შერჩებათ, ხელებზე ხომ არ აიკრავენ მის ნეშტს.

სულ ეს იყო, რითიც მინდოდა თქვენთვის მადა აღმეძრა და მხოლოდ ორ რამეს დავძენ: რეჟისორმა ფრედ შეპისიმ 3 წლის წინ, ფილმად აქცია ეს რომანი. თავად მე არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ მაიკლ კეინი და ბობ ჰოსკინსი თამაშობენ მთავარ როლებს. და მეორე ის, რაც ფრაზა "უკანასკნელ განკარგულებებს" შეეხება: თავის დროზე ჩერჩილმა შემოიღო წესი იმის შესახებ, რომ ლონდონის პაბებში 11 საათის შემდეგ სპირტიანი სასმელი აღარ გაეყიდათ. ამიტომ, თერთმეტს ათი დააკლდებოდა თუ არა, ბარმენი დაიძახებდა, "აბა, ბოლო შეკვეთები, ბოლო განკარგულებებიო" და ხალხიც მიაწყდებოდა დახლს სასმელის მოსამარაგებლად.

ჩვენთან კი ყველაფერი ძველებურადაა და წასულების სადღეგრძელოც გრილი ღვინით შეგვიძლია მივირთვათ და არა ერთი საათის წინ აღებული შემთბარი სასმელით.

თუმცა, ახლა ერთ კათხა თბილ, ინგლისურ ლუდსაც სიამოვნებით დალევდა კაცი.

# შურისძიება, რომელსაც ირურეტა 27 წელი ელოდა

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და „იუვენტუსის" გამარჯვებების ერა დასრულდა



ირურეტას „იუვენტუსი" მუდამ ახსოვდა

აკა ტონია

„პორტოსა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" პირველ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია კოშტინიას. განმეორებით შეხვედრაში კი ის კვლავ გამოჩნდა „პორტოს" შემადგენლობაში. სტუმრები 0:1 აგებდნენ და ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის საშიშროების წინაშე იდგნენ. უკანასკნელ წუთებზე „მანჩესტერის" კარის მიმართულებით დანიშნული ჯარიმა ბენი მაკარტიმ დაარტყა, მეკარე ტიმ ჰოვარდმა ბურთი უხერხულად მოიგერია და ის სწორედ კოშტინიამ გაიტანა. 1:1 და „პორტო" მეოთხედფინალშია...

„კოშტინიას მსგავს ფეხბურთელებს სუპერმარკეტში ვერ იყიდი", - წერდა პორტუგალიური Jornal de Noticias გუშინდელ ნომერში. ეს იყო პასუხი ალექს ფერგიუსონის ამასწინანდელ განცხადებაზე, როდესაც მან თქვა, რომ „პორტო" ისე იგებს ტიტულებს პორტუგალიაში, თითქოს სუპერმარკეტში ყიდულობსო. გაზეთმა ეს თემა განავრცო და მანჩესტერელთა მწვრთნელს სუპერმარკეტში გავლა ურჩია – „ახლა წავიდეს ფერგიუსონი სუპერმარკეტში და ნახოს, ტიტულები თუ დახვდება იქ".

„კიდევ არსებობენ გმირები", - წერდა ასევე პორტუგალიური A Bola. „როდესაც „პორტო" 200 წლის გახდება და ამ კლუბის ისტორიას დაწერენ, იქ „ოლდ ტრაფორდზე" მოპოვებულ 1:1-საც შეიტანენ", - A Bola-მ გმირებად დაასახელა კოშტინია და ჟოზე მაურინიო. „პორტოს" მწვრთნელმა თავის გუნდს შარშან UEFA-ს თასი მოაპოვებინა, ახლა კი მორიგი სენსაცია შემოგვთავაზა. თავად მაურინიოს აზრით, გუშინწინდელი გამარჯვება UEFA-ს თასზე უფრო მნიშვნელოვანია. „ახლა ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რათა ნახევარფინალში გავიდეთ", - განაცხადა მაურინიომ. „სერ ჟოზე მაურინიო: ნახვამდის, ალექს ფერგიუსონ", - წერს გაზეთი Record.

მანჩესტერელთა მწვრთნელი არც ინგლისურმა პრესამ დაინდო. „შენი დრო ამოიწურა, ფერგი", - წერდა გუშინ ბულვარული გაზეთი The Sun. შოკშია თავად ფერგიუსონი, რომელიც ამ მარცხს რუს მსაჯს, ივანოვს აბრალებს. გუშინწინდელ მატჩში პოლ სქოულზის მიერ გატანილი გოლი ივანოვმა არ ჩათვალა, არადა, თამაშგარე მდგომარეობა ნამდვილად არ იყო. ფერგიუსონი ცოფებს ყრიდა, როგორ შეიძლება, სამი მსაჯიდან ერთ-ერთს მაინც ვერ დაენახა, რომ თამაშგარე არ ყოფილაო. ასეა თუ ისე, სქოულზის გოლი არ ჩაითვალა და „მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგას გამოეთხოვა. როგორც ჩანს, ფერგიუსონი ამისთვის მზად არ იყო: „ცხოვრებაში ბევრი მოულოდნელობა ხდება, თუმცა, ამას ნამდვილად არ ველოდი".

ჩემპიონთა ლიგას კიდევ ერთი გრანდი, ტურინის „იუვენტუსიც" გამოეთიშა. იტალიელებმა, პირველი მატჩის მსგავსად, განმეორებითი შეხვედრაც 0:1 წააგეს და მეოთხედფინალში მათ ნაცვლად „დეპორტივო" გავიდა. „იუვენტუსისათვის" ეს შოკია. ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ ფინალში დამარცხების შემდეგ ტურინელებმა წლეულს მთელი აქცენტი სწორედ ლიგაზე გააკეთეს და იტალიის ჩემპიონატს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. ახლა კი ისინი მშრალზე დარჩნენ. შავ-თეთრ კუნთებში ბენზინი აღარ არის. დიდი ერა დასრულდა, ნახვამდის, ევროპა", - წერდა Gazzetta dello Sport-ი. ამავე გაზეთის ინფორმაციით, ტურინელთა 56 წლის მწვრთნელი მარჩელო ლიპი, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი წლეულს უმთავრდება, „იუვენტუსს" დაემშვიდობება. ამბობენ, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ლიპი იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნება. კლუბიდან წასვლის შესახებ ლიპიმაც გააკეთა მინიშნება. „დეპორტივოს" წინააღმდეგ მატჩის შემდეგ მან განაცხადა, რომ, „შესაძლოა, ეს მისი უკანასკნელი შეხვედრა იყო ჩემპიონთა ლიგაში".

არანაკლებ შეირყა ალექს ფერგიუსონის სკამი. თუმცა, მანჩესტერელთა შოტლანდიელი მწვრთნელი წასვლაზე ჯერ მაინც არ ფიქრობს.

ასეა თუ ისე, დიდი გამარჯვებების ერა, მართლაც, დასრულდა, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. დიდ გამარჯვებებს მიჩვეული „მანჩესტერი" და „იუვენტუსი" წლევანდელ სეზონში სრულიად უტიტულოდ დარჩნენ.

სამაგიეროდ, გაზაფხული დადგა ხავიერ ირურეტასთვის. „დეპორტივოს" თავკაცმა უდიდესი წარმატებაც იზეიმა და შურიც იძია. აღმოჩნდა, რომ „იუვენტუსის" დამარცხებაზე ის უკვე 27 წელია ოცნებობს. ირურეტა ბილბაოს „ატლეტიკის" მოთამაშე გახლდათ, როდესაც 1977 წელს ეს გუნდი „იუვენტუსს" შეხვდა UEFA-ს თასის ფინალურ მატჩებში. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ შეხვედრაში ირურეტამ გოლიც გაუტანა „იუვენტუსს", ორი მატჩის ჯამში „ბილბაო" დამარცხდა (2:1, 0:1). 27 წლის მერე ირურეტამ მაინც იძია შური...

## TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 11 მარტი

**НТВ+ ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ოლდ არენასი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1984. "BOSTON CELTICS" - "LOS ANGELES LAKERS"
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
02:30 02:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ყველაფერი კალათბურთის შესახებ
04:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2003. "PHILADELPHIA 76 ERS" - "WASHINGTON WIZARDS"
06:30 NBA TV. დღიური

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 13:55, 17:15, 20:00, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 „ოლიმპის შვილები"
11:20 „ჰარმონიის ფორმულა"
11:35 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "CAROLINA HURRICANES" - "TAMPA BAY LIGHTNING"
14:10 „ჰარმონიის ფორმულა"
14:25 ათენის გზაზე
15:25 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში
15:55 ბოულინგი. PBA Tour უინძორ ლოკსში. აშშ
16:45 "Power week – NHL-ის კვირა"
17:30 „თოვლის სამყარო"
18:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
18:30 „წყლის აკვატორია"
19:00 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ფინალი იტალიაში. ქალები. სუპერგიგანტი
20:15 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ფინალი იტალიაში. ქალები. სუპერგიგანტი
21:15 „მოტოვებული კვირა"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
23:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "CAROLINA HURRICANES" - "TAMPA BAY LIGHTNING"
01:15 ახალი ამბები
01:30 „თოვლის სამყარო"
02:00 „სპორტის აკვატორია"
02:30 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
12:30 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი იტალიაში
13:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
15:30 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი იტალიაში
16:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
18:30 ველორბოლა. ტური პარიზი-ნიცა
19:45 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ასპარეზობა ესპანეთში
21:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
22:45 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მექსიკაში
01:30 ფეხბურთი. უეფას თასი
02:45 ახალი ამბები
03:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
05:00 ახალი ამბები

ფეხბურთი

# "ბაიერნისთვის" "რეალი" მეტისმეტია

არ გამართლდა თბილისელი გულშემატკივრების მოლოდინი, რომ მიუნხენის "ბაიერნი" მადრიდში არ წააგებდა და ორი მატჩის ჯამში მომდევნო ეტაპზე გასვლას მოახერხებდა. ზინედინ ზიდანის გოლმა ცივი წყალი გადაასხა ტოტალიზატორის თბილისელ მოთამაშეთა იმედებს. თბილისის ტოტალიზატორებში ფსონები, ძირითადად, "ბაიერნის" არწაგებაზე დაიდო და ეს რობერტო კარლოსისა და რონალდოს არყოფნამ გამოიწვია.

"სამეფო კლუბი" განმეორებითი მატჩის წინ, მართლაც, სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ორი ბრაზილიელის გარეშე მნიშვნელოვნად სუსტდებოდა "რეალის" შეტევითი პოტენციალი. ამასთან, რაულსაც მცირე ტრავმა აწუხებდა და პრაქტიკულად ისე გამოვიდა, რომ კარლოს კეიროუშის გუნდი ძირითადი ფორვარდების გარეშე წარუდგა გერმანიის ჩემპიონს.

თუმცა, "რეალს" ჰყავს უაღრესად ძლიერი ნახევარდაცვა და სწორედ შუახაზმა განაპირობა კიდეც ამ მატჩში "სამეფო კლუბის" გამარჯვება. ბექჰემი-ჰელგერა-ზიდანის კომბინაცია ფრანგი პლეიმეიკერის გოლით დამთავრდა და მადრიდის "რეალი" მეოთხედფინალში გავიდა. "ჩვენთვის ეს შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა. ვფიქრობ, გამარჯვება დავიმსახურეთ," - თქვა კარლოს კეიროუშმა.

უაღრესად დრამატული მატჩი გაიმართა მონაკოში. მეფე ლუი II-ის სტადიონზე "მონაკომ" მოსკოვის "ლოკომოტივს" უმასპინძლა და სასურველ შედეგს მიაღწია. ერთადერთი გოლი, რომელმაც საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერი მეოთხედფინალში გაიყვანა, ხორვატმა დადო პრშომ გაიტანა. "ლოკომოტივის" შემადგენლობაში ორივე ქართველმა ფეხბურთელმა - მალხაზ ასათიანმა და მიხეილ აშვეთიამ ითამაშა. ასათიანმა ბოლომდე, აშვეთია კი მეორე ტაიმის შუაგულში პარკსმა შეცვალა. თუმცა, ვერც ამ ცვლილებამ და ვერც მეკარე ოვჩინიკოვის (ოვჩინიკოვმა პირველ ტაიმში პენალტი მოიგერია) შესანიშნავმა თამაშმა ვერ გადაარჩინა რუსები დამარცხებას. მართალი იყო მიხეილ აშვეთია, როცა აღნიშნა, რომ "მონაკო" მოსკოვიდან ასე იოლად არ უნდა გაგვეშვა და უფრო სოლიდური ანგარიშით უნდა დაგვემარცხებინაო. ასეა თუ ისე, მეოთხედფინალში ფრანგული კლუბი ითამაშებს.



ზიდანის გოლი საკმარისი აღმოჩნდა

ევროპის რვა უძლიერეს გუნდს შორის გავიდნენ იტალიური "მილანი" და ლონდონის "არსენალი". ორივემ დამაჯერებლად დაამარცხეს შესაბამისად - ჩეხეთის "სპარტა" და ესპანეთის "სელტა". ლონდონელებმა მეოთხედფინალის საგზური პრაქტიკულად ორი კვირის წინათ მოიპოვეს, როცა ვიგოში მეტოქე - 3:2 დაამარცხეს. აი "მილანს" კი, ერთიპირობა, გაუჭირდა. თამაშის 59-ე წუთზე იუნმა გაათანაბრა ფილიპო ინძაგის მიერ გახსნილი ანგარიში. თუმცა, არ გასულა 6 წუთი, რომ ანდრეი შევჩენკომ წინ გაიყვანა თავისი გუნდი და ამით შეწყვიტა უგოლო სერია, რომელიც რამდენიმე მატჩის განმავლობაში დაუგროვდა. 79-ე წუთზე უკრაინელმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა. საბოლოო წერტილი კი მატჩს თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ჯენარო გატუზომ დაუსვა - 4:1 "მილანის" სასარგებლოდ.

ამრიგად გუშინდელი დღის შემდეგ მეოთხედფინალში ითამაშებენ - "მილანი", "რეალი", "არსენალი" და "მონაკო".

| | | |
|---|---|---|
| მონაკო | 1-0 | ლოკომოტივი |
| არსენალი | 2-0 | სელტა |
| რეალი | 1-0 | ბაიერნი |
| მილანი | 4-1 | სპარტა |

# სკანდალი, რომელმაც ბავარია შეძრა

ნინო პირველი

მიუნხენი. 2004 წლის 9 მარტი. მწვანე ქურთუკებში გამოწყობილ პოლიციელებს თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ ჩაუჭიდიათ ხელი აღელვებული შუახნის კაცისთვის და ზრდილობიანად სთხოვენ მანქანაში ჩაჯდომას. წესრიგის დამცველებს ნიმფენბურგერსშტარსესკენ აქვთ გეზი აღებული. ამ ქუჩაზე დგას კლასიცისტურ სტილში ნაგები მშვენიერი შენობა, რომელიც პირველი დანახვისას თეატრი მეგონა, მაგრამ, როგორც შემდეგ გავარკვიე, იუსტიციის სამინისტრო ყოფილა. დაპატიმრებული მორჩილად კი მისდევს პოლიციელებს, მაგრამ სანამ დაკითხვაზე გააქანებენ, ჟურნალისტებისთვის კომენტარის გაკეთებას მაინც ასწრებს: „მე დამნაშავე არ ვარ! მე არავისთვის მიმიყენებია ზიანი!" ამის შემდეგ „მიუნხენ 1860"-ის 64 წლის შეფი კარლ-ჰაინც ვილდმოზერი პოლიციის ჭაობისფერი მანქანის სიღრმეში უჩინარდება. პროკურატურა კი ბავარიის მხარეში მომხდარი არნახული ფინანსური სკანდალის გამოძიებას იწყებს.

მოგეხსენებათ, 2006 წელს გერმანია მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. ამ გრანდიოზული მოვლენისთვის გრანდიოზული მზადება მიმდინარეობს. ახალი სტადიონების აშენება საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. მიუნხენში მუნდიალის საზეიმო გახსნაა დაგეგმილი. 2006 წლისთვის ქალაქი მიუნხენი, ბავარიის ფედერაციული მიწა და ორი ბავარიული კლუბი - „ბაიერნი" და „მიუნხენ 1860", საერთო ძალებით, ახალ სტადიონს - „ალიანს არენას" აშენებენ. სტადიონის მშენებლობა 285 მილიონი ევრო დაჯდება. „მიუნხენ 1860" და „ბაიერნი" ჯერ კიდევ 2001 წლის დეკემბერში შეთანხმდნენ, რომ სტადიონისთვის ერთად გაიღებდნენ საჭირო თანხის ნაწილს. დანარჩენს ბავარიის მხარე და ქალაქი მიუნხენი დააფინანსებდნენ. სტადიონის მშენებლობა ავსტროგერმანულ შპს „ალპინეს" დაევალა. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ გასული წლის ბოლოს მიუნხენის პროკურატურა დაეჭვდა, რომ „მიუნხენ 1860-ის" შეფი და მისი ვაჟიშვილი კარლ-ჰაინც ჯუნიორი რაღაც აფერაში იყვნენ გახვეული. 2003 წლის შემოდგომაზე საქმე აღიძრა კარლ-ჰაინც ვილდმოზერ-უმცროსის ერთ-ერთი მეგობრის ფირმის წინააღმდეგ. პროკურატურამ ისეთ სამხილს მიაგნო, რომ ულაპარაკოდ დაიწყო ვილდმოზერების საქმიანობის გამოძიება. საბოლოოდ, გაირკვა, რომ სტადიონის მშენებლობისთვის განკუთვნილი თანხიდან მამა-შვილს 2,8 მილიონი ევრო ჰქონდა მითვისებული. წილში იყო



კარლ-ჰაინც ვილდმოზერი კორუფციაში ამხილეს

გაყვანილი უმცროსი ვილდმოზერის ზემოთ ნახსენები მეგობარიც. 2,8 მილიონი ვერო არც ისე დიდი თანხაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სტადიონის მშენებლობისთვის 280 მილიონია გამოყოფილი. 2,8 მილიონი საერთო თანხის მხოლოდ ერთი პროცენტია და ვილდმოზერებს, ალბათ, ეგონათ, რომ ამ ერთი პროცენტის გაქრობას ვერავინ შეამჩნევდა, მაგრამ მიუნხენის პროკურატურა იმაზე გამჭრიახი აღმოჩნდა, ვიდრე „მიუნხენ 1860"-ის გაქნილ საქმოსნებს წარმოედგინათ. ახლა კარლ-ჰაინც უფროსს სამი ბრალდება აქვს წაყენებული: საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება, გადასახადების დამალვა და სტადიონისთვის განკუთვნილი თანხის მითვისება. პირველი და მეორე პუნქტი ითვალისწინებს ხუთ-ხუთი წლით, მესამე კი – სამი წლით და რვა თვით თავისუფლების აღკვეთას. ასე რომ, თუ სამივე ბრალდება დაუმტკიცდა, გულით ავადმყოფ და კუჭისწყლულიან მამა ვილდმოზერს ცამეტი წლით ჩააყუდებენ ციხეში.

## ვილდმოზერების აღზევება და დაცემა

64 წლის კარლ-ჰაინც ვილდმოზერი ბუნდესლიგის ერთ-ერთ პატრიარქად ითვლება. ვილდმოზერების ოჯახი სამაგალითო იყო ბავარიაში. 40 წლის წინ მამა ვილდმოზერი მონასავით შრომობდა, რომ როგორმე საარსებო ფული ეშოვა. დღისით ყასბად მუშაობდა, ღამით კი - ოფიციანტად. ამ საქმიანობით ნაშოვნი თანხა უძრავ ქონებაში დააბანდა და არც უნანია. დღეს ის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია ბავარიაში. დრეზდენში და მის შემოგარენში ვილდმოზერებს შვიდასამდე სახლი ეკუთვნით, შტარნბერგის ტბაზე მდიდრული ვილა და სასტუმრო „ლეონი" იწონებს თავს, მიუნხენის ცენტრში, მარიენპლატცზე კი ვილდმოზერს რესტორანი აქვს.

„მიუნხენ 1860"-ის აღმავლობაც ამ კაცის სახელთანაა დაკავშირებული. 1992 წელს, როცა ვილდმოზერმა კლუბი იყიდა, „მიუნხენ 1860"-ის სალარო ისე იყო გაფხეკილი, რომ ახალი ბურთების შეძენაც კი არ შეეძლოთ. ვილდმოზერმა სწრაფად გამოასწორა მდგომარეობა. ის კი არა, მისი კლუბი ისეთი წარმატებული გახდა, რომ თვით „ბაიერნის" ამპარტავანი ბოსებიც კი აღარ თაკილობდნენ ვილდმოზერთან მეგობრობას. აკი სტადიონის მშენებლობაც ერთად დაიწყეს. ბოლო ხანებში ვილდმოზერს პრობლემები შეექმნა. ჯერ ჯანმრთელობა გაუუარესდა, მერე უკანონო შვილმა უჩივლა, შემდეგ სასტუმრო „ლეონი" გაყიდა საოცრად იაფად. ამას „მიუნხენ 1860"-ის ცუდი თამაშიც დაემატა... ყველაფერი კი პრეზიდენტის დაპატიმრებამ დააგვირგვინა. „ლომების" ფანები სერიოზულად შიშობენ, რომ ვილდმოზერის ჩაძირვის შემთხვევაში კლუბი დაილუპება. არც ერთი სხვა ბუნდესლიგური გუნდი ისე სასტიკად არ არის დამოკიდებული თავის პატრონზე, როგორც „მიუნხენ 1860". კლუბის სპორტული დირექტორი ირწმუნება, რომ ვილდმოზერის დაპატიმრება გუნდის ბედზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს, მიუნხენის ობერბიურგერმაისტერი კრისტიან უდე კი, რომელიც „ლომების" გულშემატკივარი გახლავთ, თავზარდაცემულია ვილდმოზერის დამხობით: „შეძრწუნებული ვარ. ვილდმოზერი ისე ძალიანაა გაიგივებული თავის კლუბთან, რომ მისი დაპატიმრება სერიოზულად ავნებს მიუნხენის და, საერთოდ, ბავარიის იმიჯს." უდემ ამ საკითხს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა. ბავარიის სპორტის მინისტრმა მონიკა ჰოლმაიერმა, გაოგნებული ვარო, - განაცხადა. ამ საკითხს ვერც ბავარიის მხარის მინისტრ-პრეზიდენტმა ედმუნდ შტოიბერმა აუარა გვერდი. მოკლედ, ყველა გაოგნებულია. ყველაზე მეტად კი „მიუნხენ 1860"-ის პარტნიორი „ბაიერნი", რომელიც „ლომებთან" ერთად აშენებდა სტადიონს. „ბაიერნს" ჯერჯერობით არაფერში სდებენ ბრალს, მხოლოდ მოწმის ამპლუაში უსვამენ სხვადასხვა კითხვას. "ეს ამბავი ტელეფონით გავიგე და გაოცებული დავრჩი. ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი", - თქვა ფრანც ბეკენბაუერმა, რომელმაც ორშაბათ საღამოს ვილდმოზერთან ერთად აღნიშნა სახელგანთქმული გერმანელი მეკარის, ზეპ მაიერის 60 წლისთავი. მალე პროკურატურა, ალბათ, „ბაიერნის" საქმეებითაც დაინტერესდება. როგორც კი „ბაიერნი" მადრიდიდან დაბრუნდება, მოუწევს, ფართოდ გაუღოს კარი გამომძიებლებს. იმედია, გერმანიის საუკეთესო კლუბი არაფერშია გასვრილი და მშვიდობიანად დააღწევს თავს ამ ფინანსურ სკანდალს...

ჩოგბურთი

# ია ჭიქია: "ისე გავბრაზდი, კინაღამ მსაჯი კოშკურიდან გადმოვაგდე"

სანდრო ნავერიანი

*ის ჩოგბურთელია. 16 წლის. მაღალი, ლამაზი, მხიარული გოგონა. უყვარს ინტერნეტში ძრომიალი და, როგორც თავად ამბობს, ერთი და იგივე საიტებს ჭყლეტს. უყვარს წიგნების კითხვა, ყველაზე მეტად კი - ნოდარ დუმბაძის "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", "მზიანი ღამე" და "მე ვხედავ მზეს". ახლა "მარადისობის კანონს" კითხულობს. კონან დოილის დეტექტივები თითქმის ზეპირად იცის. გაიცანით: ეს ია ჯიქიაა. ჩვენი საუბრიდან თქვენც ბევრ სასიამოვნო და ბევრსაც სამწუხარო ამბავს შეიტყობთ.*



ია ჭიქია სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

წლეულს, თებერვალში, იამ ლიტვის საერთაშორისო ტურნირზე ერთეულთა თანრიგში გაიმარჯვა, წყვილთა თანრიგში კი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში ბელორუსი მილევსკაია დაამარცხა, მეორე წრეში - ლატვიელი მელნიკოვა, რომელიც ევროპელ იუნიორთა რეიტინგში მერვე ადგილზეა. მესამე წრეში ფრანგ გოგონას სძლია, ხოლო ნახევარფინალში ისევ ბელორუსი, რეიტინგში მესამე პოზიციაზე მყოფი ბაიარჩუკი დაამარცხა. ფინალში კი იოლად გაიმარჯვა. გაგიკვირდებათ, მაგრამ ჟელტოვაც ბელორუსი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იამ მუსრი გაავლო ბელორუსულ ჩოგბურთს.

თამაში შვიდი წლის ასაკში დაიწყო. პირველი წარმატება 2000 წლის თებერვალში, საფრანგეთის ქალაქ ორეში მოიპოვა - მან და მისმა მეწყვილემ მე-3 ადგილი დაიკავეს. იმავე წლის აპრილში, ანტალიაში, "კონსულშენის" ერთეულთა თანრიგში პირველი ადგილი დაიკავა. სწორედ აქედან დაიწყო მისი აღმავლობის გზა. 2001 წლის თებერვალში, ისევ ორეს ტურნირზე, წყვილთა თანრიგში იამ და მისმა მეწყვილემ მანანა შაფაქიძემ გაიმარჯვეს. ეს ფაქტი ფრანგულმა პრესამ საკმაოდ ვრცლად გააშუქა. 2001 წლის აგვისტო. ბულგარეთის ქალაქი ბანკია. მეორე ადგილი წყვილთა შორის. 2002 წლის იანვარი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საერთაშორისო ორი ტურნირი წყვილთა შორის, მეორე და პირველი ადგილები. 2002 წლის აპრილი. თურქეთის ქალაქი ადანა. წყვილთა შორის მეორე ადგილი. 2002 წლის მაისი. ერევანი. პირველი ადგილი ერთეულებში. 2002 წლის მაისი. თბილისი. პირველი ადგილი წყვილებში. 2002 წლის აგვისტო. გერმანიის ქალაქი კიოლნი. მესამე ადგილი წყვილთა შორის. 2002 წლის აგვისტო. ბელგიის ქალაქი ჰაასელტი. მეორე ადგილი წყვილთა შორის. 2002 წლის აგვისტო. გერმანიის ქალაქი ბადენ-ბადენი. მესამე ადგილი წყვილთა შორის. 2003 წელი. ივლისი. ჰოლანდია. პირველი ადგილი წყვილთა შორის. 2003 წლის მაისი. ერევანი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საერთაშორისო ტურნირი. მესამე ადგილი ერთეულებში. გახდა საქართველოს ნაკრების წევრი. 2003 წლის მაისი. თბილისი. მეორე ადგილი ერთეულებში. 2003 წლის ივლისი. გერმანია. კიოლნი. მეორე ადგილი წყვილებში. 2003 წელი. აგვისტო. ბელგიის ქალაქი ჰაასელტი. მესამე ადგილი ერთეულებში. 2004 წლის თებერვალი. ლიტვა. ქალაქი შიაულაი. პირველი ადგილი ერთეულებში. 2004 წლის თებერვალი. ლიტვა. ქალაქი შიაულაი. მესამე ადგილი წყვილთა შორის. დამეთანხმებით, მისი ასაკისთვის ტიტულების შთამბეჭდავი ნუსხაა. გაითვალისწინეთ ისიც, რომ მას არ ჰყავს სპონსორი, რომელიც ათასში ერთხელ მაინც დაეხმარებოდა. იას მამა, ელგუჯა ჯიქია აფინანსებს. ერთადერთი, რაც იასთვის ხელმისაწვდომია, ეს არის ინვენტარი, რომლითაც მას ფირმა **"WILSON"**-ი უზრუნველყოფს. ერთ-ერთი ტურნირის შემდეგ, რომელზეც იამ გაიმარჯვა, ხსენებულმა ფირმამ კონტრაქტი გაუფორმა და ყოველწლიურად ოთხ ჩოგანს და ბურთებს უგზავნის.

ჩემს ერთ-ერთ შეკითხვაზე იამ ისე მიპასუხა, პირი დავაღე. მერე თვითონ მითხრა, დახურე, ბუზი არ შეგიფრინდესო. კითხვა კი ასეთი იყო.

**- არავის შემოუთავაზებია შენთვის საზღვარგარეთ ვარჯიში?**

- ევროპული საჩოგბურთო სკოლები არ არის ისეთი მაღალი დონის, როგორიც ამერიკაში. ევროპაში გასაზრდელ ჩოგბურთელებზე კეთდება აქცენტი. ასე რომ, მწვრთნელთა დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე ამერიკაში. ამერიკაში კი მსოფლიოს ორი უძლიერესი სკოლაა, სადაც მხოლოდ გაზრდილ, ჩამოყალიბებულ პროფესიონალ იუნიორებს იღებენ, რაც თავად ჩოგბურთელებისთვის ცუდად მთავრდება: ისინი ვეღარ გადადიან იმ ფაზაში, რომელიც პროფესიონალ ჩოგბურთელად გაყალიბებს. ამის მიზეზი კი მხოლოდ ის არის, რომ არ ჰყავთ პროფესიონალი მწვრთნელები.

იას მწვრთნელი თემურ კაკულია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ია გაიზარდოს როგორც პიროვნება და როგორც დიდი ჩოგბურთელი. თავად ია დიდი პატივისცემით საუბრობს მწვრთნელზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათ შორის არაჩვეულებრივი ურთიერთობაა.

**ახლა კი ყურადღებით!**

იას ყველაზე დიდი პრობლემა: მას და მის ოჯახს არა აქვს იმის საშუალება, რომ იამ ხშირად მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირებში. აქამდე ეს არ იყო კატასტროფა, მაგრამ ახლა მისთვის ყველაზე უფრო საჭირო გამოცდილების მიღება და ქულების დაგროვებაა, რაც მას საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღოს "დიდი სლემის" ტურნირებში. იას თქმით, მან წელიწადში ასი საერთაშორისო შეხვედრა მაინც უნდა ჩაატაროს. მისი ასაკის ჩოგბურთელები ორას შეხვედრასაც კი ატარებენ.

სასურველია, კულტურისა და სპორტის მინისტრი, ბატონი გოკა გაბაშვილი პირადად დაინტერესდეს ამ ბავშვის (და არა მარტო მისი) ბედით. ის ნამდვილი ტალანტია, რომელსაც თუ არავინ დაეხმარა, ისევე გაქრება, როგორც გაჩნდა.

**P.S.** ქალი ჩოგბურთელებიდან იას ყველაზე მეტად ჟუსტინ ენინ-არდენი მოსწონს, კაცებიდან კი - ანდრე აგასი. ადრე პიტ სამპრასის თამაშის სტილს ანიჭებდა უპირატესობას. "თუ დამსახურებულად ვაგებ, იმდენად არ ვბრაზდები, მაგრამ თუ ჩემი ბრალია, მაშინ... ისე ვბრაზდები, ისე, ისე, რომ... მაგრამ რა უნდა ვქნა, ჩემ თავს ხომ არ ვეჩხუბები... ერთხელ ისე გავმწარდი, მინდოდა, მსაჯი კოშკურიდან ჩამომეგდო, მაგრამ...

ჭადრაკი

# ლინარესის ტურნირის თავისებურებანი



ვლადიმირ კრამნიკი – ლინარესის ტურნირის გამარჯვებული

ისტორიას ჩაბარდა ლინარესის მეოცე კატეგორიის სირთულის საჭადრაკო ტურნირი. ჭადრაკის სამყაროს ყველაზე პრესტიჟული ტურნირი ერთპიროვნულად პირველად მოიგო კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონმა რუსმა ვლადიმირ კრამნიკმა. ჩემპიონმა 12 პარტია გამართა - ორი მოიგო, ათი კი ყაიმით დაასრულა. მან ზუსტად გაიმეორა თავისი შარშანდელი შედეგი და, შეიძლება ითქვას, კლასიკურად გაიმარჯვა.

ლინარესის წლევანდელი ტურნირის საზეიმო გახსნის ცერემონიალი სერვანტესის სახელობის თეატრში გაიმართა. შეჯიბრების მონაწილეებმა ჯერ ვიოლონჩელისტ მანუელ დე ფალიის კონცერტს მოუსმინეს, შემდეგ კი - ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს. ბოლოს ადგილობრივი გამოჩენილი ადამიანების ჯერიც დადგა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეს სათამაშო ნომრები. ტურნირის მთავარმა მსაჯმა ხუან ვარგას სანჩესმა შესაბამისი დოკუმენტი გააფორმა.

პირველივე ტურში, რომელიც, ისევე როგორც მთლიანად ტურნირი, სასტუმრო "ანიბალში" გაიმართა, ორი საყურადღებო მოვლენა მოხდა. გარი კასპაროვი შავი ფიგურებით ალექსეი შიროვს ეთამაშებოდა. თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა და განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ უკვე ოთხი წელია, რაც მოჭადრაკეები ერთმანეთს არა მარტო ხელს არ ართმევენ, არამედ, არც ესალმებიან. ყველაფერი კი იმის გამოა, რომ თავის დროზე კასპაროვმა უარი განაცხადა, შიროვთან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ებრძოლა. ამჯერად მეტოქეებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, რითაც აღნიშნეს, რომ ძველი წყენა დავიწყებულია, რითაც ტურნირის ორგანიზატორები აღფრთოვანებაში მოიყვანეს.

მეორე აღსანიშნავი მოვლენა იყო აზერბაიჯანელი ტეიმურ რაჯაბოვისა და უნგრელი პეტერ ლეკოს პარტია, რომელიც უნგრელი დიდოსტატის გამარჯვებით დამთავრდა. კაცმა რომ თქვას, თითქოს ამ მოვლენაშიც არაფერია საყურადღებო, რომ არა ერთი დეტალი – მომდევნო შედეგიანი პარტია ლინარესის წლევანდელ ტურნირზე მხოლოდ ხუთი ტურის შემდეგ დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ლუის რენტერო "მშვიდობისმყოფელ" მოჭადრაკეებს ტურნირზე მეორედ არ იწვევდა, მაგრამ ის დრო წავიდა.

ინდოელ ვიშვანათან ანანდს რომ ეთამაშა, შეიძლება შედეგიანი პარტიები გაცილებით მეტი ყოფილიყო, მაგრამ თითქოს კასპაროვის მონაწილეობაც სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო. თუმცა, რეიტინგის მიხედვით პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკემ მხოლოდ ერთი გამარჯვების მოპოვება შეძლო. კასპაროვმა 11 პარტია ყაიმით დაასრულა, მათ შორის ორი - კრამნიკთან. მსოფლიოს რიგით მე-13 ჩემპიონმა საბოლოოდ მხოლოდ ვალიეხოს დამარცხება მოახერხა. კასპაროვმა რევანში ვერ აიღო და ვერ მოუგო ტეიმურ რაჯაბოვს, რომელმაც მოსკოველი დიდოსტატი შარშან შავი ფიგურებით დაამარცხა. არადა, კასპაროვი მიზანთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში შეცდა, რაც 16 წლის აზერბაიჯანელისთვის პარტიის გადასარჩენად საკმარისი აღმოჩნდა. თუმცა, ვინ გაიხსენებს ამ ამბავს რამდენიმე წლის შემდეგ? მთავარი ხომ შედეგია!

საინტერესო ის არის, რომ კასპაროვმა მისთვის ტრადიციულად ხელსაყრელი მეტოქე – ალექსეი შიროვიც ვერ დაამარცხა. რუსმა დიდოსტატმა ლინარესში ბევრი რამის გაკეთება ვერ მოახერხა. შეიძლება კომპიუტერულ მონსტრებთან ბრძოლამ და მსოფლიოს გამაერთიანებელი ჩემპიონატის ორგანიზებამ გამოფიტა მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი. იქნებ ადამიანებთან თამაშს გადაეჩვია ან სულაც პოზიციებს თმობს ერთ დროს საჭადრაკო სამყაროს აღიარებული ლიდერი? მაგრამ ის ერთადერთია ტურნირის მონაწილეთა შორის, რომელიც ყველა პარტიაში გამარჯვებისთვის იბრძოდა და საჭადრაკო დაფასთან ყველაზე მეტი დრო გაატარა. ლოგიკურია, რომ სწორედ კასპაროვი გახდა ლინარესი 2005-ის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მონაწილე.

აი, კრამნიკი კი ყველა პარტიაში გამარჯვებისთვის კი არა, შედეგისთვის იბრძოდა და აქედან გამომდინარე აგებდა ტაქტიკას ყოველი შეხვედრისთვის. მსოფლიო ჩემპიონმა ორი ლამაზი გამარჯვება მოიპოვა ვესელინ ტოპალოვსა და პეტერ ლეკოსთან შეხვედრებში. ლეკოს დამარცხება მისთვის განსაკუთრებით პრინციპული იყო, რადგან რუს დიდოსტატს ლეკოსთან მატჩებში უარყოფითი ბალანსი აქვს და სწორედ უნგრელთან მოუწევს კრამნიკს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებისთვის თამაში. კრამნიკმა ლინარესში მშვიდად და თავდაჯერებით ითამაშა "ესპანური პარტია" და გაიმარჯვა.

ტურნირის ყველა დანარჩენ მონაწილეს შორის შეიძლება გამოვყოთ ტეიმურ რაჯაბოვი. მან ორი შეხვედრა წააგო და უკანასკნელ ადგილზე აღმოჩნდა, მაგრამ საკუთარ თავში ძალები გამონახა, ორი პარტია მოიგო და საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა. ახალგაზრდა ვუნდერკინდისთვის უდავო წარმატებაა!

ტურნირში გამარჯვება ვლადიმირ კრამნიკმა არც ისე ემოციურად გამოხატა. თუმცა, გარი კასპაროვისგან განსხვავებით, რომელიც, ჭადრაკის გარდა, უკვე დიდ პოლიტიკასაც თამაშობს, ჟურნალისტების ყველა შეკითხვას გულწრფელად უპასუხა. კრამნიკი არც ისეთ კითხვებს გაექცა, რომლის იგნორირებაც შეიძლებოდა.

- მხოლოდ, ძალიან გთხოვთ, ნუ გამაწვალებთ იმისთვის, რომ ერთმნიშვნელოვნად გიპასუხოთ – დაიწყო თუ არა კასპაროვის ეპოქის დასასრული. პირდაპირ გეტყვით: ახლა ანანდის ან ლეკოს წინააღმდეგ თამაში გაცილებით უფრო მიჭირს, ვიდრე გარი კასპაროვთან. ის შესანიშნავი მოჭადრაკეა, მაგრამ მასთან შეხვედრისას ვერავითარ პრობლემას ვერ ვგრძნობ. საერთოდ, კასპაროვი ყველა იმ ტურნირში რომ თამაშობდეს, რომელშიც სხვა მოჭადრაკეები მონაწილეობენ, მისი რეიტინგი ასეთი შთამბეჭდავი არ იქნებოდა.

- თქვენ ამბობთ, რომ მე ბევრი ყაიმი ვითამაშე, თანაც, ზოგიერთი პარტია სვლების მინიმალური რაოდენობით დავასრულე. არსებობს ასეთი გამოთქმა: "გამარჯვებულებს არ ასამართლებენ". არა აქვს მნიშვნელობა, გამარჯვებას როგორ მიაღწიე. მთავარი საბოლოო შედეგია. შეიძლება ჩემს თამაშში ნაკლები ყაიმიც ყოფილიყო, შეჯიბრებისთვის უფრო კარგად რომ მოვემზადებულიყავი. მაგრამ მე მოვიგე და მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მწვრთნელს, მიგელ ილიესკასს, რომელმაც ყველაფერი იღონა ჩემი გამარჯვებისთვის.

კიდევ რა შეიძლება ითქვას ვლადიმირ კრამნიკზე? სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგად მას რუსეთის მოსახლეობის 90 პროცენტი იცნობს. ეს მაჩვენებელი ძალიან მაღალია. ის კი არ ფიქრობს, არამედ აანალიზებს. კი არ უყურებს, არამედ სწავლობს. კი არ ოცნებობს, არამედ ჭადრაკს თამაშობს. მას არ უყვარს ხმაური და ძალიან უყვარს კარგი ფილმის ყურება. მაგალითად, "გლადიატორის" – მისი ერთ-ერთი საყვარელი ფილმის. კრამნიკს იტაცებს დისკოთეკები, რადგან იქ ნახევრად ბნელა და მას, პრაქტიკულად, ვერავინ ცნობს. ძალიან უყვარს მადრიდის "რეალი". ლინარესის ტურნირის დროსაც კი გამონახა დრო და "ბაიერნი"-"რეალის" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩს დაესწრო.

რაც შეეხება ტურნირს, ორგანიზატორები უკვე ბჭობენ იმაზე, როგორ შეცვალონ ფორმატი ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები ყაიმი დაფიქსირდეს. იქნებ რაღაც მოიფიქრონ კიდეც.

კრივი

# ჰოლიფილდს რინგი ექაჩება

ბიგა ბურასაშვილი

*"რომ არ მჯეროდეს, რომ სამივე ქამრის მოგება შემიძლია, მაშინ დაბრუნებაზე არც ვიფიქრებდი", - ორიოდე დღის წინათ რინგზე დაბრუნების სურვილი თუ პრეტენზია ასე გვამცნო ოდესღაც დიდმა ჩემპიონმა ევანდერ ჰოლიფილდმა. მისდამი კეთილგანწყობილ გულშემატკივართა არმიის წინააღმდეგობის მიუხედავად, მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს კვლავაც სურს სპორტული კარიერის გაგრძელება. რინგზე დაბრუნებას კი ჰოლიფილდი ზაფხულში აპირებს.*




ჰოლიფილდს მუშტის ქნევა მოენატრა.

შეიძლება ითქვას, რომ 41 წლის ბერმუხას ახალი ცხოვრების დაწყება უნდა. ახლის იმიტომ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ჰოლიფილდი, მართლაც, დაბრუნდება კრივში, ექს-ჩემპიონის ამალას, ფაქტობრივად, განახლებული სახეებით ვიხილავთ. დიდ ჩემპიონს უკვე ახალი ადმინისტრაციული გუნდი ჩამოუყალიბებია და ახლა პრომოუტერსა და მწვრთნელს ეძებს. როგორც ამბობენ, ჰოლიფილდს ჭკუის დამრიგებლის რანგში სახელმოხვეჭილი მწვრთნელის ემანუელ სტიუარდის ხილვა სურსო. სტიუარდი კი, მართლაც, დიდი მწვრთნელია. მწვრთნელი, რომლის სახელსაც ჩემპიონებთან მივყავართ. ერთის გახსენებაც კმარა: ლენოქს ლუისი! კიდევ ერთი აბსოლუტური ჩემპიონი!

ვიდრე ჰოლიფილდის სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებდეთ, ურიგო არ იქნება, თვალი გადავავლოთ იმ გზას, რომელმაც ჰოლიფილდს სახელი და დიდება მოუტანა.

ევანდერ ჰოლიფილდი 1984 წლის 15 ნოემბერს ავიდა პროფესიულ რინგზე. პირველივე ორთაბრძოლაში გაიმარჯვა ლიონელ ბრიამსთან. თუმცა, პირველ სერიოზულ წარმატებებს შავკანიანი მოკრივისთვის თავბრუ არ დაუხვევია. განსხვავდებოდა მეტოქეებისგანაც, რომლებიც ტიპური მაგარი ბიჭების როლს თამაშობდნენ.

1989 წელს მაიკლ დოკესზე გამარჯვებით ევანდერი კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) უმთავრეს ქამარს ეუფლება, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 25 ოქტომბერს, ჯეიმს დუგლასის დამარცხებამ მას მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობა მოუტანა. აბსოლუტური ჩემპიონის წოდება კი რიდიკ ბოუისთან შერკინებამდე, 1992 წლის 13 ნოემბრამდე შეინარჩუნა. ამ ორთაბრძოლიდან ერთი წლის შემდეგ ჰოლიფილდმა მატჩ-რევანშში სტატუსკვო აღადგინა - ერთდროულად ფედერაციისა (IBF) და ასოციაციის (WBA) საჩემპიონო ქამრები შემოირტყა წელზე. მაგრამ "თაფლობის თვე" არც ამ შემთხვევაში გაგრძელებულა დიდხანს. 1994 წლის აპრილში ტიტულები მაიკლ მურერს გადაულოცა.

ჰოლიფილდის ბრძოლათა ნუსხიდან ყველაზე გამორჩეული და ხმაურიანი მაინც მაიკლ ტაისონთან შერკინებაა. "რკინის მაიკსა" და ჰოლიფილდს შორის დაპირისპირება, უფრო სწორად, პირველი ჩხუბი კრივის მოყვარულებს უფრო ადრეც უნდა ეხილათ, მაგრამ ტაისონმა ვარჯიშისას ტრავმა მიიღო და მატჩის თარიღი გადაიდო. რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც მათ შეხლას თითქოს წინ აღარაფერი ედგა, ტაისონს ფეხი დაუცდა – გაუპატიურების ბრალდებით სატუსაღოში მოათავსეს. ტაიმ-აუტი 1996 წლის 9 ნოემბრამდე გაგრძელდა. რინგზე დაბრუნებულმა ტაისონმა ევანდერ ჰოლიფილდს ვერაფერი დაუპირისპირა. ჰოლიფილდმა ასოციაციის ტიტული დაიბრუნა. მოგვიანებით ევანდერს მატჩ-რევანშს სთავაზობენ.

"იმ კაცმა მომცა საშუალება, რომ მეცემა. ახლა კიდევ ერთ ასეთ შანსს ვაძლევ. თუ ეს მოხდება, მაშინ ჩემთვის ჩხუბი ბევრად იოლი იქნება, ვიდრე შარშან, ნოემბერში იყო. თანაც, უფრო სწრაფად დასრულდება. მან (ტაისონმა) ბევრს მიუნგრია ცხვირ-პირი, მაგრამ მე მისი სტილის გასაღებს მივაგენი", - მატჩ-რევანშამდე ცოტა ხნით ადრე აცხადებდა ჰოლიფილდი.

მატჩ-რევანშამდე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეს დაპირისპირება, შედეგის მიუხედავად, დიდად შემოსავლიანი იქნებოდა. მარტო იმისთვის, რომ უბრალო ამერიკელს შინიდან გაუსვლელად, საკაბელო ტელევიზიით ედევნებინა თვალი ჰოლიფილდ-ტაისონის ორთაბრძოლისთვის, 50 დოლარი უნდა გადაეხადა. ასეთები კი მრავლად იყვნენ. გარდა ამისა, ისტორიული ბრძოლის ნახვის მსურველთათვის გამოყოფილ 1600 სპეციალურ დახურულ დაწესებულებაში მოსახვედრად მაყურებელს 75 დოლარი უნდა გადაეხადა, ხოლო მათ, ვისაც ცოცხლად სურდათ შერკინების ხილვა, 1500 დოლარი უნდა გაემეტებინათ. ლას ვეგასის MGM Grand Garden-მა 16 ათას მაყურებელს გაუღო კარი. საინტერესოა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ჰოლიფილდი პროფესიონალი მოკრივისთვის რეკორდულ ჰონორარს – 35 მილიონ დოლარს მიიღებდა. ანუ, რინგზე ბრძოლებისთვის გასამრჯელოდ მიღებული თანხა 160 მილიონამდე მრგვალდებოდა, მაგრამ... 1997 წლის 28 ივნისს ტაისონმა კანიბალის რანგში დატოვა რინგი – ჰოლიფილდს ყური მოაჭამა, რისთვისაც დისკვალიფიკაცია მიიღო. მერე კი...

1999 წელს ჰოლიფილდისა და ლენოქს ლუისის დაპირისპირების ჯერი დადგა, თუმცა, დიდმა ჩემპიონმა ასევე დიდ ჩემპიონთან მარცხი იწვნია.

უკანასკნელი ორთაბრძოლა ჰოლიფილდმა შარშან, ოქტომბერში გამართა და ისევ დამარცხდა, ამასთან, სუპერმძიმე წონაში გადაბარგებულ ჯეიმს ტონისთან. ახლა კი ევანდერს მატჩ-რევანში სწყურია: "ვისურვებდი, რომ ასოციაციის ჩემპიონს ჯონ რუისს, ან ფედერაციის საჩემპიონო ქამრის მფლობელ კრის ბერდს შევხვდე. დანარჩენებთან კი სპარინგს სპორტულ დარბაზშიც გავმართავდი", - ესეც ჰოლიფილდის ამბიცია.

სხვათა შორის, ჰოლიფილდს შვილებთან პირობა აქვს დადებული, ერთ-ერთ საჩემპიონო ქამარს დავიბრუნებო.

# ავტოინდუსტრიის ნეიტრალური ტერიტორია

## ჟენევის ავტოსალონის სიახლეები

მერაბ ლორთქიფანიძე

მსოფლიოს უდიდეს ავტოსალონებს შორის ჟენევისას განსაკუთრებული ადგილი უკავია, რამდენადაც ის ერთგვარ "ნეიტრალურ ტერიტორიას" წარმოადგენს – შვეიცარია არ არის აღნიშნული ძლიერგანვითარებული ავტოინდუსტრიის მქონე ქვეყნების რუკაზე და მხოლოდ მცირე ფირმებით შემოიფარგლება, რომლებიც მხოლოდ შეკვეთებით ამზადებენ ექსკლუზიურ და საკმაოდ არატრადიციულ ავტომობილებს.

ამასთან, პარიზისა და ფრანკფურტის ავტოსალონებისგან განსხვავებით (რომლებიც მორიგეობით, ორ წელიწადში ეწყობა), ჟენევისას არ აქვს პრეტენზია მსოფლიო დონეზე – ჟენევის "ექსპოენტრის" პავილიონებში იხილავთ მეტწილად ისეთ ავტომობილებს, რომლებიც ევროპის ბაზრისთვისაა განკუთვნილი. რა თქმა უნდა, აქ ხშირია მსოფლიო პრემიერები, თუმცა მთავარი მაინც ძველი კონტინენტის მოთხოვნილებათა გათვალისწინებაა.

ჟენევის ავტოსალონი არც ტოკიოს ავტოსალონივით ხალხმრავლობით გამოირჩევა, არც ფრანკფურტის პავილიონების ფართობით და არც პარიზის ავტოსალონის ხანგრძლივობით, მაგრამ მასზე მუშაობა ერთნაირად იზიდავს როგორც ავტომწარმოებლებს, ასევე მასმედიასაც. ის ყოველწლიურად კარებს გაზაფხულის პირველ დღეებში ხსნის და მას შემდეგ, რაც მედია მთლიანად აითვისებს ინფორმაციას, "ექსპოცენტრი" და მასში გამოფენილი უახლესი ავტომობილები ათი დღის განმავლობაში ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ხელმისაწვდომი ხდება.

წინა წლებისგან განსხვავებით, ჟენევის წლევანდელი ავტოსალონი არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მაგრამ მასზე მაინც 30 ქვეყნის წამყვანმა ავტოკომპანიებმა წარმოადგინეს თავიანთი პროდუქცია.

რა თქმა უნდა, ავტოსალონზე მთავარი საწარმოო მოდელებია, რომელთა გაყიდვებმაც მათი მწარმოებლების კეთილდღეობა უნდა უზრუნველყოს. დამთვალიერებლებს ადგილზევე შეუძლიათ მათ მიერ არჩეულ ავტომობილებზე შეკვეთების გაკეთება. თუმცა, ავტოსალონის უმთავრესი ვარსკვლავები მაინც კონცეპტუალური ავტომობილებია, რომლებსაც დიდი კომპანიები ხშირად მხოლოდ იმისათვის ქმნიან, რომ მათი პავილონების სიახლოვეს, რაც შეიძლება მეტი დამთვალიერებელი მიიზიდონ.

ასეთი კონცეპტუალების სიმცირეს ჟენევის 74-ე ავტოსალონი, რომელიც პრესისთვის 2 მარტს გაიხსნა, ფართო მნახველისთვის კი 4-დან 14 მარტამდე იყო ღია, ნამდვილად არ განიცდიდა.

### იტალდიზაინი

ექსპერტთა მოსაზრებით, კონცეპტკარებში გამოირჩეოდა იტალიური სტუდია "იტალდიზაინის" ორი ავტომობილი, რომელთაგან ერთი იაპონური "ტოიოტასთვისაა" მომზადებული, მეორე კი – იტალიური "ალფა რომეოსთვის".

პირველის სახელია "ალესანდრო ვოლტა" (სახელოვანი ფიზიკოსის პატივსაცემად, ვინც 1800 წელს ელექტრობატარეა გამოიგონა) და იგი იაპონური კომპანიის წარმოების ჰიბრიდული აგრეგატით აღჭურვილ კუპეს წარმოადგენს. მასში ძალური დანადგარი ზედ უკანა ხიდის თავზეა განლაგებული და ამდენად, არ საჭიროებს სატრანსმისიო ლილვებს. ამის წყალობით, კონსტრუქცია ერთობ კომპაქტურია, რისი წყალობითაც, კონსტრუქტორებს საშუალება მიეცათ, გაეზარდათ სალონის ტევადობა და შესაბამისად, კომფორტიც – ავტომობილი სამ ადამიანზეა გათვლილი.

ავტომობილზე დამონტაჟებულია 3.3 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე ჰიბრიდული აგრეგატი (ის გამოიყენება უგზოობის ავტომობილ "ლექსუს RX"-ზე), რომლის სიმძლავრეც 408 ცხენის ძალას შეადგენს. მისი მეშვეობით ავტომობილი ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას სულ 4 წამს ანდომებს, თუმცა მისი მაქსიმალური სიჩქარე ელექტრონიკის დახმარებით, 250 კმ/სთ-ითაა (ევროპული სტანდარტი) შეზღუდული. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ავტომობილი გამოირჩევა თავისი ეკონომიურობითაც – მისი შემქმნელები ირწმუნებიან, რომ ას კილომეტრზე "ვოლტა" სულ 7.5 ლიტრ საწვავს მოიხმარს.

მეორე ავტომობილის სახელწოდებაა "ვისკონტი" და იგი თავად სახელოვანი მაესტროს, ჯორჯეტო ჯუჯაროს ნამუშევარია, ვინც შთაგონების წყაროდ მილანური მარკის (ალფა რომეო) კლასიკური სტილი აირჩია. ეს ავტომობილი არის ჯუჯაროსეული ხედვა "ალფა რომეოს" მომავალი ფლაგმანის, სედან 166-ისა, რომელსაც უკვე დიდი ხანია, ელის პოტენციური მყიდველი.

სახელოვანმა დიზაინერმა საფუძვლად აიღო უგზოობის კონცეპტუალურ მოდელ "კუბანგის" პროპორციები, მიუსადაგა ის სედანის სტილს, გამოსარჩევ ნიშნად კი დაუტოვა მისივე სტუდიის მიერ მილანური კომპანიის პროდუქციისთვის შექმნილი რადიატორის ახლებური გაფორმება, რომელიც პირველად კონცეპტუალურ კუპე "ბრერაზე" ქნა გამოყენებული, საწარმოო მოდელებიდან კი პირველად მოდელი 156 დაამშვენა.

მხოლოდ ჯუჯარომ იცის, როგორ გამოიყვანა ყოველივედან აგრესიული გამომეტყველების მქონე ეგრეთწოდებული ორმოცულობიანი სპორტული ავტომობილი, რომელსაც "ერთი სული აქვს", როდის ამოყოფს თავს სარბოლ ტრასაზე.

### ტოიოტა MTRC

არანაკლებ შთამბეჭდავია, უფრო სწორედ კი, უცნაური, "ტოიოტას" მიერ შექმნილი მომავლის კონცეპტი – მოტორ ტრაიატლონ რეის ქარ (MTRC). ავტომობილის ღია ბორბლები და ბოლიდისებრი შეთანწყობა ფორმულა ერთის სარბოლ ბოლიდს მოგვაგონებს, თუმცა მისი უზარმაზარი ბორბლებით ალბათ უგზოობის ავტომობილის შემოსვა იქნებოდა უპრიანი. და თუ ამ მონსტრის ინტერიერს დავაკვირდებით, მაშინ იმაშიც შეიძლება დარწმუნება, რომ მასზე ამხედრებული, ქალაქის გზებზეც შესანიშნავად გაისეირნებს კაცი.

იაპონურ კონცეპციას აქვს სრულფასოვანი ორადგილიანი სალონი, რომელშიც მგზავრის სავარძელი მძღოლისას უკანაა განთავსებული. ოთხივე ბორბალს "თავისი" ელექტრომოტორი ემსახურება, რომლებსაც ენერგიით წყალბადის ფიჭურ ელემენტებზე მომუშავე გენერატორი ამარაგებს. აგრეგატების შექმნაზე "ტოიოტას" კონსტრუქტორებთან ერთად "სონისა" და "მიშლენის" სპეციალისტებიც მუშაობდნენ.

კონცეპციის ავტორები გვარწმუნებენ, რომ მათი ნამუშევარი აქტუალური იქნება 2022 წლის სარბოლ ტრასებზე. ამასთან, იგი საუკეთესოდ შესძლებს უგზოობის პირობებში გადაადგილებასაც. მოკლედ, ტოიოტა MTRC უნივერსალური სარბოლი ავტომობილია, რომელიც იაპონური კომპანიის ნიცაში განლაგებულმა სტუდიამ დაამზადა.

### ოპელ Trixx

ბოლო წლებში სულ უფრო მზარდი პოპულარობით სარგებლობს მიკროავტომობილი "სმარტი", რომლის პოპულარობაც სხვა ავტომწარმოებლებს (სმარტი მერსედეს-ბენცის კუთვნილებაა) ამ სეგმენტისთვის განკუთვნილი ავტომობილების წარმოებისკენ უბიძგებს. სამმეტრიანთა (ასე უწოდებენ სმარტის კლასის ავტომობილებს) კლასში დამკვიდრების ხარჯზე, საწარმოო პროგრამის გაფართოების წინააღმდეგი არც "ჯენერალ მოტორსის" გერმანული შტო "ოპელია", რომელმაც ჟენევაში წარმოადგინა კონცეპტუალური ლილიპუტი Trixx.

კონკურენტებისგან განსხვავებით, ამ პატარა ავტომობილში თავისუფლად ეტევა სამი ზრდასრული ადამიანი (ისე, სმარტს ერთი რეკორდი ეკუთვნის, რომელიც გინესის წიგნშიც კია შესული – მასში მომცრო ტანის 14 გოგონა (!) მოთავსდა და ასე მანქანამ რამდენიმე მეტრის გავლა შეძლო) და ერთიც ბავშვი. ამ უკანასკნელის ავტომობილში ჩასატევად კონსტრუქტორებმა ერთობ საინტერესო გადაწყვეტა შემოგვთავაზეს – საბარგო განყოფილებაში მოთავსებულია გასაბერი სავარძელი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ჰაერით ავტომობილში მოთავსებული კომპრესორი ავსებს.

ავტომობილი იმითაც გამოირჩევა, რომ რგოლის ნაცვლად მასში მოტოციკლის საჭის მსგავსი შტურვალი გამოიყენება. Trixx-ის ზომები კი შემდეგია: სიგრძე 3040 მმ, სიგანე 1660 მმ, სიმაღლე 1570 მმ და თვლების ბაზა – 1940 მმ. სწორედ მოზრდილი ბაზა იძლევა იმის საშუალებას, რომ ავტომობილის სალონი კომფორტული იყოს მისი მგზავრებისთვის. და თუ მგზავრთა სავარძლებს დაკეცავთ, ავტომობილის საბარგო მოცულობა 890 ლიტრამდე გაიზრდება, რითაც სოლიდური ზომის ბევრი უნივერსალი ვერ დაიკვეხნის. ასეთ საბარგულში თავისუფლად ეტევა სამთო ველოსიპედი.

Trixx-ის კაპოტქვეშ განლაგებულია 1.3-ლიტრიანი ტურბოდიზელი, რომელსაც უკვე კარგა ხანია, "ოპელ კორსა" იყენებს. მაბრუნი მომენტი გადაეცემა წინა წამყვან თვლებს. "ოპელი" ირწმუნება, რომ Trixx სერიული არასოდეს გახდება, თუმცა მასში ასახულია, თუ როგორი იქნება გერმანული კომპანიის ამ კლასის ავტომობილი – უკვე დიდი ხანია, რუსელჰაიმელთა სამოდელო რიგის ყველაზე მცირეგაბარიტიანი ავტომობილი, "ოპელ აგილა" შეცვლას საჭიროებს.

რა თქმა უნდა, კონცეპტუალური ავტომობილების გარდა, ჟენევაში საწარმოოდ მომზადებული ახალი ავტომობილებიც მრავლად იყო წარმოდგენილი. მათგან ზოგიერთ საინტერესოს შესახებ ჩვენ რუბრიკის მომდევნო გამოშვებებში აუცილებლად მოვუთხრობთ, მანამდე კი მოკლედ გაგაცნობთ ავტოსალონის ზოგიერთ, ყველაზე საინტერესო ექსპონატს.

### აუდი A6

გერმანული კომპანიის სამოდელო გამაში მე-6 სერიის, ეგრეთ წოდებული ბიზნეს-კლასის ავტომობილებს რანგით მეორე ადგილი უკავიათ და ბუნებრივია, A6-ის გამოჩენას სპეციალისტებიც და პოტენციური მყიდველიც მოუთმენლად ელოდა. ამის მიზეზი გასაგებია – ბოლო წლებში ამ პოპულარული სედანების გაყიდვები საგრძნობლად დაეცა, რაც მეტწილად ორი გერმანელი სუპერკონკურენტის, "მერსედესისა" და "ბეემვეს" მიერ ახალი ავტომობილების გამოშვებამ განაპირობა.

ბიზნეს კლასში უკვე ტრადიციად იქცა, რომ ყოველი მომდევნო თაობის ავტომობილი (მერსედესის იქნება ის, ბეემვესი, თუ აუდისა) წინამორბედზე დიდიცაა და კომფორტულიც. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ახალი "აუდი A6"-ია. მისმა სიგრძემ უკვე ხუთ მეტრს უწია, სიგანემ 1860 მმ შეადგინა, სიმაღლემ კი – 1460 მმ.

ავტომობილმა ერთობ აგრესიული იერიც მიიღო, რაც პირველ რიგში, უზარმაზარი რადიატორის დამსახურებაა. სამაგიეროდ, კლასიკური, აუდისეულია ავტომობილის ინტერიერი. ახალი სედანი აღიჭურვება ხუთი სხვადასხვა ძრავით, რომელთაგან სამი საწვავად ბენზინს მოიხმარს, ორიც – დიზელს. ბენზინზე მომუშავე აგრეგატების სიმძლავრე 177-335 ცხენის ძალას შორის მერყეობს, დიზელისა კი – 140-225 ცხენის ძალას შორის. კომპანია ამ კლასის ავტომობილებს პირველად აღჭურვავს 7-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფით სახელად "ტიპტრონიკ".

"აუდი A6"-ის გაყიდვები ევროპაში ზაფხულისთვის დაიწყება. საბაზო ვერსიის ღირებულება კი 33 ათასი ევრო იქნება. ერთი წლის შემდეგ დაიწყება მის ბაზაზე შექმნილი უნივერსალების გაყიდვები.

### BMW

თუ "აუდი" ბაზარზე ახლაღა უშვებს ბიზნეს-კლასის განახლებულ სედანს, მისი ბავარიული კონკურენტი შესაბამის კლასში მოღვაწე, მე-5 სერიის სედანის ფლაგმანი-ვერსიის, ოთხკარიან კუპე M5-ზე ზრუნავს. კერძოდ, ჟენევაში "ბაიერიშე მოტორენვერკემ" (ბეემვე) ახალი თაობის M5 წარუდგინა დამთვალიერებელს, მაგრამ რამდენადაც მისი სასტენდო გამოცდები ჯერაც გრძელდება, მას სახელის გვერდით მიწერილი აქვს აღნიშვნა "კონცეპტუალური".

M5-ის კაპოტქვეშ განლაგებულია სრულიად ახალი კონსტრუქციის 5-ლიტრიანი V10, რომლის შექმნის დროსაც ფართოდ იქნა გამოყენებული ფორმულა ერთის რბოლებში დაგროვილი უზარმაზარი გამოცდილება. აგრეგატის სიმძლავრე 500 ცხენის ძალას შეადგენს, მასთან კი შეწყვილებულია ან 6-საფეხურიანი, მექანიკური, ანაც 6-საფეხურიანი, რობოტიზებული გადაცემათა კოლოფი.

ბავარიელთა სტენდზე უფრო საინტერესო ექსპონატი კი, რაღა თქმა უნდა, მე-6 სერიის შესანიშნავი კაბრიოლეტია. იგივე ავტომობილი, ოღონდ კუპეს ფორმაში გამოწყობილი, "ბეემვემ" მყიდველს ჯერ კიდევ შარშან, ფრანკფურტის ავტოსალონზე შესთავაზა. მისი ყველაზე ძვირადღირებული ვერსიის ფასი 70 ათას ევროს შეადგენს. იგი აღჭურვილია V8 კონფიგურაციის 4.4-ლიტრიანი ძრავით, რომლის სიმძლავრეც 325 ცხენის ძალას შეადგენს. ამ აგრეგატთან, ზემოთ ნახსენები 6-საფეხურიანი კოლოფების გარდა, შეიძლება შეწყვილდეს ეგრეთ წოდებული სეკვენტალური გადაცემათა კოლოფი, იმის მსგავსი, როგორიც ფორმულა ერთის ბოლიდებში გამოიყენება.

მე-5 სერიის სედანის პლატფორმაზე დამზადებული ეს კაბრიოლეტი ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს სულ 5.5 წამში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 250 კმ/სთ-ითაა ხელოვნურად შეზღუდული.

### მერსედეს CLS

"მერსედეს-ბენცის" პავილიონის მთავარი ფიგურა იყო სრულიად ახალი ავტომობილი – კუპე, უფრო სწორედ კი, როგორც თავად შტუტგარტელები უსვამენ ხაზს, კუპე-სედანი CLS, რომლის კონცეპტუალური პროტოტიპი გერმანულმა კომპანიამ ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე, ფრანკფურტის ავტოსალონზე გარმოადგინა.

პირველი ჩვენებიდან არ გასულა ნახევარი წელი და "სამქმიანებმა" პროტოტიპი საწარმოო მოდელად გარდაქმნს და ჟენევაში სწორედ ასეთად წარადგინეს. მათი ასეთი აჩქარება გასაგებია – ბავარიელმა კონკურენტებმა ფრანკფურტში პოტენციურ მყიდველს თავიანთი მე-6 სერიის (საწარმოო) მოდელი უჩვენეს, რომლის მსგავსი "მერსედეს-ბენცის" სამოდელო გამაში არც დღეისათვის ფიგურირებს, მაგრამ მოდელი CLS ამ ნაკლს ნაწილობრივ მაინც გაანეიტრალებს.

რაც შეეხება CLS-ის ტექნიკურ აღჭურვილობას, მისი სერიული ვარიანტი თითქმის არ განსხვავდება კონცეპტუალური პროტოტიპისგან. ოთხადგილიანი კუპესედანი აგებულია E-კლასის სედანის პლატფორმაზე. მისგანვეა აღებული ჯერ მხოლოდ ორი ძრავიც – 3.5-ლიტრიანი V6 272 ცხენის ძალით და ხუთლიტრიანი V8 306 ცხენის ძალით, რომლებიც შეწყვილებულია შვიდსაფეხურიან ავტომატურ გადაცემათა კოლოფთან. უახლოეს მომავალში ჩვენი რუბრიკა ამ საინტერესო ავტომობილის შესახებ აუცილებლად მოგაწვდით უფრო დაწვრილებით ინფორმაციას.

### პეჟო

"ფრანგული ლომების" სტენდზე ორი საინტერესო სიახლეა. ერთია სერიული წარმოებისთვის გამზადებული სედანი 407, მეორე კი მისივე ბაზაზე შექმნილი სპორტული ავტომობილი სახელად "407 სილუეტი".

კომპანიამ ჯერ კიდევ გასული სამოდელო წლის მიწურულს წარმოადგინა მოდელი 407, რომლის წინამორბედიც (406) მფლობელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ამას პირველ რიგში მისი შესანიშნავი დინამიკური და ტექნიკური მახასიათებლები, ასევე უბადლო მართვადობა განაპირობებდა. სედანთან ერთად, "პეჟომ" 407-ის ბაზაზე შექმნილი უნივერსალიც წარმოადგინა.

რაც შეეხება ორადგილიან "სილუეტს", იგი საგრძნობლად განსხვავდება საბაზო 407-სგან და განკუთვნილია არამხოლოდ კომპანიის სტენდზე მნახველის მისაზიდად. ეს ავტომობილი სუპერტურიზმის კლასში საფრანგეთის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

### ფორდ ფიესტა

ჟენევის ავტოსალონის დღევანდელ, ერთობ არასრულ მიმოხილვას დავასრულებთ კომპანია "ფორდის" კომპაქტურ მოდელ "ფიესტას" ეგრეთ წოდებული "დამუხტული" ვერსიით, რომელსაც სრულად "ფიესტა ST" ეწოდება.

ამ ავტომობილის კაპოტქვეშ განლაგებულია "დურატეკის" სერიის ორლიტრიანი ძრავი, რომლის სიმძლავრეც 150 ცხენის ძალამდეა ფორსირებული. შესაბამისად, სპორტულ ყაიდაზეა გადაყვანილი დაკიდების სისტემაც – მასში გამოყენებულია გაცილებით ხისტი ზამბარები და ამორტიზატორები, რაც ავტომობილის გზის საფარიდან დაშორების სტაბილურად შენარჩუნებას და მაღალი სიჩქარით მოძრაობისას მოსახვევში მდგრადობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, შემცირებულია ავტომობილის კლირენსიც – გზის საფართან დაშორება, რაც პირველ რიგში სიმძიმის ცენტრის დაბლა დაწევას ემსახურება და აუმჯობესებს ავტომობილის აეროდინამიკურ მახასიათებლებს.

გარეგნულად სპორტულ ფიესტას თავისი სამოქალაქო "ნათესავისგან" გამოარჩევს სპოილერებიანი ბამპერი, გაზრდილი განივკვეთის ჰაერის ამღებები, ახალი, სპორტული მოლდინგი და, რაღა თქმა უნდა, 17-დუიმიანი თვლები.

P.S. რუბრიკა ავტომობილი შემდეგ გამოშვებაშიც ჟენევის ავტოსალონის მონაწილეთა ზერელე გაცნობას გააგრძელებს, მათგან საუკეთესოების შესახებ კი ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი.


აუდი A6


პეჟო 407 სილუეტი


ტოიოტა MTRC


ტოიოტა ვოლტა



BMW M5 კონცეპტი



ფორდ ფიესტა ST


მერსედეს CLS


ოპელ Trixx

# ნახვამდის, ფორდ!

## სუპერვარსკვლავი დიზაინერის ეპოქის დასასრული


ტომ ფორდი

შავი ან შინდისფერი პიჯაკით, თავშეკავებული ღიმილით, მუდამ გვარიანად შეხსნილი თეთრი პერანგის საყელოთი და თაყვანისმცემელი ქალების ურიცხვი ამალით (დაუდგენელი სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად) – ეს იყო ტომ ფორდი, რომელმაც გუჩის და ივ სენ ლორანის სამყარო აალორძინა, მთელი ჰოლივუდი შემოსა, ოთხი დღის წინ მოდის სამყაროდან საბოლოოდ წავიდა და ამის გამო ბევრი დაამწუხრა.

ფორდი მთავარი დიზაინერის პოსტს ოფიციალურად აპრილში დატოვებს, მაგრამ ფართო საზოგადოებამ ის უკვე წასულად უნდა იგულოს – დიზაინერი არც მოდის ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას და არც სხვა საზოგადოებრივ თავყრილობებში. ჯერჯერობით, ფორდი დაისვენებს.

რატომ გახდა ამერიკელი დიზაინერი თითქმის ისეთივე პოპულარული სახე და იმავე დონის ვარსკვლავი, რა დონის მსახიობებსაც თვითონ აცმევს? მზა რეცეპტი ამ კითხვაზე არ არსებობს. თუმცა, სავარაუდოა, რომ ტომ ფორდი უბრალოდ დანარჩენი დიზაინერების ფონზე იქცა მოდურ ვარსკვლავად – ის ახალგაზრდაა და სიმპათიური, ექსცენტრიული ჯონ გალიანოსგან განსხვავებით ყოველთვის დახვეწილად და ზედმიწევნით მამაკაცურად იცვამს. მუდამ ჩახსნილი პერანგი სექსუალურობას მატებს. ქალებისთვის არ იშურებს ღიმილს, გალანტურობასა და ყურადღებას. ქცევები დახვეწილი აქვს და ისეთ სიმშვიდეს აფრქვევს, ქალები მამაკაცურ ძლიერებად რომ აღიქვამენ და თვალის დახამხამებაში ენდობიან ხოლმე.

ასე რომ, შევთანხმდეთ, იმ 10 წლის განმავლობაში, რაც ის მოდაში მოღვაწეობს, ფორდი სუპერვარსკვლავი გახდა. სწორედ მან შეიტანა ვარსკვლავური ციალი მოდის ინდუსტრიაში. მანვე დაამკვიდრა ახალი პრაქტიკა მოდაში – ახლა ვისაც მტვერწაყრილი მოდის სახლის რეინკარნაცია სურს, მთავარ დიზაინერად აუცილებლად ვარსკვლავ დიზაინერს ქირაობს. ამიტომაც მოიყვანეს ლუის ვიტონის სავაჭრო ნიშნის ასაღორძინებლად მარკ ჯეკობსი, "ჰერმესის" მოდაში დასაბრუნებლად კი – ჟან პოლ გოტიე (მისი "ჰერმესის" კოლექცია პარიზში ორიოდე დღის წინ წარადგინეს და საკმაო წარმატებითაც. როგორც ჩანს, "ჰერმესი" მართლაც აპირებს პომპეზურ დაბრუნებას).

კვირას მოდიდან სწორედ ეს ისტორიული პიროვნება წავიდა. ბოლო დროს გამართულ მოვლენებს თუ ყურადღებით გადაავლებთ თვალს, შენიშნავთ, რომ ფორდი რამდენჯერმე დაგვემშვიდობა: შემოდგომაზე – ახალი სუნამოს გამოშვებით, იანვარში, "ოქროს გლობუსზე" ნიკოლ კიდმანის კაბით, თებერვალში, "ოსკარზე" – შარლიზ თერონის სამოსით, დაბოლოს, ორი დასკვნითი შოუთი – მილანში "გუჩისთვის" და პარიზში "ივ სენ ლორანისთვის".

მილანში ბევრმა მანდილოსანმა გაიფუჭა ძვირფასი მაკიაჟი – ფორდს გაეტირა. ამერიკული "ვოგის" რედაქტორმა ანა ვინტურმა აღნიშნა: "ძალიან სევდიანია ეს ყველაფერი. ტირილი მინდა". მშვენიერი ჩვენების დასასრულს, ხანგრძლივი აპლოდისმენტებისა და ვარდის ფურცლების ფონზე პოდიუმზე თვითონ დიზაინერიც გამოჩნდა – მაყურებელი მას დიდხანს ემშვიდობებოდა.

თითქმის ასეთივე ემოციური სცენა ორიოდე კვირის შემდეგ პარიზშიც განმეორდა, როდესაც მუზეუმის ბაღში – იქ, სადაც 2000 წლიდან დაწყებული ტომ ფორდი თავის სრულ კოლექციას წარადგენდა ხოლმე. შოუს ბოლოს ფორდი პოდიუმზე გამოვიდა, წინა რიგში მჯდომ დომენიკო დე სოლეს ("გუჩის" ფინანსური დირექტორი, რომელიც ფორდთან ერთად მიდის) გადაეხვია, პოდიუმზე ისიც აიყვანა და პუბლიკას ასე დაემშვიდობა. მისი გამოსამშვიდობებელი ფერი მყვირალა წითელი იყო – ფორდს პოდიუმზე გატარებულ ბოლო საღამოს წითელი ველვეტის პიჯაკი ეცვა.

ჯერჯერობით, არავინ იცის, სად წავა თანამედროვე მოდის ლეგენდა. არსებობს ეჭვები, რომ ის კინემატოგრაფსა და პროდიუსერობაში ცდის ბედს. თუმცა, ფორდის მეგობარი და ცნობილი ფოტოგრაფი მარიო ტესტინო ვარაუდობს, რომ დიზაინერი მოდიდან საბოლოოდ არ წავა. "შეიძლება, ის მოგვიანებით დაბრუნდეს. არა მგონია, შეჩერდეს. როცა ამდენს მიაღწევ, მერე გაჩერება ძნელია", - დასძენს ის.

გაჩერება და მით უმეტეს, დასვენება ტომ ფორდს მართლაც ძალიან გაუჭირდება. ის ხომ წლების განმავლობაში აკონტროლებდა ყველაფერს – უშუალოდ მოდელების შექმნიდან დაწყებული, რეკლამების დამზადების, შეფუთვის, მაღაზიების დეკორაციით, ვარსკვლავების შემოსვით დამთავრებული. სწორედ ფორდის იდეა იყო "პორნო-გოგონას" ტაბუს დარღვევა და ბოქვენის თმის "გუჩის" ლოგოს ფორმით გამოჭრა – ასეთი გოგონა, მართლაც, "გუჩის" რეკლამაში გამოჩნდა: ბილბორდზე ის მხოლოდ მკერდამდე ჩანს, თითით საცვალს ქვევით იწევს და "გუჩის" ლოგოს აჩენს, ფეხზე კი მას იქვე დაჩოქილი ბიჭი ეხვევა. ცხადია, პუბლიკაზე ამ რეკლამამ ისეთივე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც სრულიად შიშველი სოფი დალის გამოჩენამ სუნამოს გახმაურებულ რეკლამაში.

ასე რომ, შეიძლება მართლაც არ ცდებიან მოდის ექსპერტები, როცა ასკვნიან, რომ ტომ ფორდის წასვლით, მოდაში სუპერვარსკვლავი დიზაინერის ეპოქა დასრულდა – ფორდის სიმაღლეებს შეიძლება ვერც ვერავინ მიაღწიოს და ვერც ვერავინ მოიპოვოს სუპერვარსკვლავი დიზაინერის სტატუსი. თუმცა, შანსები ყველას აქვს. ტომ ფორდის ერთგული თაყვანისმცემლები კი მის დაბრუნებას დაელოდებიან კინოში ან ისევ მოდაში. ბოლოსდაბოლოს, ამას ხომ თვით მარიო ტესტინო წინასწარმეტყველებს.

# როგორც მარლენ დიტრიხი


მარლენ დიტრიხი

ევროპული მოდა შავ-თეთრი კინოს ვარსკვლავებს და ჰელმუტ ნიუტონის შავ-თეთრ მზეთუნახავებს დაუბრუნდა. ერთ-ერთი წამყვანი დიზაინერი – ვალენტინო – მოდის მიმდევარ ქალბატონებს 1930-იანი წლების ჟურნალების გადახედვას და ბეწვის საყელოების, მამაკაცების პერანგების და ჰალსტუხების ტარებას ურჩევს. მესამე ათასწლეულის ქალი აქტიური, ამბიციური და მომხიბვლელია, როგორიც მარლენ დიტრიხი იყო "ცისფერ ანგელოზში".

ოსტატის ახალ კოლექციას ომამდელ ბერლინში გადავყავართ. ამ სამოსების შექმნისთვის შთაგონების წყარო ლენი რიფენშტალის ფილმები და "ლილი მარლენი" იყო. ამ სეზონის ტენდენცია კვლავ ელეგანტურობა და პროვოკაციაა.

თავად მარლენ დიტრიხს დიორის და შანელის მიერ შექმნილი ტანსაცმლისა და ავსტრიაში შეკვეთით შეკერილი მამაკაცური კოსტუმების ტარება უყვარდა. პაპარაცების შიშით ის ყოველთვის უაღრესად დახვეწილად იყო ჩაცმული, და მისი სტილი კლასიკადაა აღიარებული. ხოლო მარლენი თვლიდა, რომ ერთსა და იმავე სამოსში ხშირად გამოჩენა სასურველი არ იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ კარადაში 250-ზე მეტი კაბა დარჩა.

# სამი ტენორი კორეაში

ჩრდილოეთ კორეის შოუები მთელ მსოფლიოშია ცნობილი თავისი სტალინისტური სტილით: როგორც წესი, ეს სანახაობები სამხედრო აღლუმის თანხლებითა და ნაძალადევი ღიმილით მიმდინარეობს. მაგრამ ამ მხრივ, შესაძლებელია მცირე გამონაკლისი დაუშვან...

ბოლო დღეებში აქტიურად ვრცელდება ჭორები, თითქოს ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება აპირებს აპრილში, საგაზაფხულო ფესტივალზე სამი ტენორი მიიწვიოს. როგორც იაპონიაში გამომავალი პროჩრდილო კორეული გაზეთი "ჩოსუნ სინბო" იუწყება, ორგანიზატორები ვარაუდობენ 40 ქვეყნიდან 700-მდე არტისტი დაპატიჟონ.

"ჩვენ ვცდილობთ, ფესტივალმა საერთაშორისო მასშტაბებს მიაღწიოს. ჩვენ ვმუშაობთ პროგრამაზე, რომელზეც არ შეგვრცხვება მოვიწვიოთ მსოფლიო დონის ვარსკვლავები, ისეთები, როგორებიც არიან სახელგანთქმული ტენორები", - ამბობს საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი სონ სოკ ხვანი. გაზეთის ინფორმაციით, პავაროტის, კარერასისა და დომინგოსათვის მიწვევები ჯერ არ გაგზავნილა. აქედან გამომდინარე, არაა ცნობილი არცერთი მათგანის გამოხმაურება კორეელების სურვილებზე.

საგაზაფხულო ფესტივალი პხენიანში 15 აპრილს, 1994 წელს გარდაცვლილი ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფოს დამაარსებლის კიმ ირ სენის დაბადების დღეს გაიხსნება. ტრადიციულად, ეს ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ფესტივალია იზოლაციურ კომუნისტურ სახელმწიფოში.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

11 მარტი

### რუსთავი - 2

**11.03 07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** "ტელეღიპუცები" **18.20** არჩევნები-2004 **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **01.00** მხ. ფილმი "ამარკორდი". მთ. რ-ში: პუპელა მაჯო, არმანდო ბრანჩა.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "ჩრდილოეთის ვარსკვლავი" **11.40** დოკ. სერიალი "ამსტერდამის ზოოპარკი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.25** დოკ. ფილმი "ცხოველთა ბედი" **15.15** მხ. ფილმი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ" **17.30** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.40** რამპა **17.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ჯანმრთელობა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.10** დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" **23.30** მხ. ფილმი "ვნებათა ორომტრიალი"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "აჩრდილი". მთ.რ-ში პატრიკ სუეიზი, დემი მური. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "სიკვდილის სახეები". მთ. რ-ში ჯეილი ჯოელ ოსმენტი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

11 **09.00** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ცეროდენა მოჩვენებები" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "17 წლისანი" (მენდრი მური) **23.00** მხ. ფილმი "სამოთხე და ჯოჯოხეთი" (კენჯირო ისიამა)

### მეორე არხი

11 **19.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.35** კინოსეანსი "კუზიანი" **21.35** ეგვიპტოლოგიის პიონერები **22.10** მხ. ფილმი "ოთხთა სიყვარული"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "პაროლი ხმალთევზა" **13.30** მხ. ფილმი "ადამიანები შავებში" **15.00** მხ. ფილმი "საუკუნის დანაშაული" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "დინოზავრი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "იამაკასები" **00.30** მუსიკა

### მეცხრე არხი

**11.03 08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 13.50, 17.50** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ვარსკვლავეთის ომები" **14.00** მულტსერიალი "კონკია" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ლუდის ბატონები" **16.35** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" **18.00** მულტსერიალი "კონკია" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** "ცხელი ცხრიანი" **20.00** "მსოფლიო ფეხბურთი" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** ღამის მატარებელი **01.00** სერიალი "დედალი ჭრელა"

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.40, 17.20, 01.25** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** თამაში: უდაბნოს სამჭედლოები **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** არტ-ბულვარი **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.10** მხ. ფილმი "დღე პირველი, დღე უკანასკნელი" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" მე-4ს. **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **22.50** მხ. ფილმი "წყვდიადში მოცეკვავე"

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** კომედია კომედია "ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა" **11.25** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** მხ. ფილმი "ცეცხლში" **14.10** თრილერი "მსაჯული" **16.20** მულტფილმი "ჰერკულესი" **17.50** მუსიკა **18.30** სათავგადასავლო ფილმი "ინსპექტორი გაჯეტი-2" **20.10** კომედია "უგროშოდ ბევერლი ჰილზში" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მელოდრამა "შემოდგომის ლეგენდები" **03.05** მუსიკა **03.40** ფილმი-ფანტასტიკა "კონტაქტი"

### ОРТ

**11-03-2004 ОРТ 07.00** "Доброе утро!" **09.45** Выборы-2004 **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20 Сериал "Улицы разбитых фонарей 5" 11.30 Сериал "Клон" 12.40** Диснейклуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Худ.фильм "Юлия Вревская" 16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Смехопанорама" **19.50 Сериал "Клон" 20.50 Детектив "Любительница частного сыска Даша Васильева" 22.00, 00.30** "Время" **22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей 5" 23.40** Док.фильм "Лубянка". "Бриллиантовое дело". Фильм 2 **00.50** "Теория невероятности". "Пространство: живое и мертвое" **01.20** "Подорожник" **01.50** Док.фильм "Империя чужих", часть 2 **02.20 Худ.фильм "Несмотря ни на что" 04.40 Худ.фильм "Райская аллея"**

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "Тайны следствия-3" 10.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **11.50, 14.50, 17.30, 01.15** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Пан или пропал" 15.35** Ток-шоу "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Люди и тени-2" 19.05 Сериал "Главные роли" 20.00 Сериал "Вкус убийства" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "Тайны следствия-3" 23.00 Сериал "Пан или пропал" 00.00** Вести+ **00.20** Исторические хроники **01.30 Худ.фильм "Калина красная" 03.40** Дорожный патруль **03.55** Агентство одиноких сердец **04.20 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.45 Сериал "Свободная женщина 2" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Квартирный вопрос: Детская под облаками" **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.30** "Сегодня" **13.35 Худ.фильм "Восемь дней надежды" 15.10** "Время есть" **15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Протокол" **20.40 Сериал "Таксист", 8 с. 21.50** "Свободная женщина 2", 8 с. **23.00** "Страна и мир" **23.35** Ток-шоу "К барьеру!" **00.40** Док.фильм "Тайны разведки: Битва за Африку", 2 серия **01.20 Сериал "Таксист"**



კაილი მინოუგი

# საუკეთესო სურვილებით, კაილი

ეს ამბავი ლონდონში გამართულ კონცერტზე დაიწყო, როცა მომღერალმა კაილი მინოუგმა ბრბოს გამოუცხადა, ბიონსზე მაგარი ვარო. მრავალმა ბრიტანულმა გაზეთმა გამოაცხადა, რომ მინოუგსა და ბრიტნი სპირსს, ბიონს ნოულსსა და კრისტინა აგილერას შორის დიდი ომი დაიწყო.

Dotmusic წერს, რომ კაილი მინოუგი, რომელსაც გასულ კვირას ბრიტანულ საუკეთესოთა ათეულში ბრიტნი სპირსისთვის პირველი ადგილის დათმობა მოუწია, ამ სტატიების გამო ძალიან გაჯავრდა. ახლა ის პრესისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

"დეილი სტარმა" სათანადო ბოდიში ორშაბათს მოიხადა, გუშინ კი სიტყვით თავად "პოპის პაწია პრინცესა", კაილი გამოვიდა: "კაილი მინოუგს სურს, რომ ყველამ იცოდეს: მას ბრიტნი სპირსის, კრისტინა აგილერას, ბიონსისა თუ სხვა კოლეგების შეურაცხყოფა აზრადაც არ მოსვლია. ის მათ ყველაფერ საუკეთესოს უსურვებს". იმავე წერილში ვკითხულობთ: "კაილი ამ ხელოვანთა ფანია და მათ შესახებ ცუდად არასოდეს ილაპარაკებდა... ძალიან საწყენია, როცა ასეთი ჭორები ვრცელდება. ეს არამარტო კაილის, არამედ სხვა ხელოვანებსაც სწყვეტს გულს".

# როგორ შეხვდა სამშობლო თავის საამაყო შვილს

სამხრეთაფრიკელი მსახიობი, შარლიზ თერონი, "ოსკარის" მიღების შემდეგ ლამის ეროვნულ გმირადაა აღიარებული. პრეტორიაში, სამთავრობო სასტუმროში, ქვეყნის პრეზიდენტი თაბო მბეკი სიხარულით შეეგება ქერათმიან მსახიობს, რომელიც მასზე ერთი თავით მაღალია.

"კარგი გაკეთებულია, შესანიშნავია, ჩვენ ყველანი ძალიან ბედნიერები ვართ, მთელი ქვეყანა ამაყობს," თქვა სახელმწიფოს მეთაურმა. ამ სიტყვებმა თერონს გული აუჩუყა. მან ჟურნალისტებს მოახსენა, რომ მბეკი და დედამისი "ოსკარის" გადაცემის ცერემონიის დროს განუწყვეტლივ ურეკავდნენ ერთმანეთს.

ბრიტანული მედია იუწყება, რომ სამშობლო თავის საამაყო გოგოს პატივისცემისას მხოლოდ ლამაზი სიტყვებით არ შემოიფარგლება. ხოლო კინოექსპერტების აზრით, ამიერიდან თერონს თამამად შეუძლია ყოველი როლისთვის 15 მილიონ ევრომდე ჰონორარი მოითხოვოს.



ჯორჯ მაიკლი

# მამათმავალი კომუნისტი

ჯორჯ მაიკლი თავის პოლიტიკურ მრწამსს არ მალავს. "ჩემი აზრი ჩემთვის რატომ უნდა შევინახო?" თქვა ჟურნალ "თი-ვი შპილფილმისთვის" მიცემულ ინტერვიუში მომღერალმა, რომელმაც თავის სიმღერაში Shoot the dog ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების პოლიტიკური კურსი დაგმო.

"პოპის სამყაროში წარმატება იმას ხომ არ ნიშნავს, რომ აპოლიტიკური უნდა ვიყო ან გააფთრებული მემარჯვენე," ამბობს მაიკლი, რომლის თქმითაც, შეერთებულ შტატებში ის მაინც მამათმავალ კომუნისტად მიაჩნიათ.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჯგუფ Wham!-ის წევრი იყო, ის ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მარგარეტ თეტჩერს დაუპირისპირდა და გაფიცული მაღაროელებისთვის მართავდა კონცერტებს, "მაგრამ ბულვარულ პრესას ეს, რასაკვირველია, არ აინტერესებს".

ახლანდელი პრემიერის, ტონი ბლერის კრიტიკაც მომღერალს სავსებით სამართლიანად მიაჩნია. ალბათ გახსოვთ: Shoot the dog-ში ის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ფინიად გვევლინება: "მაგასთან საუბარი ჯერ არ დამიმთავრებია," იმუქრება მაიკლი. მას შემდეგ, რაც პოლიტიკით დაინტერესდა, ჯორჯ მაიკლს მსგავსი არაფერი უნახავს: "ერაყში ხალხი ყოველდღე იხოცება, ტონი ბლერი კი ამაყად აცხადებს, მსოფლიო უსაფრთხო ადგილი გახდაო. რა ვქნა – მის სიტყვებს იგნორირება გავუწიო თუ დავუჯერო?"

მომღერალმა ბრიტანულ გაზეთებს აუწყა, რომ მისი მომავალი ალბომი Patience მისი უკანასკნელი ჩანაწერი იქნება.







# ნაომი მცაგრავს



ტაირა ბენქსი

მოდის სამყაროში ნაომი კემპბელი აუტანელი ხასიათით და ლეგენდარული გაცოფებებითაა ცნობილი. ერთ დღესაც ამ ცუდმა ზნემ მას სასამართლო დარბაზშიც კი ამოაყოფინა თავი: ოთხი წლის წინათ ასისტენტმა უჩივლა, განრისხებულმა ნაომიმ ტელეფონის აპარატი მესროლაო.

მიუხედავად იმისა, რომ ხელით არასოდეს შეხებია, მოდელი ტაირა ბენქსი თვლის, რომ ნაომი კემპბელმა მასაც ძალიან გაუმწარა სიცოცხლე. "იმდენი საძაგლობა აქვს ჩადენილი! ის იმისთვისაც იღწვოდა ხოლმე, რომ ჩვენებების დროს არავის მივეწვიე. მას ამის საშუალება ყოველთვის ეძლეოდა, რადგან ნაომი ჩემზე უფრო სახელგანთქმულია," უამბო 30 წლის მოდელმა "ნიუსვიკის" კორესპონდენტს. წარმოშობით ლოს ანჯელესელი ტაირა ბენქსი მოდელის საქმეს 17 წლის ასაკში შეუდგა და მაშინათვე "ახალ ნაომი კემპბელად" იყო აღიარებული.

სწორედ ამ წოდებამ აქცია მისი ცხოვრება ჯოჯოხეთად. "ისე გამიჭირდა, რომ დედას დავურეკე და შევტირე, დედიკო, მუშაობა აღარ მინდა-მეთქი," ჰყვება ბენქსი.

მაგრამ მან მუშაობა განაგრძო, ოღონდ ისიც გადაწყვეტილი აქვს, რომ მოდის სამყაროს საზღვრებს უნდა გასცდეს. ის აშშ-ში საკმაოდ პოპულარული შოუს, "ამერიკის შემდეგი ტოპ-მოდელის" წამყვანი და პროდიუსერია, და იმედი აქვს, რომ ოდესმე ოფრა ვინფრისთანა ოსტატი დადგება. გარდა ამისა, სულ მალე ტაირას ფირფიტასაც მოვისმენთ.





# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.